საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

…ელოს ნავთობის
…ორისო კორპორაცია
…an International
…rporation

საქართველოს რესპუბლიკა

…ამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №123 (3164) სამშაბათი, 11 მაისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ დღეს აქვეყნებს ალა ბიბილაშვილის წერილს „მოიქნევს ჩაუქი კაზაკი ხმალს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზიტი

…ვითარების მოდელი, …მელიც ჩვენთვის …რგებლო იქნება

…რთველოს პარლამენტის თავმჯდომარემ …ჟვანიამ საბერძნეთის რესპუბლიკის პრე-…ი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი მიიღო. …ირ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზი-…აღნიშნა, საქართველოსა და საბერძნეთს …ტრადიციული ისტორიული კავშირები დღე-… დრომიც ღრმავდება და ეს მჭიდრო ურ-…ობა, უპირველეს ყოვლისა, საერთო სა-…ებიდან იღებს სათავეს. „ჩვენი საერთო …ული წარსული სწორედ ის საფუძველია, …დღეს ახალი ურთიერთობის აგება გახდა …ებელი“, — აღნიშნა კონსტანტინოს სტე-…ლოსმა. საპატიო სტუმარმა კიდევ ერთხელ …ტურა საბერძნეთისათვის საქართველო-…ეთილმეზობლური ურთიერთობის მნიშ-…ა და საბერძნეთის ხელისუფლებისა და …სახლეობის სახელით, ყოველმხრივი და-…ა და თანადგომა აღუთქვა საქართველოს …ზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოს, ადა-…ი ფასეულობებისა და საერთაშორისო სა-…ის საკითხების დაცვაში. აფხაზეთის …ზე საუბრისას კი აღნიშნა, რომ დღევა-…მსოფლიოში წარმოუდგენელი და დაუშ-…ა ნებისმიერი ქვეყნის ორად გაყოფა. სა-…თის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქარ-…ს პარლამენტის თავმჯ-…ს მხარდაჭერა აღუთქვა …ქვეყნის ტერიტორიული …ობის აღდგენასთან და-…ებული საკითხების მო-…ამი ნებისმიერ დონეზე. …ბ ჟვანიამ საპატიო სტუ-…ა მის თანხლებ პირთა …ქვეყანაში სტუმრობა მნი-…ვან მოვლენად შეაფასა …ნა, რომ საქართველოსა …რძნეთს ჯერ კიდევ ან-… ხანიდან აკავშირებს ერ-…ამყარო და ერთიანი ღი-…ებები. დღეს თანამედროვე …ეთის რესპუბლიკამ, რო-…ევროკავშირის ერთ-ერთმა …ი წარმატებულმა წევრმა, …არების საინტერესო მო-…შექმნა, რომლის გაზია-… ჩვენი ქვეყნისთვის, შე-…, სასარგებლო გახდეს. …ეთში ჩვენი ქვეყნის დღე-…ი პრობლემები კარგად … მან საბერძნეთის წარ-…ენლობას აფხაზეთის კო-…ის ერთგულ პოლიტიკუ-…ოვის გაღრმავებისათვის …ა გადაუხადა და აქვე აღ-…რ სახელმწიფოს შორის, …ც საპარლამენტთაშორი-…ვე. სამთავრობო ურთი-…ის გააქტიურების აუ-…ობა. ხაზი გაუსვა იმ პო-…რსა და ეკონომიკურ მხა-…ას, რასაც ჩვენი ქვეყანა …ეთის სახელმწიფოსაგან ამ წლების გა-…ბაში იღებს. ზურაბ ჟვანიამ ისაუბრა სა-…ლოს ერთიანი კულტურის შექმნაში ბერძენ …ამულეთა წვლილზე.

პარლამენტის პრესსამსახური.
ჯემალ კასრაძის ფოტო.



…ანონმდებლები …ულოდ დაწყებული …როს სხდომა

…რომ საქართველოს პარლამენტის ბიუ-…დომა, რომელზეც 11-14 მაისის პლენა-…სხდომების დღის წესრიგი განიხილეს. …ამენტის თანახმად, ბიუროს სხდომა მო-…სხდომის დღის წესრიგის განხილვას ეძ-… თუმცა საპარლამენტო ფრაქცია „სახა-…ოვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლი-…რინა სარიშვილის დაჟინებული მოთხო-…ს განცხადებისათვის სიტყვა მიეცა. …სარიშვილის შეფასებით, არჩევნების მო-…ასთან ერთად, ძალას იკრებს არჩევნე-…მედ კანონში ცვლილებების შეტანის ტე-…, რაც, კერძოდ, საარჩევნო მინიმალუ-…რის, ეგრეთ წოდებული, 5-პროცენტია-…რის დაწევისკენ არის მიმართული. პარლა-…წევრის აზრით, 5 მაისს ეროვნული თა-…ს დარბაზის წევრებთან ზურაბ ჟვანიას შე-… იმის მიმანიშნებელია, რომ პარლამენტის …დომარე მხარს უჭერს ამ ტენდენციას. ცნო-…ის, 5 მაისს პარლამენტის თავმჯდომარემ … ეროვნული თანხმობის დარბაზის პოლი-… პარტიებისა და მოძრაობების წარმო-…ლები, რომელთაც პარლამენტის თავმჯ-…ეს მოქმედ საარჩევნო კანონში შესატა-…ილებების პროექტი წარუდგინეს. მათი …ებით, წინადადებათა ეს პაკეტი ხელს შე-… იმას, რომ მომავალი საპარლამენტო არ-…ის დროს საქართველოში მოქმედი პოლი-… სპექტრი პარლამენტში მაქსიმალურად …ს. როგორც თავად აღნიშნეს, ისინი აც-…რებენ, თუ რა სირთულეებს უკავშირდე-…ცვლილებათა პრაქტიკული რეალიზაცია, …მეტეს, რომ ისინი კონსტიტუციურ ცვლი-…ასაც საჭიროებენ. მიუხედავად ამისა, და-… წევრთა აზრით, ეს აუცილებელია.

იხ. მე-3 გვ.

…ანასკნელ საათს

…სლავიის უმაღლესმა სარდლობამ … განაცხადა, რომ თავისი ჯარე-…სოვოდან გამოჰყავს. ნატო თა-…ებით შეხვდა ბელგრადის ინი-…ვას და გუშინაც გრძელდებოდა …ბვა.

ვიზიტი

საქართველო — საბერძნეთი: თანამშრომლობა ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ

თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი

საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის მატიანეში კიდევ ერთი ახალი ნათელი ფურცელი ჩაიწერა: 9 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოწვევით, თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი. ეს არის მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის საპასუხო ვიზიტი. „ეჭვი არ მეპარება, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში გასულ კვირას, — ჩვენი ძვირფასი სტუმარი, კონსტანტინოს სტეფანოპულოსი საქართველოში სტუმრობის დროს თავად დარწმუნდება ქართველი ხალხის, მთელი ჩვენი მოსახლეობის ასეთივე გულთბილ და მეგობრულ დამოკიდებულებაში საბერძნეთის მიმართ“.

9 მაისს თბილისის აეროპორტში საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. თვითმფრინავის კიბესთან ბატონ კონსტანტინოს სტეფანოპულოსს გულთბილად და მეგობრულად მიესალმა ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

საპატიო სტუმარს აეროპორტში დახვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, ქვეყნის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის, საბერძნეთის დიასპორის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად თბილისის აეროპორტში აღმართული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშები, შესრულდა საბერძნეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

ოფიციალური დახვედრის ცერემონიის შემდეგ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და თანმხლები პირები მათთვის განკუთვნილ მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში გაემგზავრნენ.

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა.
ბესიკ კეზერაშვილის და დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მილოცვა

ჰეიდარ ალიევს — საუკეთესო სურვილები ედუარდ შევარდნაძისაგან

10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს დაბადების დღის მისალოცი ბარათი გაუგზავნა. როგორც ბარათშია ნათქვამი, ედუარდ შევარდნაძემ წინა დღეს სატელეფონო საუბრის დროს, ქართული ტრადიციისამებრ, წინასწარ არ მიულოცა მას დამდეგი იუბილე. „ახლა კი, როდესაც ეს დღე დადგა, მე უდიდესი სიამოვნებით გილოცავთ“, — წერს იგი იუბილარს.

საქართველოს პრეზიდენტი ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს თავის მეგობარსა და კოლეგას. „გისურვებთ მრავალ ბედნიერ წელს გეცოცხლოთ მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის, მთელი კავკასიისა და დიდი ევრაზიის რეგიონის საკეთილდღეოდ, რომლის ხალხების დაახლოებისა და აყვავებისათვის მუხლჩაუხრელი შრომით ამდენი რამ გააკეთეთ“, — ნათქვამია მისალოც ბარათში.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

კონტაქტები

ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის სატელეფონო საუბარი

9 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს შორის.

ჰეიდარ ალიევი ამჟამად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ კლივლენდის კლინიკაში, სადაც წარმატებით მთავრდება მისი მკურნალობა, ამჟამად იგი თავს კარგად გრძნობს.

საუბრისას ჰეიდარ ალიევმა დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, მთელ ქართველ ხალხს ყურადღებისათვის, მხარდაჭერისათვის და საუკეთესო სურვილები უსურვა მათ.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

პრეზიდენტი

განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები

10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ვატიკანის ნუნცი მონსინიორ პეტერ ცურბრიგენი.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ვატიკანს შორის ურთიერთობის აქტუალური საკითხები. საუბარი შეეხო, აგრეთვე, საქართველოში რომის პაპის იოანე პავლე მეორის შესაძლო ვიზიტს, რომლის იდეაც 1997 წელს, ვატიკანში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დროს დაიბადა.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

ინფორმაცია

თუ დადებითად შეაფასებენ, 46 მილიონ დოლარს მივიღებთ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში ათდღიანი სამუშაო ვიზიტით ამაღამ ჩამოდის, განუცხადა პრაიმ-ნიუსს სსფ მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში კრისტოფერ ლეინმა.

ფონდის ექსპერტები შეაფასებენ საქართველოს მიერ სსფ-სთან შეთანხმებული ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას წლევანდელი პირველი ოთხი თვის განმავლობაში.

დადებითი შეფასების შემთხვევაში საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა ESAF-ის მესამე ტრანშის მეორე ნაწილს (46 მილიონი აშშ დოლარი) მიიღებს.



რუსები აფხაზეთის საზღვრიდან მიდიან

აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის შენაერთების გასვლის პროცესი 10 მაისიდან დაიწყო, — უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ.

მისი თქმით, აფხაზეთიდან რუსი მესაზღვრეები დაახლოებით ერთ თვეში მთლიანად გავლენ.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის შენაერთების გასვლის შემდეგ, აფხაზეთის ტერიტორია ქართველი მესაზღვრეების მიერ ზღვიდან გაკონტროლდება.

„მთლიანად საქართველოს ტერიტორიიდან რუსი მესაზღვრეების გაყვანის პროცესი 1 სექტემბრამდე დასრულდება“, — თქვა გენერალმა ჩხეიძემ.

ნატო მიესალმება... საქართველოს სურვილს

„ნატოს ხელმძღვანელობა მიესალმება „მშვიდობისათვის პარტნიორობაში“ საქართველოს აქტიურ მონაწილეობას და მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს სურვილს, 2001 წელს უმასპინძლოს მრავალეროვნულ სამშვიდობო სწავლებას ალიანსის ეგიდით“, — განაცხადა ნატოს თანამშრომლობის საკოორდინაციო უჯრედის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა ენტონი კოლსტერენმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ-მაიორ ჯონი ფირცხალაიშვილთან შეხვედრის დროს.

მალე საქართველო ნატოს შტაბბინაში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო წარმომადგენლებსაც გააგზავნის, რომელიც მეკავშირე ოფიცერთან ერთად კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთსასარგებლო კონტაქტებს. საქართველო ასევე აპირებს ჩაერთოს „პარტნიორობის ანალიზისა და მიმოხილვის“ პროცესში.

ევრაზიული დერეფანი - ჩანს. სალი აზრი იმარჯვებს

ტრასეკას პროექტში მონაწილე ქვეყნების კონფერენციაზე, რომელიც ტაშკენტში გუშინ დაიწყო, რუსეთი კვლავ ერთხელ წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, რომ „პროექტის რეალიზაცია მილიარდობით აშშ დოლარს საჭიროებს“, — განაცხადა ტაშკენტში გამგზავრების წინ რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ევგენი კაზანცევმა.

ამასთან, კაზანცევის თქმით, ამ პროექტის ყველა პარამეტრის დეტალური შესწავლის შემდეგ, რუსეთს დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის შექმნაში: ჩანს სალი აზრი იმარჯვებს.

თბილისის მერია სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორს უმასპინძლებს

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს 12 მაისს თბილისის მერი ივანე ზოდელავა და სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორი ვლადიმირ იაკოვლევი, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს მერიის პრესსამსახურში.

სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორის ვლადიმირ იაკოვლევის ვიზიტი საქართველოში 11-დან 13 მაისამდე გასტანს.

გუბერნატორთან ერთად თბილისში ჩამოვა მისი ოთხი მოადგილე, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელები, ბიზნესმენები.

13 მაისს იაკოვლევი შეხვდება საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს პირებს.

პუშკინის იუბილეს აღნიშნავენ

პუშკინის დღეებს საქართველოში თბილისის მე-11 საშუალო სკოლაც გამოეხმაურა. რუსული და ქართული სექტორის მოსწავლეებმა პედაგოგ ზინაიდა წიკლაურის თაოსნობით „ლიტერატურული სალონის“ კომპოზიცია წარმოადგინეს, მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციაში.

მემარჯვენე პარტიების ალიანსი 11 მაისს გაფორმდება

ეროვნულ-დემოკრატიულ, რესპუბლიკურ და მრეწველთა პარტიებს შორის მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი, ალიანსის შექმნის შესახებ, სამშაბათს, 11 მაისს გაიმართება, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს ნაციონალური პოლიტიკური კლუბიდან.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ 15 საათზე ოფიციალურად გაფორმდება კოალიციის შექმნა და გაიმართება პრესკონფერენცია.

ამ პარტიებს შორის მოლაპარაკებები ალიანსის შექმნის თაობაზე სამი თვეა მიმდინარეობს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა, ჩვენმა კორესპონდენტმა.

გუშინ, ძიან ძემინისა და ბორის ელცინის სატელეფონო საუბრის შემდეგ, ბალკანეთის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ვიქტორ ჩერნომირდინი სასწრაფოდ პეკინში გაემგზავრა. იგი ძიან ძემინთან კოსოვოს კრიზისს განიხილავს.

გუშინ, ჰააგაში, საერთაშორისო სასამართლოში დაიწყო იუგოსლავიის სარჩელის მოსმენა ნატოს წინააღმდეგ.

გუშინ ჩინეთში გრძელდებოდა საპროტესტო აქციები აშშ და ნატოს წინააღმდეგ. აქციები გაიმართა ტაივანში და მოსკოვშიც.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 10 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.3368 ლარი
გერმანული მარკა	1	1.1240 ლარი
აშშ დოლარი	1	2.0500 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3351 ლარი
ევრო	1	2.1984 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0848 ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +7+12; დღისით +15+20.
მთაში: ღამით +4+9; დღისით +13+18.
მაღალ მთაში: ღამით +1+6;
დღისით +7+12.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +2+7;
დღისით +13+18.
მთაში: ღამით: 0+5;
დღისით +11+16.
მაღალ მთაში: ღამით -2+3;
დღისით +7+12.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.
ღამით +5+7; დღისით +18+20.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

ზ. დობორჯგინიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტელევიზიის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის ტელერადიოცენტრის წამყვანი ინჟინერი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ტელეოპერატორი **ზაურ დობორჯგინიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

ქ. კიკნაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი **ქეთევან კიკნაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თარიღი

მომავალ თაობებს გადაეცემა ხსოვნა თქვენი გმირობისა

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, 9 მაისის დილას გამარჯვების პარკში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, რათა აღენიშნათ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — ფაშიზმის დამარცხების ღირსსახსოვარი დღე.

უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შესამკობად მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, თბილისის მერი ივანე ზოდელავა, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ედუარდ შევარდნაძემ ყველას მიულოცა საზეიმო დღე. „დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის რთულ გზაზე ძალას გვმატებს თქვენი თანადგომა“, — ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ვეტერანებს.

შეკრებილებმა პატივი მიაგეს ბრძოლაში დაცემულ გმირებს. „დარწმუნებული ვარ, — ბრძანა ედუარდ შევარდნაძემ, — თითოეულ ქართველს, — რუსეთში იბრძოდა იგი, უკრაინასა თუ ბელორუსიაში, თვალწინ საკუთარი სამშობლო ედგა, მის კეთილდღეობას იცავდა“.

სამწუხაროდ, თუ დღეს ვეტერანთა ღვაწლი სათანადოდ ვერ ფასდება, თუ ისინი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან, ეს გამომდინარეობს საერთო ეკონომიკური კრიზისიდან, რომელმაც არა მარტო საქართველო, არამედ მსოფლიო მოიცვა, მაგრამ მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება. ეს კი, პირველ რიგში, სწორედ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანების ყოფითი პრობლემების მოგვარების საწინდარია.

ედუარდ შევარდნაძემ გაიხსენა ომში გამარჯვების სულისჩამდგმელი იოსებ სტალინი, რომელმაც გამოძებნა ძალა და მაშინდელ შეურიგებელ კლასობრივ და იდეოლოგიურ მტრებთან — ჩერჩილთან, რუზველტთან და დე გოლთან ერთად შესძლო დაემარცხებინა ფაშიზმი. „დღეს, როცა პლანეტაზე კვლავ ომის სუნი ტრიალებს, ეს ფაქტი მაგალითად უნდა გამოადგეს თანამედროვე პოლიტიკოსებს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი თაობა არ დაივიწყებს გმირულ წარსულს, სახელოვან წინაპრებს“.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.
ზეინაბ ბარნოვის და
გიორგი ცაგარელის ფოტო
(საქინფორმის
ფოტოქრონიკა).

პრეზიდენტის ფოსტიდან

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

თქვენ და მთელ ქართველ ხალხს გულითადად და გულწრფელად ვულოცავ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 54 წლისთავს.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთისა და საქართველოს ბრძოლის ველზე მხედრული გმირობებით შედუღაბებული ტრადიციული მეგობრობა კვლავაც გაღრმავდება და განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას.

ბორის ელცინი.
ქ. მოსკოვი, კრემლი. 1999 წლის 8 მაისი

სამძიმარი

საქართველოს პრეზიდენტი სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იუგოსლავიაში ჩინელი დიპლომატების დაღუპვის გამო მიუსამძიმრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ძიან ძემინს და დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

„ეს ტრაგიკული შემთხვევა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად საჭიროა, რომ ერთობლივად და დროულად გადავწყვიტოთ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილი კონფლიქტები, და გვავალდებულებს, დავფიქრდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილებათა უპირობო შესრულებისათვის ახალი მიდგომების მოძიების აუცილებლობაზე“, — ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარისადმი საქართველოს პრეზიდენტის სამძიმრის ბარათში.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველო — საბერძნეთი: თანამშრომლობა ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ

(პირველი გვერდიდან)

საქართველოში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საბერძნეთის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა თბილისში 9 მაისს საზეიმოდ გახსნა მსოფლიო ელინური საბჭოს მიერ დაარსებული სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ჰიპოკრატეს პოლიკლინიკა".

„ეს სამედიცინო ცენტრი არის ბერძენი ხალხის საჩუქარი საქართველოში მცხოვრები ბერძნული დიასპორისა და სრულიად საქართველოსთვის. აქ გადაუდებელ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას გაუწევენ როგორც ბერძენ, ასევე საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. მსურს რწმენა გამოვთქვა, რომ მსოფლიოს ელინური საბჭო მომავალშიც გააგრძელებს ნაყოფიერ ჰუმანურ საქმიანობას, რითაც ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში ბერძენთა უძველესი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. სამედიცინო ცენტრი „ჰიპოკრატეს პოლიკლინიკა" არის ჩვენს ხალხებს შორის ისტორიული მეგობრობისა და ურთიერთობის სიმბოლო, რომელიც ამ ვიზიტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება", — განაცხადა ბატონმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა.

ბერძნული სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. სამი წლის განმავლობაში საქართველოში დაარსდება კიდევ 11 ანალოგიური პოლიკლინიკა, რომელთაგანაც ორი — წალკასა და ციხისჯვარში უკვე მომავალ კვირაში გაიხსნება. კლინიკები ყოველთვიურად დაახლოებით 5 ათას პაციენტს მოემსახურება.

როგორც მსოფლიოს ელინური საბჭოს პრეზიდენტმა ენდრიუ ათენმა აღნიშნა, სამედიცინო ცენტრის გახსნა საქართველოში მცხოვრები ბერძნებისადმი სიყვარულის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა. ნიშანდობლივია, რომ ეს დიდი მნიშვნელობის ჰუმანური პროექტი საბერძნეთის პრეზიდენტის კონსტანტინოს სტეფანოპულოსის ძალისხმევითა და უშუალო დახმარებით განხორციელდა.

მსოფლიოს ელინური საბჭო არასამთავრობო არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც დონორ ორგანიზაციებთან ერთად მთელ მსოფლიოში არსებულ ბერძენთა დიასპორების საკეთილდღეოდ ახორციელებს სხვადასხვა სახის პროგრამებს.

დასასრულ საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისა და ქართველი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბერძნეთის პრეზიდენტს, მსოფლიოს ელინური საბჭოს პრეზიდენტს, საბერძნეთის ოფიციალური დელეგაციის წევრებს იმ თანადგომისა და გულისხმიერებისათვის, რომელსაც ბერძენი ხალხი იჩენს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და დასაცავად.

ბერძნული სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის საზეიმო გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობდნენ თბილისის მერი ვანო ზოდელავა, საბერძნეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

* * *

ქართველი და ბერძენი ხალხების უნიკალური ისტორიული მეგობრობის, მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების ჭეშმარიტ ზეიმად იქცა 9 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კონსტანტინოს სტეფანოპულოსის პატივსაცემად გამართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კონსტანტინოს სტეფანოპულოსს, დამსწრე საზოგადოებას. მან თქვა:

ძვირფასო სტუმრებო საბერძნეთიდან,

ღრმად პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო!

პირველად საქართველოს ისტორიაში გვაქვს პატივი ჩვენს სამშობლოში მივესალმოთ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, იმ ქვეყნის ლიდერს, რომელთანაც ჩვენ თავისი ხანგრძლივობით, მრავალმხრივობითა და ინტენსივობით სრულიად განსაკუთრებული ურთიერთობა გვაკავშირებს. საბერძნეთი ქართველებისათვის არ არის მხოლოდ ევროპული ცივილიზაციის სამშობლო, ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველთაგანი, რომელსაც ევროპული კულტურა ეყრდნობა. საბერძნეთი ჩვენთვის, გარკვეულწილად, თავად ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

პირველებმა, ევროპელთაგან სწორედ ბერძნებმა შემოგვინახეს ფასდაუდებელი წერილობითი ცნობები საქართველოს ადრეული ისტორიის შესახებ, მათი დამსახურებაა ის, რომ უკვე ანტიკური ეპოქის სამყაროსათვის ესოდენ პოპულარული გახდა ლეგენდარული კოლხეთი და კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე, ძველი იბერია და საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი გეოგრაფიული, ისტორიული რეალია. ბერძნულ, ბიზანტიურ ლიტერატურასთან მჭიდრო ურთიერთობათა საფუძველზე ჩამოყალიბდა ძველი ქართული მწერლობა. მხოლოდ ათონის ივერთა მონასტრის დასახლებაც კი იკმარებდა იმჟამინდელი ჩვენი კონტაქტების მასშტაბების გასათვალისწინებლად.

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის განმავლობაში ბერძენთა სულ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები სამკვიდრებლად ირჩევდნენ საქართველოს და თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. დღესაც ამ დარბაზში ვხედავ არაერთ ჩვენ თანამოქალაქეს, წარმოშობით ბერძენს, რომელთა წინაპრებსაც ისტორიის ჩარხის ბრუნვამ საქართველოსთვის შემოაფარებინა თავი. მათ მიმართ საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავენ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ბერძნული ენის, ბერძნული კულტურის შესწავლას საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ეს ასეა დღესაც. ჩვენი დროებითი ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, ელინისტიკა ჩვენი საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს, ბერძნული ენა ისწავლება საქართველოს სკოლებში, ახალგაზრდობის ცოდნის გამოსავლენად ბერძნულ-ქართული ურთიერთობის, ბერძნული ცივილიზაციის საკითხებში იმართება სპეციალური კონკურსები.

სულ ახლახან ელინოფილთა ასეთ შეჯიბრში ხუთასამდე მოსწავლემ წარმოადგინა საინტერესო თემები. ბატონო პრეზიდენტო, იმედი მაქვს, ვიზიტის განმავლობაში თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, თავად დარწმუნდეთ ბერძნული კულტურის მიმართ ქართველთა გამორჩეულ დამოკიდებულებაში.

ბერძნულ-ქართულ კონტაქტებში ჩვენი საუკუნის მიწურული ჭეშმარიტი აღმავლობით აღინიშნა. სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ვიზიტები უმაღლეს დონეზე, ორმხრივი ხელშეკრულებები ჩვენს ურთიერთთანამშრომლობას ახალ, მანამდე მიუღწეველ მიჯნებს უსახავენ. იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც ჩვენ მრავალმხრივ კონტაქტებს ვავითარებთ, სულ უფრო და უფრო იზრდება საბერძნეთის ხვედრითი წილი. რამდენადაც დღეს ჩვენ ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე შევიკრიბეთ, ამ აზრის საილუსტრაციოდ, ორიოდ მაგალითს სწორედ კულტურის სფეროდან მოვიტან.

საბერძნეთმა გასულ წელს საქართველოში გამართა ბერძნული კულტურის დღეები, რომლებიც თავიანთი მასშტაბითა და მაღალი დონით უთუოდ გამოირჩეოდნენ ჩვენში სხვა ქვეყნების მიერ მოწყობილი მსგავსი ღონისძიებებისაგან.

წელს ათენში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი ბერძნულ-ქართული ურთიერთობის საკითხებზე, რომელსაც თან ახლდა გამოფენები, ჩვენი შემსრულებლების კონცერტები. ეს მოვლენები ჩვენი ხალხების მეგობრობის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

თქვენი ვიზიტი საქართველოში, ბატონო პრეზიდენტო, გვწამს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოების, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საქმეში. ყოველთვის ვილონებთ იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ კავკასიისა და ბალკანეთის მშფოთვარე რეგიონებში კონფლიქტების ჩაცხრობაში, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ატმოსფეროს დამყარებაში.

ჩემმა თანამემამულეებმა ძალიან კარგად იციან, თუ როგორ ატმოსფეროში და რა დონეზე მიიღეს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ქვეყნის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით საბერძნეთში. ეს ვიზიტი და გულითადი შეხვედრები იყო ნათელი მაგალითი, რომ ასე ხვდებიან მხოლოდ სისხლით ნათესავებს.

ჩემთვის უდიდესი პატივი იყო მიმეღო საბერძნეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოები, განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ საშუალება მომეცა მოვხვედრილიყავი ათონის მთაზე, რაც, ალბათ, ერთეულთა ხვედრია. მინდა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ იმ დაუვიწყარი შეხვედრებისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, იმ დღეებისათვის, რომელიც ჩვენ საბერძნეთში ერთად გავატარეთ. გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, აქ ჩამობრძანებისათვის.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო სამიათასწლოვანი სახელმწიფოა და სამი ათასი წელია ასეთი მეხვედრა მის ისტორიას არ ახსოვს.

გაუმარჯოს საბერძნეთს, დიდ ბერძენ ხალხს. გაუმარჯოს საბერძნეთის პრეზიდენტს, საბერძნეთის მთავრობას, გაუმარჯოს ძირძველ და უკვდავ მეგობრობას ჩვენს ქვეყნებს, ჩვენს ხალხებს შორის.

საღამოს კულმინაციად იქცა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ბატონ კონსტანტინოს სტეფანოპულოსს გადასცა დედაქალაქის სიმბოლური გასაღები და საპატიო სიგელი. ბატონმა ვანო ზოდელავამ აღნიშნა, რომ თბილისისა და ყოველი თბილისელისათვის განსაკუთრებული პატივია საქართველოს დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ იწოდებოდეს თანამედროვე საბერძნეთის უდიდესი მოღვაწე, მსოფლიო პოლიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი.

თავის მხრივ ბატონმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, თბილისის მერს, მთელ ქართველ ხალხს მისი დაფასებისათვის და საქართველოში ბერძნული ტრადიციების ესოდენ დიდი პატივისცემისათვის.

მან თქვა:

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო!

ბატონო თბილისის მერო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მსურს გჯეროდეთ, რომ ძლიერ ვღელავ და მინდა დაგარწმუნოთ ჩემს გულწრფელ სიყვარულში საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობა მომეცა ვწვეოდი თბილისს და შევხვედროდით თქვენ. თავის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგად ახსოვს მისი ვიზიტი ათენში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მეც ასევე კარგად მემახსოვრება ჩემი ვიზიტი თბილისში.

აღსანიშნავია, რომ ბერძნები ცნობილი არიან სტუმართმოყვარეობით. საბერძნეთში საპატიო სტუმრების მიღებისას, ჩვენ სტუმართმოყვარეობის გარდა, უდიდესი პატივისცემის გრძნობის გამოხატვის სურვილიც გვიჩნდება. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ათენში სწორედ ეს შემთხვევა იყო. ჩვენ ედუარდ შევარდნაძეს შევხვდით როგორც უდიდეს პოლიტიკოსს, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში. ჩვენ შევხვდით მას როგორც პოლიტიკოსს, რომელმაც თავის ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება შეძლო. უწინარესად კი აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნაძე არის ჩვენი მეგობარი. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტის გვერდით ყოფნის შესაძლებლობა მაქვს, რაც ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთობა არსებობს.

გულითად მადლობას მოვახსენებ საქართველოს პრეზიდენტსა და თბილისის მერს იმ დიდი პატივისათვის, რასაც უძველესი ისტორიისა და ტრადიციების ქალაქის — თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება ჰქვია.

სამი ათასი წლის წინათ ჩვენი წინაპრები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ არაერთხელ შეხვედრიან. ვიდრე ლეგენდარულ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობა განხორციელდებოდა, ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე არსებობდა ისტორიული კავშირურთიერთობა. ანტიკური ეპოქის სამყაროსათვის ცნობილი იყო მითი კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთეს შესახებ. ბიზანტიის იმპერიის პერიოდში დაწყებული ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრული ურთიერთობა დღემდე გრძელდება და კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ჩვენ ვართ ორი მოძმე ხალხი, ორი ერთმორწმუნე ერი და ჩვენი ღირსეული წარსული მაგალითი უნდა იყოს ჩვენივე მომავლისათვის.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საბერძნეთი მოვალეა საქართველოს წინაშე. აქ ხომ სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა გამო მრავალი საუკუნის წინათ სამშობლოდან გადახვეწილმა ბერძნებმა ჰპოვეს თავშესაფარი და თბილი კერა, სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის საქართველოსთან დამაკავშირებელ თავისებურ ხიდს.

მსურს მივმართო ყველა ბერძენს, რომელიც დღეს აქ იმყოფება, რომ ისინი უაღრესად ბედნიერები არიან იმით, რომ ერთდროულად ორი მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნის შვილები არიან. ჩვენ, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელები ძალისხმევას არ დავიშურებთ თქვენი კეთილდღეობისათვის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენს ისტორიულ სამშობლოს მუდამჟამ ახსოვხართ და უყვარხართ. ბერძნული დიასპორა კვლავაც უნდა დარჩეს საქართველოში და თავისი მოღვაწეობითა და საქმიანობით კუთვნილი წვლილი შეიტანოს ამ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ეს კი, თავის მხრივ, განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებაში.

ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული „ხორუმი" და ბერძნული „სირტაკი", ორი ქვეყნის ეროვნული მელოდიები. მთელ საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა მეგობრობა, სიყვარული, ტოლერანტობა, რაც ესოდენ ღირსეულად შეინარჩუნეს და დაიცვეს როგორც ქართველებმა ისე ჩვენს მიწაზე მცხოვრებმა ბერძნებმა.

საზეიმო კონცერტს დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები, სხვა ოფიციალური პირები.

* * *

10 მაისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კონსტანტინოს სტეფანოპულოსის პირისპირ საუბარი. საუბრის დაწყებამდე საბერძნეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს გადასცა „მაცხოვრის მხედრობის დიდი ჯვრის ორდენი" — საბერძნეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი და საპატიო ჯილდო. ეს ორდენი, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ დაწესდა, მხოლოდ სახელმწიფოთა პირველ პირებს ენიჭებათ.

მოგვიანებით ორი ქვეყნის დელეგაციები გაფართოებული შემადგენლობით შეხვდნენ ერთმანეთს.

მხარეებმა განიხილეს ორმხრივი კავშირურთიერთობის მთელი კომპლექსი, აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემები. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საბერძნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მთელ ბერძენ ხალხს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, აქტიური მონაწილეობისათვის აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. განსაკუთრებით გაესვა ხაზი საბერძნეთის მიერ გაწეულ ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას, ჩვენი ქვეყნისათვის გამოყოფილ შეღავათიან კრედიტებს.

„ის ფაქტი, რომ ჩვენს დელეგაციაში 26 ბიზნესმენია, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობით, თავისთავად მეტყველებს ეკონომიკური კავშირურთიერთობის მომავალ განმტკიცებაზე", — განაცხადა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და გამოთქვა რწმენა, რომ ამჟამინდელი ვიზიტით ახალი ეტაპი დაიწყება ორ ქვეყანას შორის დღემდე არსებულ ურთიერთობაში.

შეხვედრაზე ისაუბრეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის მნიშვნელობაზე, რომელსაც ამჟამად საბერძნეთი თავმჯდომარეობს, მის მომავალ მიზნებსა და ამოცანებზე. აღინიშნა, რომ სასურველია გაღრმავდეს საბერძნეთის როლი სამი ზღვის — კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნების თანამშრომლობაშიც.

საბერძნეთის მხარე მზად არის ახალი კრედიტებით დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. ამ საქმის დეტალებს ექსპერტები შეისწავლიან. გადაწყვეტილია, რომ წალკის გზის სარემონტოდ საჭირო მილიონ დოლარსაც საბერძნეთის მხარე გაიღებს.

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ ყველაზე მთავარი, რაც ორ ქვეყანას აკავშირებს, ჩვენი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობაა. საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ბერძნები. ისტორიული ტრადიციების გაღრმავებას კი, სტუმართა აზრით, ხელს შეუწყობს საქართველოში საბერძნეთის კულტურის კერის დაარსება, რასაც საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრებს სრული დახმარება აღუთქვა.

* * *

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომლებმაც უნდა გაამდიდრონ საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და საქმიანი თანამშრომლობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდროს ბალტასმა ხელი მოაწერეს კონვენციას ორ ქვეყანას შორის შემოსავლის და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა და საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორის ნიოტისმა ხელი მოაწერეს, აგრეთვე, შეთანხმებას ორ სახელმწიფოს შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ.

* * *

საქართველოს და საბერძნეთის პრეზიდენტთა პოზიციები ყველა პრინციპული საკითხის მიხედვით ემთხვევა, — ეს ითქვა ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც დოკუმენტების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიის დასრულებისთანავე გამართეს ედუარდ შევარდნაძემ და კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა. პრესკონფერენციის გახსნისას საქართველოს პრეზიდენტი თავისი და მთელი ქართველი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ გულთბილად მიესალმა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და ამ ქვეყნის წარმომადგენლობით დელეგაციას, რომელსაც იგი მეთაურობს. არ მაქვს უფლება, თქვა მან, არ გავიხსენო ამაღლებული, ზღაპრული შეხვედრა ათენში, როცა იქ ვიყავი ვიზიტად ჩემს კოლეგებთან ერთად, პრემიერი, ის გულითადი ატმოსფერო და გულთბილი სიტყვები, რომლებიც მაშინ ითქვა. ამასთან, ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებით გამოყო წმინდა მთის დათვალიერება, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, იშვიათი ხვედრია მისი თანამედროვეთათვის.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამჟამინდელ ვიზიტს. საქმე ის არის, თქვა მან, რომ საუკუნეთა და ათწლეულების განმავლობაში ჩვენი ქვეყნები და ხალხები ქმნიდნენ მრავალ უნიკალურ ტრადიციას, რომელთა დაკარგვის საფრთხე, ცნობილი მიზეზების გამო, რეალური იყო, მაგრამ დღეს უფრო რეალური ხდება შანსი ავაღორძინოთ ყოველივე ის საუკეთესო, რაც გვაერთიანებდა მთელი ამ წლებისა და ათასწლეულების განმავლობაში. როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, ამჟამად უკვე მოქმედებს ოცზე მეტი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ძირითად დარგებში ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ, რომლებიც მოიცავენ თითქმის ყველა სფეროს. დღეს კი, აღნიშნა მან, ეს ბაზა შეივსო კიდევ ორი მნიშვნელოვანი შეთანხმებით. საქართველოს ხელმძღვანელმა სთხოვა საბერძნეთის პრეზიდენტს გადასცეს მისი ქვეყნის ხალხს გულწრფელი მადლიერება იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც საქართველო მუდამ გრძნობდა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში, რომელიც ქვეყანაში აღიქვეს როგორც მისი დაბრუნება ევროპულ ოჯახში, მოხდა მაშინ, როცა ამ საერთაშორისო ორგანიზაციას საბერძნეთი თავმჯდომარეობდა.

ამჟამინდელი ვიზიტის დროს გამართულ მოლაპარაკებებზე საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქმე ეხებოდა ევროკავშირის, ნატოს და, რა თქმა უნდა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში ურთიერთმოქმედების განვითარების შესაძლებლობას. როგორც მან თქვა, განიხილეს, აგრეთვე, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მან მადლობა გადაუხადა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს იმისთვის, რომ ამ კონფლიქტის მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭოს სპეციალური სხდომა გაიმართა ათენში. რაც შეეხება კოსოვოში შექმნილ ვითარებას და სხვა კონფლიქტებს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ორი პრეზიდენტის აზრები და პრინციპული შეხედულება მათ თაობაზე თითქმის ადეკვატურია. საუბარი შეეხო, აგრეთვე, „დიდ აბრეშუმის გზას" და ამ გლობალური პროექტის განხორციელებაში საბერძნეთის ბიზნესის, ეკონომიკის აქტიურ მონაწილეობას, თქვა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველომ საბერძნეთისაგან მიიღო სერიოზული ჰუმანიტარული დახმარება 3 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის სახით, რომელიც ქვეყანამ შეიტანა როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ბანკის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, აგრეთვე, შეღავათიანი პირობებით გამოყოფილი სოლიდური კრედიტები.

საქართველოს პრეზიდენტმა დიდი შეფასება მისცა საქართველოს ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებთან თბილისში წინადღით გამართულ შეხვედრას, რომელშიც საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ედუარდ შევარდნაძის თქმით, საქართველო ამაყობს თავისი ბერძენი თანამოქალაქეებით. ასე იყო ისტორიულად, ასეა ახლა, ასე იქნება მომავალშიც, დასძინა მან.

საბერძნეთის პრეზიდენტმა, რომელმაც მადლობა გადაიხადა თბილი და გულითადი შეხვედრის, იმ არნახული სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც შეხვდნენ არა მარტო მას, არამედ დელეგაციის ყველა წევრს, განაცხადა, რომ ეს გახდა ურთიერთგაგების, სიყვარულისა და პატივისცემის კიდევ ერთი დადასტურება, რომელიც ჩვენ ორ ხალხს შორის არსებობს. ამასთან, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც მთელ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსის, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწისადმი თავისი ღრმა პატივისცემა. პირადად მე, თქვა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა ედუარდ შევარდნაძისადმი მიმართვისას, თქვენთან შეხვედრის ყოველი შესაძლებლობის დროს თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი. მან აღნიშნა, რომ ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდება მის აზრებსა და რჩევებს, მთლიანად იზიარებს მათ როგორც ორმხრივი ურთიერთობის დროს, ისე იმ საკითხებში, რომლებიც საერთაშორისო ცხოვრებას ეხება.

საბერძნეთის პრეზიდენტის თქმით, მის ქვეყანაში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პროგრესს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. როგორც მან განაცხადა, საბერძნეთსა და საქართველოს აქვთ იდენტური პოზიცია თითქმის ყველა პრობლემის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, როგორც მას მიაჩნია, რადგან საბერძნეთი სადღეისოდ არის ერთ-ერთი სტაბილური ქვეყანა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, საქართველოც უნდა გახდეს კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ კუნძულად და ამაში, რა თქმა უნდა, მას უნდა დაეხმაროს ამ რეგიონში მდებარე ყველა ქვეყანა. კონსტანტინოს სტეფანოპულოსის აზრით, საბერძნეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ სფეროში არსებული გარკვეული თანამშრომლობის მიუხედავად, მის დონეს დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლით. ჩვენ ვალდებული ვართ, თქვა მან, და ამისთვის ყველა შესაძლებლობაც გვაქვს, რომ ეს თანამშრომლობა განვავითაროთ და გავაღრმავოთ. ვფიქრობ, აღნიშნა საბერძნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ამას შეუწყობს ხელს ის სოლიდური იურიდიული ბაზაც, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს, აგრეთვე, უდიდესი სურვილი, რომელიც ჩვენს ხალხებს ამოძრავებს. რა თქმა უნდა, თქვა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა, აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებზე. საბერძნეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისში მასთან ერთად ჩამოვიდა 26 ბიზნესმენი, რაც, მისი აზრით, არის დადებითი ელემენტი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარების საქმეში.

საბერძნეთის პრეზიდენტმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ, სანამ მისი ქვეყანა იქნება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ განვითარდეს და განმტკიცდეს თანამშრომლობა მასში შემავალ ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოსთანაც. რაც შეეხება ევროკავშირს, კონსტანტინოს სტეფანოპულოსის თქმით, საბერძნეთი, ამ ორგანიზაციის წევრი, რომელსაც საქართველოსთან არა მარტო გეოგრაფიული, არამედ სულიერი სიახლოვეც აკავშირებს, მომავალშიც გაუწევს მას დახმარებას, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან. ღრმად ვარ დარწმუნებული, განაცხადა მან, რომ ისტორიული აბრეშუმის გზა, რომელიც დღეს უკვე მხოლოდ „აბრეშუმის" გზა არ არის, განვითარდება და შეუწყობს ხელს ყველა ქვეყნის თანამშრომლობასა და აყვავებას, ჩვენი ქვეყნით დაწყებული და აზიის რეგიონით დამთავრებული. ამ მიზნით საბერძნეთი აპირებს განაგრძოს ყოველმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირთან, დასძინა მან.

საბერძნეთისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებზე საუბრისას, ბატონმა სტეფანოპულოსმა აღნიშნა, რომ პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებთან ერთად, დიდი პოტენციალი აქვს კულტურულ სფეროსაც, რომელშიც ამ ორივე ქვეყანას ბევრი რამ შეუძლია მისცეს მსოფლიოს.

ედუარდ შევარდნაძემ და კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

* * *

10 მაისს, გამარჯვების პარკში საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა, ოფიციალური დელეგაციის წევრებმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ პატივი მიაგეს სამშობლოსათვის დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

* * *

საქართველოსა და საბერძნეთს შორის ისტორიულ ურთიერთობას ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ჩაეყარა საფუძველი, ხოლო მეოთხე საუკუნიდან, სწორედ საბერძნეთში კონსტანტინე დიდი იმპერატორის მართვის პერიოდში საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა და ერთმორწმუნეობამ კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ორი ქვეყნის ხალხები, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან კონსტანტინოს სტეფანოპულოსთან 10 მაისს საქართველოს საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე. მთელი ქართული კულტურა და ცივილიზაცია იმთავითვე დაეყრდნო მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოსა და ბიზანტიის ინტენსიური ურთიერთობა, რამაც ასახვა ჰპოვა ქართულ მწერლობაში, განათლებასა და კულტურაში. უწმინდესმა და უნეტარესმა ხაზგასმით აღნიშნა ქართულ და ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული მჭიდრო ურთიერთობა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, საქართველოს ხელისუფლება, თქვა კათალიკოს-პატრიარქმა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ყოველგვარ შესაძლო დახმარებას უწევს საქართველოში მცხოვრები ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს. უწმინდესმა და უნეტარესმა რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში საბერძნეთის პრეზიდენტის ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ქვეყნის მრავალმხრივ კავშირურთიერთობას.

საბერძნეთის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა დელეგაციის წევრების, მთელი ბერძენი ხალხის სახელით ერ
დევ განუცხადა საქართვე
თალიკოს-პატრიარქს საქარ
სა და ქართველი ხალხს
პატივისცემა და ერთგულ
მელიც ბერძენმა ხალხმა
ების განმავლობაში ღირ
ატარა და დღემდე შეინარ
რძნებისათვის, აღნიშნა მ
მნიშვნელოვანი ფაქტია,
ქართველოს გაქრისტიან
სტანტინე დიდის იმპერატ
პერიოდში მოხდა, რომლ
ლითანაც ბერძენი ხალხი სა
ამაღლებას აიგივებს. ბა
ნსტანტინოს სტეფანოპ
თქმით, სწორედ მართლმ
ლობა არის ის უმთავრ
რომელიც ორი ქვეყნის
სხვა ისტორიულ კავში
ერთად კიდევ უფრო აახ
საბერძნეთის პრეზიდე
ნსაკუთრებული შთაბეჭდი
ახდინა იმ ფაქტმა, რომ
ველოს საპატრიარქოში,
მართლმადიდებლობის უძ
რამი, ინახება ქრისტიანუ
ლიგიის უდიდესი რელიკ
ხთაგან ერთ-ერთი სამსჭვ
მლითაც მაცხოვარი ჯვარ
საპატიო სტუმრის მოწ
თხოვნით, საქართველოს
კოს-პატრიარქმა შესაძლ
მისცა საბერძნეთის პრეზ
და მის თანხლებ პირებ
ბოდნენ ქრისტეს სამსჭვა
უდიდესი პატივია ყოველ
ტიანისათვის.

დასასრულ სრულიად ს
ველოს კათალიკოს-პატრ
უწმინდესმა და უნეტარეს
მეორემ საბერძნეთის რესპ
პრეზიდენტს კონსტანტი
ფანოპულოსს საჩუქრად გ
უძველესი ქართული ჭედ
მესრულებული ხატი.

* * *

10 მაისს, საღამოს, მთა
კრწანისის რეზიდენციაში
თველოს პრეზიდენტმა ედ
ვარდნაძემ ოფიციალური
გამართა საბერძნეთის რე
კის პრეზიდენტის კონსტა
სტეფანოპულოსის პატივ
სადილზე ედუარდ შევა
და კონსტანტინოს სტეფან
სმა სადღეგრძელოები წარ
(სადღეგრძელოებს გ
ხვალინდელ ნომერში გამ
ყნებთ).

* * *

საქართველოში საბერ
პრეზიდენტის ოფიციალური
ფარგლებში 10 მაისს გაიმა
ქართველოს საგარეო საქ
ნისტრის პირველი მოადგ
ორგი ბურდულის შეხვედ
ბერძნეთის რესპუბლიკის ს
საქმეთა მინისტრის მოადგ
გრიგორის ნიოტისთან, რ
საბერძნეთის პრეზიდენტ
მხლები ოფიციალური დელ
შემადგენლობაშია.
მხარეებმა ერთმანეთს
მოსაზრებები რეგიონულ
ქტებთან დაკავშირებით.
სმა ხაზგასმით აღნიშნა, რ
ბერძნეთის მხარე იზიარებ
რთველოს პრეზიდენტის მ
მოყენებული კოსოვოს კ
ქტის მოგვარების გეგმას
რეგიონულ თანამშრომლ
საუბრისას ორივე მხარე
ხატა კმაყოფილება ბისე
გიონულ ეკონომიკურ ორ
ციად ტრანსფორმაციასთა
ვშირებით, რაც საბოლო
აპრილს თბილისში გამა
ინაუგურაციით დასრულდ
რთველოს მხარემ დაინტ
გამოხატა ხმელთაშუა ზღ
თის ქვეყნებთან თანამშრ
ბის განვითარებით.
შეხვედრაზე მნიშვნელო
რადღება დაეთმო საქართ
ეკონომიკაში ბერძნული ი
ციების მოზიდვის, საბერძნ
რიდან საქართველოსათვის
ვათიანი კრედიტის გამოყ
საძლებლობებს. გ. ბურდუ
ნსაკუთრებული მადლიერ
მოხატა იმ დახმარებისათვ
მელსაც საბერძნეთი უწევ
რთველოს სამხედრო და
დრო-ტექნიკურ სფეროში
ოტისმა განაცხადა, რომ
თველო სულ მალე ახალ
დრო დახმარებას მიიღებ
ბისეკის წევრი ქვეყნებ
რეო საქმეთა მინისტრებ
ვედრაზე თბილისში ყოფნ
ბერძნეთის რესპუბლიკის ს
საქმეთა მინისტრმა გ. პაპ
საქართველოს საგარეო ს
მინისტრი ოფიციალურ ვიზ
იწვია საბერძნეთში. გ. ნ
იმედი გამოთქვა, რომ ეს
მალე შედგება.

* * *

იმავე დღეს საბერძნე
სპუბლიკის საგარეო საქმ
ნისტრის მოადგილე გრიგო
ოტისი შეხვდა საქართველ
ხოვრები ბერძნული დიასპო
რმომადგენლებს. საუბარი
ბერძნული დიასპორის ყოფ
ბლემებს, საქართველოში
ერები ბერძნების წვლილს
აღმშენებლობაში.

საქინფორმის სპეცი
კორესპონდ
ბესიკ კეზერაშვი
დავით ხიზანიშვილი
(საქინფორმის ფოტოქრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 5 მაისი ქ. თბილისი

თ. შვანგირაძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდული გზით ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ყალბი ვალუტის შემომტანთა და ამსაღებელთა დაკავებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი **თორნიკე შვანგირაძე** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე

შეხვედრა სტუდენტებთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ვანიამ სტუდენტური ლიგის, ბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტის, სტუდენტური კაირების, სხვადასხვა ეკლეიათა მრევლის წარმომადენლები მიიღო. საუბრის თეა საგანძურის უცხოეთში ექპონირება იყო.

ახალგაზრდებმა ასე ჩამოყალიბეს თავიანთი პოზიცია: ტი სულიერი რელიკვიაა, მას კრალური დანიშნულება აქვს ა მისი ტრანსპორტირება მკეხელობაა, რაც შეეხება სხვა ლტურულ ფასეულობებს, ეს კითხი ექსპერტთა გადასაწყვეტია. მათვე პარლამენტის ავმჯდომარეს ეკლესიის საუთრების იურიდიულ ნორმეში მოქცევა და მათი სტატუსის ნმსაზღვრელი კანონმდებლოს შემუშავების დაჩქარება თხოვეს.

„ჩვენ ვამზადებთ დიდ ხელკრულებას მთავრობასა და აპატრიარქოს შორის, რომეიც არა მარტო ტაძრებისა და ლიერი ფასეულობების დაცსკენ არის მიმართული, არაედ აწესრიგებს იურიდიულ სტასს ყოველივე იმისა, რაც ეკესიის საკუთრებაში უნდა იყოს ოქცეული. ეს სისტემა აპრორებულია ცივილიზებულ ქვეებში და მე, როგორც მარლმადიდებელი მრევლის წერი, ამ საკითხს უდიდეს მნინელობას ვანიჭებ“, — განაადა ზურაბ ჟვანიამ. მისივე ამარტებით, საქართველოს კალიკოს-პატრიარქის პოზიცია საკითხში ჩამოყალიბებულია , უწმინდესისა და უნეტარესის დვის არგაზიარება ყოვემართლმადიდებლის მხრინ კადნიერებაა. საქართველოს რლამენტის თავმჯდომარეს აჩნია, რომ სასულიერო და რო ხელისუფლება ერთად და ზრუნავდეს ერის საგანრზე და სამების ტაძრის მშელობის დამთავრების შემდეგ განძი იქ უნდა იქნას დაცული. ავე დროს, ყოველ მორწმუ უნდა ჰქონდეს და ექნება ხატებზე ლოცვის საშუალება. პარლამენტის თავმჯდომარემ ახალგაზრდებს აღუთქვა, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც მათ შეხვედრაზე წამოჭრეს, საქართველოს ხელისუფლების, პირადად პრეზიდენტის მსჯელობის საგანი იქნება. რაც შეეხება ამ ფასეულობათა საზღვარგარეთ ექსპონირების საკითხს, ეს სწორედ ზემოთ აღნიშნული კონტექსტიდან საპატრიარქოს, საზოგადოებრიობისა და ექსპერტთა აზრის გათვალისწინებით გადაწყდება.

პარლამენტის პრესსამსახური.

კანონმდებლები

(პირველი გვერდიდან)

უჩვეულოდ დაწყებული ბიუროს სხდომა

ამავე შეხვედრაზე როგორც ზურაბ ჟვანიამ განუცხადა დამსწრეთ, პირადად იგი მომხრეა მოქმედი კანონმდებლობა იმდაგვარად დაიხვეწოს, რომ უზრუნველყოს პარლამენტში საზოგადოების მაქსიმალურად ფართო სპექტრით წარმოდგენა. თუმცა, კონსტიტუციური ცვლილებები, მისი აზრით არ არის გამართლებული. ლაპარაკია დადგენილი მინიმუმის არაპირდაპირი გზით შემცირებაზე, თუმცა, როგორც თავადვე თქვა, ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. საკონსტიტუციო, იურიდიული საკითხების და კანონიერების კომიტეტს დაევალა ამასთან დაკავშირებული ყველა წინადადების შესწავლა და პარლამენტისათვის დასკვნების წარდგენა. ამდენად, საუბარი რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების ლობირებაზე მისი მხრივ, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საფუძველს მოკლებულია. იგივე მოსაზრება დაადასტურა პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ გამართულ ბიუროს სხდომაზე. „მე მომხრე ვარ დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს მოქმედი კანონმდებლობა, რათა პარლამენტში წარმოდგენილი იყოს საქართველოში არსებული რეალური პოლიტიკური სპექტრი, თუმცა კონსტიტუციური ცვლილებები პრაქტიკულად შეუძლებელია“, — განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

ირინა სარიშვილის შეფასებით, აუცილებელია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის მინიმალური ზღვარის 7 პროცენტამდე აწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტში თავს მოიყრის პარტიათა გაუმართლებლად დიდი რაოდენობა. ირინა სარიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის განმარტება არ მიიჩნია საკმარისად და პროტესტის ნიშნად დატოვა ბიუროს სხდომა.

ბიუროს სხდომის ამრიგად წარმართვა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კობახიძემ ბიუროს რეგლამენტის დარღვევად შეაფასა და მანაც დატოვა სხდომა. თუმცა, როგორც მოგვიანებით ფრაქცია „სახალხოს“ წევრმა გიორგი გოგნიაშვილმა ბიუროზე განაცხადა, მისი პარტია მხარს უჭერს მოქმედ კანონმდებლობას და წინააღმდეგი არ არის მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში.

ადრე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ამ საკითხებს საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი შეისწავლის და დადგენილ ვადებში წარმოადგენს დასკვნებს.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

პარლამენტის პრესსამსახური.

თარიღი 9 მაისი

ომის ვეტერანებთან, ტრადიციისამებრ

9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების 54 წლისთავი საქართველოს პარლამენტში, ტრადიციისამებრ, ომის ვეტერანთა საზეიმო მიღებითა და სადღესასწაულო შეხვედრით აღინიშნა.

აფხაზეთის, ავღანეთისა და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე ორასამდე ვეტერანს საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჰამლეტ გეგენავამ და ვეტერანთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა თენგიზ ჭიქაბერიძემ პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სახელით სიგელები და სამედიცინო დაზღვევის ერთწლიანი პოლისები გადასცეს. საზეიმო ღონისძიებების ინიციატორს „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პარტიას“ მატერიალური ხელშეწყობა სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“, გაზეთმა „ალიამ“ და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა აღმოუჩინეს.

საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ციციშვილმა, რომელიც ყველა ვეტერანის სახელით გამოვიდა, აღნიშნა, რომ 9 მაისის საზეიმო ტრადიციის აღდგენა ყველა ომის მონაწილეთათვის იმის დასტურია, რომ სამშობლოს მათი ღვაწლი და თავგანწირვა არ დავიწყებია.

ღვაწლმოსილ ვეტერანებს რუსთაველის სახელობის დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და ძალოვანი სტრუქტურებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეხვდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარემ მათ საზეიმო თარიღი მიულოცა და ვეტერანებს ყოველმხრივი დახმარების, მათ შორის, მატერიალური დახმარების გაწევა აღუთქვა. „თქვენ უნდა იგრძნოთ, რომ ეს სახელმწიფო, პირველ რიგში, თქვენი სახელმწიფოა და ის თქვენზე ზრუნავს, როგორც საკუთარ ვეტერანებზე, როგორც თავისი საზოგადოების ყველაზე პატივსაცემ წარმომადგენლებზე“, — აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის სახელით, საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეულ ვეტერანებს თავდადებისა და ღირსეული სიცოცხლისათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

საზეიმო შეხვედრაზე ვეტერანთათვის ასე ნაცნობი და მშობლიური, ომის დროინდელი მელოდიები საქართველოს სამხედრო ძალების ორკესტრმა შეასრულა, ვეტერანებმა კი დღესასწაულის ბოლოს, ახალგაზრდობა გაიხსენეს და პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრები საცეკვაოდ მიიპატიჟეს.

პარლამენტის პრესსამსახური.

მიესათუთნენ, მოეფერნენ

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფკომიტეტის (თავმჯდომარე ეკა დანელია) თაოსნობით წლეულს უკვე მესამედ გაიმართა ომის მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კაფე-საღამო, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღესასწაულს მიეძღვნა.

ამაღელვებელი, თბილი შეხვედრისათვის მათი ღვაწლის არდავიწყებისა და მათდამი გამოჩენილი მზრუნველობისათვის, პირადად, უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ვახტანგ სართანიასადმი და ასევე პროფკომიტეტის მიმართ თავიანთ გამოსვლებში მადლიერება გამოხატეს პროფესორებმა: არჩილ ჩხეიძემ, ნატალია კვეზერელი-კოპაძემ, ალექსანდრე ფოცხიშვილმა, ოთარ ქაჯაიამ და სხვებმა.

უნივერსიტეტის პროფკომიტეტმა ომის ვეტერანები, 19 კაცი, დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით, ხოლო რექტორის ბრძანებით თითოეულ მათგანს ჯილდოდ მიეცა ერთი თვის ხელფასი.

ესმა ალავიძე.

ბათუმი, 9 მაისი...

ფაშიზმზე გამარჯვების 54 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებებით დაიწყო ცერემონია დიდების ობელისკთან. აქ მოსულმა ვეტერანებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მეომრებმა, გვირგვინებით შეამკეს ობელისკი. ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მიეცა სალუტი. სალუტი მოეწყო ფერიის ძმათა სასაფლაოზე, სადაც ასევე პატივი მიაგეს დაღუპულ სამშობლოს დამცველებს.

9 მაისის გამო ზეიმში მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

მათი სახელი ლეგიონია

ქართლის მეთაურმა ქალაქმა წლეულს 54-ედ აღნიშნა ბოროტებზე სიკეთის ძლევის ისტორიული დღე.

მეორე მსოფლიო ომში ქ. გორიდან და გორის რაიონიდან 12679 კაცი წავიდა. მათ კი მხოლოდ 5829 მობრუნდა. დღეს ათას კაცამდეღა თუ დაითვლი. მაგრამ მათი სახელი კვლავაც ლეგიონია! ვეტერანები გამარჯვების დღესასწაულზე ოჯახის წევრებთან — შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მოდიან და ქალაქის მთავარ მოედანზე გამარჯვების მთავარსარდლის ძეგლს ყვავილებით რთავენ.

და რა თქმა უნდა, ვეტერანების შეხვედრისა და შეკრების ადგილია ქალაქის საბრძოლო დიდების მუზეუმი, მისი დარბაზები, გემოვნებით მოწყობილი ექსპოზიცია.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია მუზეუმს ხელმძღვანელობს ამ საქმის ჩინებული მცოდნე დარეჯან ვაშაკაშვილი. მუზეუმის მეცნიერ-მუშაკთა მცირერიცხოვანი კოლექტივი დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს — ქალაქში, სოფლებში ომში დაღუპულთა ოჯახებში ეძიებენ ახალ ექსპონატებს, ფრონტულ ბარათებს, მემორიალურ ნივთებს. ამ დღეებში სამუზეუმო ექსპოზიცია ორი გორელი ღირსეული მამულიშვილის, გამოჩენილი მეცნიერის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძისა და ცნობილი ავიატორის, სოციალისტური შრომის გმირის ივანე სამადალაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალებით შეივსო.

იყო გულითადი შეხვედრები, ყვავილები, სიხარულის ცრემლები და ხვალინდელი დღის იმედი...

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

ქართველი მწერლის ჩანაწერებიდან გერმანიასა და საფრანგეთში, ევროპის საბჭოსა და ევროპარლამენტში

ევროპული და მსოფლიო ტრიუმფი

ევროპის თავზე ფრიალებს საქართველოს ეროვნული დროშა. ციდან დაჰყურებს დედამიწას ვარსკვლავი „ედუარდ შევარდნაძე“.

1. მუსიკა, სიტყვა და პოლიტიკა. ჰიმნი, გერბი და დროშა.

„პირველთაგან იყო სიტყვა“...
სახარება.

რიხარდ შტრაუსი მრავალ ათეულ წელს უძღვებოდა სტრასბურგის მსოფლიოში სახელგანთქმულ ორკესტრს. ახლა ოტელ „ჰილტონიდან“ ვხედავ სტრასბურგის მუსიკის სასახლეს და პოსტმოდერნულ მარმარილოს ქანდაკებებს.

მუსიკა მუდამ ცოტაა პოლიტიკაში, მაგრამ ჰარმონია მუსიკასაც სჭირდება და პოლიტიკასაც. და არა მარტო ჰარმონია, — აკუსტიკაც. და, რაც მთავარია, პოლიტიკურ ორკესტრს თავისი დირიჟორი სჭირდება, თავისი შტრაუსი, თავისი პაგანინი. ცუდია ის პოლიტიკა, რომელიც არავის ესმის...

პოლიტიკაც ხელოვნებაა, ოღონდ შესაძლებლის ხელოვნება.

დღეს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლის წინაშე საზეიმოდ აღიმართა საქართველოს დროშა. აჟღერდა საოცარი მუსიკა — საქართველოს ეროვნული ჰიმნი. პოლიტიკა მუსიკითაც მეტყველებს.

სულხან-საბა ორბელიანი გამახსენდა. მას ოცნებაც არ შეეძლო აქ საქართველოს დროშის აღმართვაზე. ედუარდ შევარდნაძემ ეს რეალობად აქცია.

ბაგრატიონთა ნათესავმა პეტრე პირველმა მხოლოდ „ფანჯარა გაჭრა“ ევროპაში. ჩვენ ევროპას „დარუბანდიდან მოტანილი კარი“ შევაბით.

დავით აღმაშენებლის კარი შეაბა ევროპას ედუარდ შევარდნაძემ.

სათქმელი უნდა ითქვას. იესო ქრისტემ თქვა: „ღმერთს — ღმერთისა, კეისარს — კეისრისა“.

ჟღერდა ქართული ჰიმნი სტრასბურგში. ქართულ გერბზე წმინდა გიორგი გმირავდა შუბით ურჩხულს, სიკეთე ებრძოდა ბოროტებას. ედუარდ შევარდნაძეს, ნათლობაში გიორგი შევარდნაძეს, — წმინდა გიორგის სახელი ჰქვია. ხოლო „გეორგია“ საქართველოს ბერძნული და გერმანული სახელია. საოცრად ლოგიკურია ყველაფერი.

პოლიტიკა არა მხოლოდ მუსიკით, არამედ სახეებითაც მეტყველებდა იმ დღეს სტრასბურგში.

ევროპის თავზე ფრიალებდა სუვერენული საქართველოს ეროვნული დროშა. პოლიტიკა სიმბოლოებითაც მეტყველებდა იმ დღეს.

საოცარი იყო ქართული პოლიტიკის ფერთამეტყველება. სტენდალთან მხოლოდ „წითელი და შავი“ მეტყველებს. ქართული პოლიტიკა კი მეტყველებდა სამი ფერით: წითელით, თეთრით და შავით.

ქართული პოლიტიკის ფერთამეტყველება „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველებასავით ღრმა, პოეტური და ფილოსოფიური იყო.

წითელი ფერი — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაცემულ რაინდთა სისხლის ფერს გვაუწყებდა, შავი ფერი — ქართული ისტორიის გარდასულ ღამეს, ხოლო თეთრი ფერი — საქართველოს მზჩაუსვლელ, მარად ნათელ დღევანდელობას და მომავალს...

ამოუწურავია სახეებით და იდეებით მოაზროვნე გონებისათვის ქართული პოლიტიკის ფერთამეტყველება, მათი ინტერპრეტაციისა და ჰერმენეტირების შესაძლებლობები.

იმ დღეს საქართველომ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით.

და მერე იყო ედუარდ შევარდნაძის ბრწყინვალე სიტყვა ევროსაბჭოში, საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე. ამ სიტყვამ „დახურა წარსული და გახსნა მომავალი“.

სწორია სახარება: დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი.

იმ დღეს ქართული პოლიტიკა ალაპარაკდა ედუარდ შევარდნაძის მაღალი ორატორული ხელოვნებით და ღრმა სიბრძნისმეტყველებით.

ქართული სიტყვა რუსთაველური მომხიბვლელობით ჟღერდა რაბლეს და მონტესკიეს, ვოლტერის და რუსოს, დიდროს და დალამბერის, ნაპოლეონის და დე გოლის სამშობლოში, „ახალი ევროპის დედაქალაქში“.

იმ დღეს იქ, სტრასბურგში იყო მთელი საქართველო. ერთად შეიკრა წარსული, აწმყო და მომავალი.

მომეჩვენა, თითქოს ილიას აჩრდილმა სტრასბურგის უნივერსიტეტის ფასადზე კანტის გვერდით გამოქანდაკებულ ლაიბნიცის ფიგურაზე მიმითითა და მითხრა: აწმყო, შობილი წარსულისაგან, — არის მშობელი მომავალისა. ამ ფორმულასთან დაკავშირებულია ლაიბნიცის, ჰეგელის, ილია ჭავჭავაძის სახელები. ილიამ ამ ფორმულის თავისებური ინტერპრეტაცია მოგვცა.

არც გამკვირვებია, რომ სტრასბურგში ილია ჭავჭავაძის აჩრდილი გამომეცხადა. აკი თავად ილიამ ბრძანა: მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული.

ორმოც წელზე მეტია მე ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ვმუშაობ, მაგრამ ისეთი ბედნიერი, როგორიც იმ დღეს იყო სტრასბურგში, მე ის იშვიათად მინახავს.

გოეთეს „ფაუსტი“ გამახსენდა: „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო!“ დრო თითქოს უჟამო ჟამით მარადიული გახდა.

მართლაც რომ: თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინც ამისთვის ყოველდღე იბრძვის!

ჭეშმარიტად, თეორია უფერულია, მაგრამ მარად მწვანედ ბიბინებს ხე სიცოცხლისა!

2. ედუარდ შევარდნაძის ახალი წიგნი „დიდი აბრეშუმის გზა. TRACECA. PETrA ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ევრაზიის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“ — სტრასბურგში.

სტრასბურგის ბიბლიოთეკებში მე ვნახე ედუარდ შევარდნაძის ცნობილი წიგნი: „ჩემი არჩევანი: დემოკრატია და თავისუფლება“, რომელიც ევროპის და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიცა და ბესტსელერად იქცა.

მე დავტოვე სტრასბურგში ედუარდ შევარდნაძის ახალი წიგნი „დიდი აბრეშუმის გზა. TRACECA. PETrA ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ევრაზიის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“. ეს წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ამას წინათ ქართულ ენაზე. მალე გამოვა ეს წიგნი ინგლისურ და რუსულ ენებზე.

წიგნი აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ დიდი აბრეშუმის გზის რესტავრაციის პრობლემა პირველად ედუარდ შევარდნაძემ წამოჭრა ჯერ კიდევ 1990 წელს, ვლადივოსტოკში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე: დიალოგი, მშვიდობა, თანამშრომლობა. ეს ერთი.

მეორე. ედუარდ შევარდნაძე განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, „ზღვა-მდინარის“ პრინციპით დიდი აბრეშუმის გზა, ტრასეკა-დუნაი-მაინ-რეინის გზით ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის გავლენის სივრცემდე აღწევს და უფრო შორსაც მიდის.

მესამე. ედუარდ შევარდნაძე წერს, რომ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინებაში უდიდესი როლი შეასრულა ევროკავშირმა, ევროკომისიამ, მაგრამ ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტზე ასევე დიდ იმედებს ვამყარებთ, რადგანაც დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პროექტი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური შინაარსის შემცველი დოკუმენტია: ის ხელს უწყობს პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმოშობილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების არა მხოლოდ ეკონომიკურ აყვავებას, ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკაში მათ საიმედო ინტეგრირებას, არამედ იმავე დროს მყარ საფუძველს ქმნის ამ ახალი სახელმწიფოების პოლიტიკური სუვერენიტეტის დასაცავად.

მეოთხე. ედუარდ შევარდნაძე პირველი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც ევროპის საერთო ბაზრის მოდელის მიხედვით კავკასია-ევრაზიის საერთო ბაზრის პროექტის შექმნას შეუწყო ხელი. ე. შევარდნაძის ამ წიგნის იდეები პრაქტიკულად ამოუწურავია. მე აქ მხოლოდ რამდენიმე პრობლემას გავუსვი ხაზი.

3. ფიქრები სტრასბურგში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობაზე ევროპაში

ედუარდ შევარდნაძემ თავის ისტორიულ სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა სტრასბურგში, ევროსაბჭოში საქართველოს წევრად მიღებასთან დაკავშირებით, მოიხსენია დიდი ქართველი დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში. და ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. სულხან-საბას ღვაწლიც გვაახლოვებდა ამ ისტორიულ დღესთან.

იმ წუთს სულხან-საბას ცრემლშემშრალი თვალებით შემომხედა თითქოს წარსულმა.

რაც შეუძლებელი იყო სულხან-საბას ეპოქაში, დღეს, ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში, სავსებით შესაძლებელი გახდა. მაგრამ ეს შესაძლებლობა თავისით არ მოსულა. დიდია პირადად შევარდნაძის როლი ამ შესაძლებლობის შექმნაში. მხედველობაში მაქვს: მისი „ახალი აზროვნება“, მისი როლი მსოფლიო ლიბერალურ დემოკრატიულ რევოლუციაში, მისი მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა ამ საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში. მე აქ არაფერს არ ვაჭარბებ. ეს, ჩვენ დღეს რომ არ ვთქვათ, მომავალი მაინც იტყვის. მაგრამ ამას დღეს ვამბობთ, მომავლის გასაგონად. დაე, მომავალმაც იცოდეს, რომ ედუარდ შევარდნაძის თანამედროვენიც ნათლად ვხედავდით მისი მოღვაწეობის ისტორიულ არსს და მნიშვნელობას თანამედროვეობის გადასახედიდან, ისტორიული დისტანციის გარეშეც. ისტორიულმა დისტანციამ თავისი თქვას.

ედუარდ შევარდნაძის იმიჯი არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ პარტიის, ფრაქციის, პოლიტიკური დაჯგუფების, ოპოზიციის სურვილზე, განწყობაზე, კეთილ თუ ბოროტ ნებაზე, ის ობიექტურად არსებული ისტორიული ფენომენია, რომელსაც ვერც ვერაფერს მოუმატებ და ვერც ვერაფერს დააკლებ შენი სუბიექტივიზმით და ტენდენციურობით. მას ისტორია თავისი კრიტერიუმებით აფასებს და წონის. ყოველგვარი სხვაგვარი დამოკიდებულება მისი პიროვნებისადმი ანტიისტორიზმის ფარგლებშია მოქცეული.

4. მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუცია და ედუარდ შევარდნაძის როლი ამ რევოლუციის განხორციელებაში

XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში მოხდა უდიდესი გარდატეხა მსოფლიო ისტორიაში: ორად გახლეჩილი მსოფლიო გაერთიანდა.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის დემონტაჟი, ვარშავის პაქტის დაშლა, ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის და ევროპის გაერთიანება, „ცივი ომის“ დამთავრება, პოსტსაბჭოურ სივრცეში 15 თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა, ტოტალიტარიზმსა და ავტოკრატიაზე დემოკრატიისა და თავისუფლების შეუქცევადად გამარჯვება, — ეს ცალკეული, ერთმანეთს მოწყვეტილი ისტორიული ფაქტები კი არ არის, არამედ მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუციაა, რომელმაც ჰეგელ-კოჟევ-ფუკუიამასეული გაგებით „ისტორიის დასასრულამდე“ და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეუქცევადად დამკვიდრებამდე მიგვიტყვანა მსოფლიო მასშტაბით.

ამ მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიულ რევოლუციაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსსა და დიპლომატს ედუარდ შევარდნაძეს, მის „ახალ აზროვნებას“. ამას აღიარებს ევროპა და ამერიკა, მთელი მსოფლიო.

80-იან-90-იანი წლების მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუცია რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის მოპოვება, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

არც ევროპის საბჭოში საქართველოს წევრად მიღება იქნებოდა შესაძლებელი.

ედუარდ შევარდნაძემ ევროპის თავზე საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვით გვირგვინი დაადგა მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარს საქართველოში.

(გაგრძელება იქნება).

ლადო ალფენიძე,
მწერალი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

თბილისი — მაინის ფრანკფურტი — სტრასბურგი — თბილისი.
1999 წლის აპრილ-მაისი.

ერი და ბერი

ცოდვისშვილობიდან ღვთისშვილობამდე, ანუ გზა თავისუფლებისაკენ

მამა ელიოზის (მერაბ ელიოზიშვილის) ახალი წიგნის გამო

აალდგომო ეპისტოლეში უწლესი და უნეტარესი, სრულიად ართველოს კათოლიკოს-პაარქი ილია II მეტად საგუსხმო პარალელს ავლებს ჩვეალხის დღევანდელ ყოფასა მოსე წინასწარმეტყველის მიეგვიპტიდან გამოყვანილ ებლთა მდგომარეობას შორის. ისუფლებისა და „აღთქმული ყნისაკენ“ გზად დამდგარი, ახულ გაჭირვებაში ჩავარლი ებრაელები, ახლანდელ ველთა დიდი ნაწილისა არ უკმაყოფილოდ დრტვინა„ვინ გვაჭმევს ხორცს? გვაება თევზი, მუქთად რომ თ ეგვიპტეში, კიტრები, ნე, პრასა, ხახვი და ნიორი. კი სული გვძვრება, არა, მანანის გარდა...“ (რიც, 11, 4-6).

ბნოში მიმავალ ებრაელებს ყდათ მონობა“, — ბრძაპატრიარქი, — ახსოვდათ ლდ საჭმელი და ამიტომაც თ ეგვიპტეში დაბრუნება! უკვე უარს ამბობდნენ თაებაზე და ტყვეობაში ყოამჯობინებდნენ. მაგრამ უფანც შეიწყალა თავისი ერი, აბრუნა ეგვიპტეში და მრაგანსაცდელის შემდეგ ულ მიწაზე მიიყვანა.

ამ უნდა ვიცოდეთ, — ხაზს უწმინდესი და უნეტარერომ „ეგვიპტეში“ უკან დანებელი გზა აღარც ჩვეარსებობს, რომ ღმერთმა ნიჭა თავისუფლება და ვალნი ვართ, ვისწავლოთ უალ მოქალაქეთა მსგამროვნება და მოქმედება. ნ უნდა გვახსოვდეს ისიც, ქცევა თავისუფლებისაგან ქცევა ღვთისაგან, რაფალი სულია, ხოლო სარის სული უფლისა, იქვეა უფლება (2 კორინ. 3.17). თხავე ერთია ოღონდ, — კათოლიკოს-პატრიარქი, ვართ კი ჩვენ „აღთქქვეყნისა“ და ნამდვილი უფლებისაკენ?“.

თხვევზე ნაწილობრივ პააუკვე გაცემულია ჩვენი საფოს ევროსაბჭოში განების პროცესის ღირსედასრულებით.

მაგრამ ჭეშმარიტი თავისუფლების მიღწევა შეუძლებელი და წარმოუდგენელია ერის სულიერი განწმენდისა და აღორძინების გარეშე.

სწორედ ამიტომაც ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი თავის საშობაო ეპისტოლეში: „ხსნა მხოლოდ ადამიანისა და ღმერთის ერთობაშია... ხსნა ისეთ სიყვარულამდე ამაღლებაშია, სახარება რომ გვასწავლის... თუ მოვიპოვებთ ასეთ მადლს, ღვთის შვილობის ღირსნი გავხდებით...“

მართლაც მხოლოდ უდაბნოში მავალ ებრაელთა გზას თუ შეედრება თითოეული ჩვენგანის მიერ გასავლელი გზა ცოდვისშვილობიდან ღვთისშვილობამდე ანუ გზა თავისუფლებისაკენ.

„... ორმოცდამეორე დღე-ღამეა, რაც ფეხით მივდივართ, წმინდა ნინოს გზაზე, ფოკადან ახალციხემდე და ახალციხიდან, უკვე, ვინც — როგორ, მცხეთამდე, სვეტიცხოვლამდე!..“, — ეს ამონარიდი მოხმობილია ცნობილი ქართველი მწერლისა და ხელოვანის მერაბ ელიოზიშვილის, აწ უკვე სასულიერო პირის — მამა ელიოზის — ახალი წიგნის — „აღემართენით (ჯვარი პატიოსანი)“ — პირველი ნაწილიდან.

ამ ნაწარმოებში მთელი თხრობა გამლილია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე დანიელის მიერ ორგანიზებული წმინდა ნინოს გზაზე მეტეხის ტაძრის დეკანოზ პაელეს ხელმძღვანელობით მავალ მომლოცველ მღვდელმორწმუნეთა ერთ-ერთი პროცესიის მიმდინარეობის ფონზე.

ამგვარი პროცესიების მოწყობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ საყოველთაო-სახალხო მოძრაობისა, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში ღვთის ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენისა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრებას, რაც, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი ერის სულიერი განწმენდისა და გადარჩენის უტყუარი საწინდარია“.

ამ მოძრაობას ჭეშმარიტად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ახლანდელ პირობებში, როცა ამერიკულ-ევროპული ცივილიზაციის ნამდვილად საკაცობრიო ღირებულებების ზიარებას, თან სდევს სხვადასხვა ჯურის უცხოურ რელიგიურ სექტათა საქმიანობის გააქტიურება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც, ჩვენს თანამემამულეთა უკიდურესი სოციალური სიდუხჭირით სპეკულაციას წარმოადგენს და ხშირად ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო მოღვაწეობის შირმითაა შენიღბული.

ამასთან, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიას განდგომილი თუ მისგან განკვეთილი პირების მეშვეობითაც ცდილობენ დედაეკლესიის შიგნით არეულობისა და განხეთქილების შეტანას, რაც ერის გაბზარული ცნობიერების გამთლიანების დაწყებულ პროცესს საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ალბერტ აინშტაინის მიერ 1933 წელს ნათქვამი სიტყვები: გაანალიზებდა რა გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების შედეგად მთელი ევროპის მასშტაბით შექმნილ ძალადობისა და ჩაგვრის პრინციპთა ზეობის ატმოსფეროს, რაც წალეკვით ემუქრებოდა თავისუფლების იდეალებსა და მონაპოვრებს, დიდი მეცნიერი ამბობდა, რომ „ეს საფრთხე შეუძლებელია ავიცილოთ მხოლოდ მორალური იარაღით, მას უნდა დავუპირისპიროთ ორგანიზებული ძლიერება“.

ამ კონტექსტით ჭეშმარიტად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, ვინაიდან სწორედ ახალი ეკლესია-მონასტრების აგებითა და ძველი რელიგიური ცენტრების რესტავრაცია-ამოქმედებით იწყება ერის სულიერი განახლებისა და აღმავლობის ხანა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების, პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების, მთელი ჩვენი საზოგადოებისა და თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობის ქვაკუთხედია.

სწორედ ასე მოხდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში, რასაც ლოგიკურ შედეგად მოჰყვა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დავით აღმაშენებლის ეპოქა, თამარ მეფის ზეობა და „ვეფხისტყაოსანი“.

ჭეშმარიტად, როგორც ბრძანებდა ილია მართალი, „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზე, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“.

სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული მამა ელიოზის ახალი წიგნი, რაც, ამასთან, გარკვეული აზრით, ავტორის აღსარებასაც წარმოადგენს. მამა ელიოზი წუხს და ინანიებს, რომ, მიუხედავად თავისი მრავალმხრივი ნაყოფიერი და წარმატებული ლიტერატურული თუ სახელოვნებო მოღვაწეობისა, განვლო „სამოცი წელი სულიერების გარეშე!“, მაგრამ, ამავე დროს მადლობას წირავს უფალს, რომ, როგორც მეუფე დანიელს უთქვამს ავტორისათვის, „გვიანი არასოდეს არ არისო ეკლესიაში მოსვლა, ღმრთისმეოდგომა... რაკი გული საეკლესიოდ გაგეხსნა, თუნდაც ასი წლის იყავი, ხელახლა იბადებიო“...

ისეთი წიგნი, როგორიცაა „აღემართენით (ჯვარი პატიოსანი)“, სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ საერო და რელიგიურ ლიტერატურაში იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ, იმედია, ავტორს ჩვენი სხვა გამოჩენილი კალმოსნებიც მიბაძავენ, და ამ ხასიათის ნაწარმოებებსაც შექმნიან, რაც ეგზომ სასიცოცხლოდ აუცილებელია საზოგადოების სულიერი განვითარებისათვის.

მამა ელიოზის მოქცევა და მისი შემდგომი ჭეშმარიტად ქრისტიანული მოღვაწეობა-შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ, რათა დავიმსახუროთ ღვთისშვილობის პატივი.

იური სიხარულიძე,
ზაზა სიხარულიძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ბ. კობერიძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ბესიკ კობერიძე** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ბესიკ კობერიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ბ. მეტრეველის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ბადრი მეტრეველი** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ბადრი მეტრეველი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

თ. მუხრანელის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **თეიმურაზ მუხრანელი** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. თეიმურაზ მუხრანელი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ომხარელის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მაია ომხარელი** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მაია ომხარელი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

პ. ქობულაძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **პაატა ქობულაძე** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. პაატა ქობულაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ჩაჩანიძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მანანა ჩაჩანიძე** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მანანა ჩაჩანიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

რ. ჭანტურიძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **რუსუდან ჭანტურიძე** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. რუსუდან ჭანტურიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ჭყონიას თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მარინე ჭყონია** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მარინე ჭყონია უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ო. ჯორბენაძის თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ომარ ჯორბენაძე** თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. გათავისუფლდეს ომარ ჯორბენაძე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან.
3. ომარ ჯორბენაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ფ. ბასილაიას ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ფრიდონ ბასილაია** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ფრიდონ ბასილაია უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ლ. კუპატაძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ლოტბერდ კუპატაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ლოტბერდ კუპატაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. სირაძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მარინა სირაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მარინა სირაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

რ. სულწაძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **რევაზ სულწაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. რევაზ სულწაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

თ. სვანიძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **თამარ სვანიძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. თამარ სვანიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ქამადაძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მურმან ქამადაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მურმან ქამადაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ა. შენგელიას ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ავთანდილ შენგელია** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ავთანდილ შენგელია უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. წიქვაძის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მურმან წიქვაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მურმან წიქვაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ც. სულხანიშვილის თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ციური სულხანიშვილი** თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ციური სულხანიშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

შ. ტურავას თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **შალვა ტურავა** თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. გათავისუფლდეს შალვა ტურავა გალის რაიონის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან 1999 წლის 15 მაისიდან.
3. შალვა ტურავა უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ც. ხაზალიას თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ცისანა ხაზალია** თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ცისანა ხაზალია უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ლ. მსხილაძის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ლილი მსხილაძე** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ლილი მსხილაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ს. მუმლაძის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **სოსო მუმლაძე** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. გათავისუფლდეს სოსო მუმლაძე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან.
3. სოსო მუმლაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. წიკლაურის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მარინე წიკლაური** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მარინე წიკლაური უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ი. მარიამიძის თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **იამზე მარიამიძე** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. იამზე მარიამიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ლ. გზირიშვილის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ლევან გზირიშვილი** მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ლევან გზირიშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. პატარაშვილის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მზია პატარაშვილი** მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მზია პატარაშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ნ. ჭალიძის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ნინო ჭალიძე** მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ნინო ჭალიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ბ. ვათიაშვილის გორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ბონდო ვათიაშვილი** გორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ბონდო ვათიაშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ქ. სულაბერიძის გორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ქართლოს სულაბერიძე** გორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. ქართლოს სულაბერიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

გ. მიქაძის მარნეულის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **გრიგოლ მიქაძე** მარნეულის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. გრიგოლ მიქაძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ფეიქრიშვილის მარნეულის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **მაყვალა ფეიქრიშვილი** მარნეულის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.
2. მაყვალა ფეიქრიშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ქ. ბახტაძის რუსთავის საქალა
სასამართლოში მოსამართლე
დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ქეთევან ბახტაძე** რუსთავის საქ
სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვად
2. ქეთევან ბახტაძე უფლებამოსილების გა
ციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვე
სთანავე.

ე. შევარდ

საქართველოს პრეზიდენ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ლ. მურვანიძის რუსთავის საქალ
სასამართლოში მოსამართლე
დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ლალი მურვანიძე** რუსთავის საქა
სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადი
2. ლალი მურვანიძე უფლებამოსილების გა
ციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვე
სთანავე.

ე. შევარდ

საქართველოს პრეზიდენ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ზ. გურგენიძის თერჯოლის რაიონულ სასამართლოში
მოსამართლედ დანიშვნის შესახ

1. დაინიშნოს **ზაურ გურგენიძე** თერჯოლის
ონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლ
დით.
2. ზაურ გურგენიძე გათავისუფლდეს ქუთაის
ოლქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობ
3. ზაურ გურგენიძე უფლებამოსილების გა
ციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვე
სთანავე.

ე. შევარდ

საქართველოს პრეზიდენ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

დ. ღიბრაძის თერჯოლის რაიონ
სასამართლოში მოსამართლე
დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **დავით ღიბრაძე** თერჯოლის
ონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლ
დით.
2. დავით ღიბრაძე უფლებამოსილების განხო
ელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყ
სთანავე.

ე. შევარდ

საქართველოს პრეზიდენტ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

მ. ოთარაშვილის თიანეთის რაიონულ სასამართლოში
მოსამართლედ დანიშვნის შესახ

1. დაინიშნოს **მანანა ოთარაშვილი** თიანეთის
იონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვა
2. მანანა ოთარაშვილი უფლებამოსილების
ხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდა
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყ
სთანავე.

ე. შევარდნ

საქართველოს პრეზიდენტ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ნ. ჯამიაშვილის თიანეთის რაიონულ სასამართლოში
მოსამართლედ დანიშვნის შესახ

1. დაინიშნოს **ნათელა ჯამიაშვილი** თიანეთის
იონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვა
2. ნათელა ჯამიაშვილი უფლებამოსილების
ხორციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდა
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყ
სთანავე.

ე. შევარდნ

საქართველოს პრეზიდენტ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

ლ. დუიშვილის ახმეტის რაიონუ
სასამართლოში მოსამართლედ
დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **ლაბაზა დუიშვილი** ახმეტის რა
ნულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვად
2. ლაბაზა დუიშვილი უფლებამოსილების გან
რციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყ
სთანავე.

ე. შევარდნ

საქართველოს პრეზიდენტ
ბრძანებულება

1999 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

გ. მამიაშვილის ახმეტის რაიონუ
სასამართლოში მოსამართლედ
დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნოს **გელა მამიაშვილი** ახმეტის რა
ნულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვად
2. გელა მამიაშვილი უფლებამოსილების გან
რციელებას შეუდგეს 1999 წლის 15 მაისიდან.
3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყ
სთანავე.

ე. შევარდნ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვა ქვეყნები, რომლებმაც ლტოლვილები შეიფარეს

გერმანია	9.974
თურქეთი	6.259
ნორვეგია	2.476
საფრანგეთი	2.364
ავსტრია	1.455
ბელგია	1.205
დიდი ბრიტანეთი	330.

„რუგოვას გამოცანა" გამოცანად რჩება

კოსოვოს პარტიაში კვლავ სამჩნევ როლს ასრულებს ითმარქვეია რესპუბლიკის რეზიდენტი იბრაჰიმ რუგოვა იდუმალი და, უდავოდ, რაგიკული ფიგურა. მისი მოულოდნელი ჩასვლა იტალიაში ბელგრადიდან, სადაც დაბომბვის დაწყების შემდეგ მიერი კოსოვარების ლიდერი არსებითად შინაპატიმრობაში იმყოფებოდა, თავგზას უბნევს დასავლელ სტრატეგოსებს.

ახლა, როდესაც თვით რუგოვა და მისი ოჯახი სამშვიდობოს არიან, დადგა დრო, გაცხადდეს, რამ იაძულა ალბანელთა ლიდერი, შეხვედროდა პრეზიდენტ მილოშევიჩს, მასთან დაედო თანამშრომლობის შეთანხმება და გამოსულიყო მოწოდებით ნატოს მიერ დაბომბვის შეწყვეტის თაობაზე. დასავლელ ლიდერებს აქამდე ეგონათ, რომ ეს ნაბიჯი ვისიმე ზეწოლით იყო გადადგმული, ხოლო კოსოვოს განთავისუფლების არმიის მეთაურებმა რუგოვას ბრალად დასდეს თავისი ხალხის ღალატი.

თუ რუგოვა არ განუდგება „კოლაბორაციონიზმს", იგი როგორც პირველთა, ისე მეორეთა ნდობას დაკარგავს. ამ შემთხვევაში, დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც რუგოვას კოსოვოელ ალბანელთა ლეგიტიმურ ლიდერად თვლიდნენ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

რუგოვას პირველმა სახელდახელო პრესკონფერენციამ რომში მაინც ვერ გაარკვია მისი ბელგრადული მანევრების მოტივები და გარემოებანი, როდესაც მხარი დაუჭირა კოსოვოში ნატოს მონაწილეობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო ძალების შეყვანას, — რუგოვას არც დაუგმია და არც მოუწონებია ალიანსის ახლანდელი სტრატეგია. ამიტომ გამოხმაურება ჯერჯერობით ძალზე ძუნწი და ფრთხილია.

პრეზიდენტმა კლინტონმა და დასავლეთის სხვა ლიდერებმა რუგოვას წასვლა მიიჩნიეს, როგორც ბელგრადის შეუვალი პოზიციის შერბილების ნიშანი. მაგრამ დასავლეთში შიშობენ, რომ რუგოვას გაშვების გადაწყვეტილება ნაწილია მილოშევიჩის მორიგი მზაკვრული ჩანაფიქრისა, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, — კვლავ სიმტკიცის გამოცდას უწყობს ნატოს (მმართველ კოალიციებს იტალიასა და გერმანიაში უკვე ბზარები დაეტყო), ხოლო უარეს შემთხვევაში — განზრახული აქვს, „კოსოვარ განდის" დაუდოს სამშვიდობო ხელშეკრულება ალიანსის გვერდის ავლით.

ჯერჯერობით არავინ იცის, რამდენად შორს შეიძლება შეტოპოს რუგოვამ, ამ ინტელექტუალმა, თავისი პაციფიზმით ისეთ პირობებში, როდესაც კოსოვოელ ალბანელთა კატასტროფა უკვე შედგა.

ბელორუსია:

ალტერნატიული არჩევნები...

მე-13 მოწვევის ოპოზიციურმა უმაღლესმა საბჭომ წამოიწყო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების კამპანია. ხელისუფლებამ ეს აქცია პოლიტიკურ თვითმარქვეიობად შეაფასეს, თუმცა, ლაპარაკიც არ არის სტაციონარული საარჩევნო უბნების შექმნაზე. უახლოესი 10 დღის განმავლობაში ხელმოწერების შეგროვებას გაუძღვება საუბნო კომისიების 15 ათასამდე წევრი — ისინი უბრალოდ კარდაკარ ივლიან და ამომრჩეველთა ხმებს შეაგროვებენ.

ალტერნატიული ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარეს ვიქტორ გონჩარს მიაჩნია, რომ აუცილებელია რეალურად მოეწყოს არჩევნები, რომლებიც, მისი აზრით, მკაფიოდ დაადასტურებს, რომ მოქალაქეები განუდგნენ რეჟიმს. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, კამპანიის პირველ დღეს უკვე ხმა მისცა დაახლოებით 200 ათასმა კაცმა. ოპოზიციური პოლიტიკოსები საარჩევნო კამპანიაში ხედავენ საფუძველს რესპუბლიკაში ახლებური პოლიტიკური და სამართლებრივი სიტუაციის შესაქმნელად. 1994 წლის კონსტიტუციის თანახმად, რომლის საფუძველზეც არის გამოცხადებული არჩევნები, ალექსანდრე ლუკაშენკოს უკვე 20 ივნისს გაუდის რწმუნებათა ვადა. ოპოზიცია დაჟინებით აცხადებს, რომ ამ თარიღის შემდეგ იგი არალეგიტიმურ პრეზიდენტად ჩაითვლება.

„ზოგს — ბლითი, და ზოგს ბლითის ნაჩვრეტი"...

გამარჯვების დღე. სანკტ-პეტერბურგი. „მაკდონალდსის" უფასო ჰამბურგერი — დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

პრემიერის რადიკულიტი — პოლიტიკური ავადმყოფობა

მთელი კვირაძალი პრიმაკოვმა მოსკოვის გარეუბნის სახელმწიფო აგარაკზე გაატარა, და მასთან მიღებაზე სწორედ აქ მოდიოდნენ მინისტრები, წერს ნიკოლოზ ეფიმოვიჩი **„კომსომოლსკაია პრავდაში"**, და განაგრძობს:

„თეთრი სახლი" მაშინვე შეეცადა, გაეფანტა ავი ეჭვები პრემიერის ბედის შესახებ. როგორც პრემიერის პრესმდივანმა ტატიანა არისტარხოვამ თქვა, რუსეთის პირველი მინისტრი, უბრალოდ, მუშაობას რადიკულიტის მკურნალობას უხამებდა.

მაგრამ იმ ამბავმა, რომ პრემიერ-მინისტრი „თეთრი სახლიდან" გაქრა მეორე დღესვე მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მესამე ათასწლეულის შეხვედრის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე დემონსტრატიულად არ მოინდომა გამარჯობის თქმა პრიმაკოვისთვის და გვერდით დაისვა პირველი ვიცეპრემიერი სერგი სტეპაშინი, რომელიც „პრიმუსის" ყველაზე რეალურ შემცვლელად ითვლება, ააგორა ჭორების ახალი ტალღა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს დღე-დღეზე გადააყენებენ. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის პირველმა მოადგილემ ოლეგ სისუევმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეუცვლელი პრემიერები არ არიან, და ელცინს უკვე ჰყავსო ახალი კანდიდატურები „თეთრი სახლის" მეთაურის როლზე. ყოველივე ამან იმდენად გააცხარა პრემიერი, რომ მზად იყო, თავად „გაეჯახუნებინა" კარი. მაგრამ უახლოესმა გარემოცვამ ევგენი მაქსიმეს ძეს ურჩია, თავი შეეკავებინა მეტისმეტი სიფიცხისაგან და ბუნების წიაღში გადაეყოლებინა გული, მით უმეტეს, რომ რადიკულიტი ჯერ კიდევ აწუხებს.

პრეზიდენტის და პრემიერის ურთიერთობის გამწვავება მოსალოდნელი იყო. ერთი მხრივ, პირველმა ვიცეპრემიერმა მასლიუკოვმა თითქოს ჩამოიტანა ვაშინგტონიდან სავალუტო ფონდის თანხმობა კრედიტების მორიგ ულუფაზე, მაგრამ მეორე მხრივ — მთავრობამ სათათბიროში უნდა გაიტანოს კანონების პაკეტი, რომლებიც პრეზიდენტს დიდად არ ეპიტნავება. ბენზინისა და არყის აქციზების მომატება, როგორც ამას ფონდი მოითხოვს, პროვოკაციულად გამოიწვევს არა მარტო ფასების მომატებას, არამედ მოსახლეობის სოციალურ აქტიურობასაც. ხოლო ხალხის მასების დუღილი ელცინს ახლა სულ არ ეხატება გულზე. ყბადაღებული კრედიტის გარდა, პრიმაკოვის მთავრობას ჯერჯერობით სხვა ვერაფრით შეუძლია მოიწონოს თავი. მართალია, რუბლი თითქოს მტკიცდება, მაგრამ მხოლოდ ცენტრობანკის უსასტიკესი ზეწოლით, რომელიც უბრალოდ არ უშვებს ვალუტის მყიდველებს ბაზარზე. და ყველა ხედავს, რომ ეს უსაშველოდ ვერ გაგრძელდება...

მიუხედავად ამისა, ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ჯერ ნაადრევია პრიმაკოვის ჩამოწერა, ვინაიდან მთავრობის გადადგომას გარდაუვალად მოჰყვება სათათბიროს დაშლა და მემარცხენეთა პოპულარობის გაძლიერება, აგრეთვე, ვადამდელი არჩევნები. ეს კი ნიშნავს, რომ სავარძელი გამოეცლება თვით ელცინსაც.

მაგრამ, როგორც კრემლის მაღალი თანამდებობის წყაროები იუწყებიან, პრეზიდენტს ყოველი შემთხვევისათვის გამზადებული ჰყავს ორი პრეტენდენტი პრემიერის სავარძელზე. ესენი არიან პირველი ვიცეპრემიერი სტეპაშინი, რომელსაც არაერთგზის დაუმტკიცებია პირადი ერთგულება პრეზიდენტ ელცინისათვის, და გაცილებით უფრო მოკრძალებული კანდიდატი, რომელსაც არავითარი პოლიტიკური გავლენა არ გააჩნია, — ახლანდელი რკინიგზის მინისტრი ნიკოლოზ აქსენენკო, რომელიც, სამაგიეროდ, „კარგად არის" ტატიანა დიაჩენკოსთან. ვინ იცის, ეგებ სწორედ ასეთი პრემიერი ურჩევნია ახლა პრეზიდენტს. მას უკვე გამოძახებული ჰყავდა თავისთან აქსენენკო. თუმცა, კრემლის ერთმა მაღალი თანამდებობის მოხელემ აქსენენკოსა და პრეზიდენტის „საიდუმლო" შეხვედრის შესახებ დასმულ კითხვას ასე უპასუხა: რატომ გგონიათ, რომ მაინც და მაინც პრემიერობაზე საუბრობდნენ. განა არ შეიძლება, პრეზიდენტს რკინიგზის მინისტრთან თავისი ვაგონის ინტერიერზე ემსჯელაო?! რატომაც არა, ყველაფერი შეიძლება...

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

თავსაფრიანი დედაკაცი

მერვე კავაქჩი.

თურქეთის პოლიტიკის ამენში არ ცხრება ანდალი, რომელსაც „თავსაფრის საქმე" უწოდეს. თავსაფარი გახდა „პოლიტიკური ისლამის", იმის მთავარი სიმბოლო, რასაც არ დაუებია ადგილი თანაროვე თურქულ მოლში. ქალბატონი კაჩი, რომლის ამბავსაც ვიუწყებოდით, სწოახალი, მოდერნიზეი ისლამიზმის მაგაია, კომპიუტერული პროგრამების სპეციისტი, აშშ უნივერსის კურსდამთავრებუ 31 წლის სიმპათისტამბოლელი დეპუქალი იმ თაობის მომადგენელია, რომელმაც იგემა დასავლური ცივილიზაციის სიტკბო, მაგრამ შეგნებულად მოახდინა არჩევანი სულ სხვა ღირებულებათა სისტემის სასარგებლოდ. თურქეთის გაზეთებმა საიდანღაც ამოქექეს იმ სიტყვის ტექსტი, ორი წლის წინათ რომ წარმოთქვა მერვე კავაქჩიმ ჩიკაგოში პალესტინელ რადიკალთა მიერ მოწვეულ კონფერენციაზე. მაშინ კავაქჩიმ მსოფლიოს ხალხებს, მათ შორის, არამაჰმადიანებს, მოუწოდა გაგლიჯონ „სიონისტური მონობის" ბორკილები და წამოიწყონ ტოტალური ჯიჰადი, რომლის არსენალშიც არის გენური მოდელირება და თანამგზავრული ტელეკომუნიკაციები. პრემიერი ეჯევითი პირადად ჩაერია საპარლამენტო ცერემონიის მიმდინარეობაში და დარბაზიდან გააძევებინა „თავსაფრიანი დედაკაცი", ხოლო პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა სიმშვიდის დამრღვევს პროვოკატორთა აგენტი უწოდა.

კოკაინის ქარხანა — ჯუნგლში

როგორც კოლუმბიის პოლიცია ამტკიცებს, მან აღმოაჩინა დღესდღეობით ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთ აღჭურვილი ნარკოტიკის საწარმოო კომპლექსი. რეიდში, რომელიც ქვეყნის ცენტრში — მაგდალენა მედიოს რაიონში მოეწყო, მონაწილეობდა 300 პოლიციელი მძიმედ შეიარაღებული შვეულმფრენების მხარდაჭერით. პოლიციის მონაცემებით, აღმოჩენილია ჯუნგლში დამალული უზარმაზარი კონსტრუქციები, რომლებიც ჰაერიდან არ მოჩანდა, მათ შორის, სამი ლაბორატორია, რომლებსაც ოთხსართულიანი შენობები აქვთ. ობიექტს უკავია 7 კვადრატული მილი ფართობი, აქვს საძინებელი კორპუსები, რომლებიც 200-ზე მეტი მუშისათვის არის გათვალისწინებული და საზრდოობს გენერატორით, რომელსაც შეუძლია ენერგიით უზრუნველყოს 5-ათასიანი ქალაქი. პოლიციელთა თქმით, კონფისკაციაქმნილია ერთი ტონა წმინდა კოკაინი, ხოლო კომპლექსის საწარმოო სიმძლავრე თვეში 8 ტონა ნარკოტიკის წარმოების საშუალებას იძლევა. პოლიციას მიაჩნია, რომ კომპლექსს სათავეში ედგა ადგილობრივ გასამხედროებულ ფორმირებათა შეფი, რომელიც შეკრული იყო უკვე განადგურებული კალის და მედელინის ნარკოკარტელების ნაშთებთან.

იცოდით?

საბჭოთა პლუტონიუმის ფასი

ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყო მოქმედება სსრ კავშირში პლუტონიუმის წარმოების პირველმა და უდიდესმა კომპლექსმა — საწარმოო გაერთიანება „მაიაკმა". საბჭოთა ურანის პროექტი დაიწყო იოსებ სტალინისათვის ლავრენტი ბერიას მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათით (1942 წლის 10 მარტი), რომელშიც მოყვანილი იყო აგენტურული ცნობები შეერთებულ შტატებში ურანის ბომბის შექმნის შესახებ. სტალინგრადისათვის გააფთრებული ბრძოლების დროს დაიწყო მოქმედება სსრ კავშირში ატომური ბომბის დამუშავების სპეციალურმა კომიტეტმა: იგორ კურჩატოვმა, ბომბის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა შემქმნელმა, პლუტონიუმის მუხტების დასამზადებელი საიდუმლო ობიექტის მშენებლობისათვის შეარჩია შესანიშნავი ნაკრძალი ადგილები სამხრეთ ურალში, რომლის მკვიდრიც თავად იყო. აქ, ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ კიშტიმის ახლოს, უმოკლეს დროში ააგეს კომპლექსი „მაიაკი", რომელშიც შედიოდა რადიოქიმიური ქარხანა, სადაც პლუტონიუმს გამოჰყოფდნენ და კონცენტრირებული რადიოაქტიური ნარჩენების საცავი. ქვეყანას ესაჭიროებოდა ახალი იარაღი, და იგი შექმნეს. სამშობლოს დასჭირდა ბირთვული ფარი, და იგი აღმართეს. ასე იყო საჭირო! ასე იყო საჭირო? მაგრამ, ადამიანები? ადამიანებს სათვალავში არავინ აგდებდა. პირველმკვალავები, პატიმრები, მშენებლები, მუშები იყვნენ სწორედ „მაიაკის" მსხვერპლი და მძევლები... ისინი, ვინც გამოიარა ტრაგედიები და გაჭირვება, ავარიები და აფეთქებები... ვინც დღესაც მოწამლულ ტერიტორიებზე ცხოვრობს და დასნეულებულია... ვინც უკვე შეეწირა სამშობლოს ბირთვულ ფარს... შევძლებთ კი ოდესმე შევპირდეთ მათ, რომ აღსრულდება ის, რაც ხიროსიმის სარკოფაგზეა წარწერილი: „იძინეთ მშვიდად, შეცდომა აღარ განმეორდება!"

ასრულო ტიმრობა

რთვული ფარის სწრაფი შეავება სსრ კავშირში მნიშლოვანწილად განაპირობა, რომ „გულაგში" შეიქმნა აკუთრებული დანიშნულების კების კიდევ უფრო საიდუმლო და უფრო მძლავრი სისტემა, ელსაც სათავეში ჩაუდგა ლ. ა. ბანაკების სისტემაში თავი ყარეს საუკეთესო კვალიფირ ძალებს, რომლებიც თავილებას ვერასოდეს ვერ ეღირსებოდნენ, რადგან მუდმივი პატიმრობისთვის იყვნენ განწირუასათასობით პატიმარმა გა ატომურ ხორცსაკეპში. „მა" აშენებდნენ გენერალ ვლაის არმიის ჯარისკაცები, მეები, გერმანიიდან რეპატრიელი „ოსტარბაიტერები", გეელი სამხედრო ტყვეები, საებლო ბატალიონების ჯარიები. ისინი დღედაღამ მუშანენ.

ლუტონიუმის ქარხნის ყოფილი ექტორი მ. ვ. გლადიშევი გვიბს: „შინაგან საქმეთა სამიროს ოფიცრებს, რომლებიც ებლობას ხელმძღვანელონ, ჰყავდათ განუსაზღვრერაოდენობის მუშახელი, ჰქოცოტა ტექნიკა და ბევრი მაო... პატიმართა შორის ბეიყო ქალი... ისინი მამაკაან ერთად მუშაობდნენ... მაგანსაკუთრებული ტრაგეარ ხდებოდა, რაც მოწდა, რომ ეს პატიმრები იყვნენ სისხლის სამართლის დამვეები, ბანდიტები და მკვლეი, არამედ რეპრესიების მომოხვედრილი კარგი ადაები... არაერთხელ მომიწია ადამიანებთან ურთიერთოსაუბრის მანერით, აზრის გავემის უნარით ისინი ყოვეის კარგ შთაბეჭდილებას ახდენ ჩემზე". ინჟინერი ვ. ჩესკი იხსენებს, რომ პოლირი პატიმრები რადიაციით ნძურებულ ტერიტორიაზე განსაცმლით მუშაობდნენ, ლითაც ჭამდნენ და ეძინათ: ხელით თხრიდნენ ტრანს, ყლაპავდნენ მტვერს, იკბოდნენ არყის ხის ქერქით. კუთრებული დანიშნულების კების პატიმრებს არ ჰქომიმოწერის უფლება, ისინი ქვემდებარებოდნენ ამნის, არავინ იცის, რა ბედი ეწიათ. „ვშიშობ, — წერს გლავი, — რომ ყველაფერი ტრალად დასრულდა, რადგან ბლობა „უაღრესად საიდუიყო და მას ბერია „მეურდა". ყოველ შემთხვევაში, თასობით ადამიანის სიაში, ლებიც საწარმოო გაერთი „მაიაკის" საქმიანობის გამო რალდნენ და სხვადასხვა ინციას მიმართეს, არ არის არც პატიმარი. დაქირავებული ვასტებად იყოფოდნენ: ექსპლუატაციის მუშაკებს მეტი შეღავათები და უფლებები ჰქონდათ, ვიდრე მშენებლებს, მემონტაჟეებს, მერემონტეებს. მათთვის დადგენილი გამოსხივების დონეც კი დასაშვებზე ნაკლები იყო. „მაიაკის" რიგითი მშენებლები, ყველა, ვინც გამოიარა გაჭირვება, უბედურება და ავადმყოფობა, დღემდე ადანაშაულებენ არა პროექტის ხელმძღვანელებს (ბერიას, კურჩატოვს, სლავსკის, კალმიკოვს, შევჩენკოს და ა. შ.), არამედ თავიანთ უშუალო უფროსებსა და „სპეცებს", რომლებიც, მათი აზრით, უზრუნველად ცხოვრობდნენ, უბრალო მოკვდავთ კი ყველაფერს უმალავდნენ".

განსაკუთრებული რეჟიმის ნაკრძალი ზონა

— ცხოვრობდა კი ვინმე ამ ზონაში შეღავათიანად? აი რას გვიამბობენ თავად „მაიაკის" პირველმკვალავები: „ჩვენ „გულაგის" პრივილეგიურ ზონაში ვცხოვრობდით, ზონა სულს გვიხუთავდა, სულის შემხუთველია იგი ახლაც. „პირველმკვალავები („მაიაკზე" 500-ზე ნაკლებია დარჩენილი) მეტწილად ირწმუნებიან, რომ „ზონაში ცხოვრება" მათი არჩევანი არ არის. ა. ი. ნარეტინამ (სწორედ იგი იყო პირველი მორიგე ინჟინერი, რომელმაც მიიღო პლუტონიუმის პირველი პარტია და რეაქტორებში დასხივებული ურანის ბლოკები ჩატვირთა აპარატში) გაიხსენა, თუ როგორ თქვეს უარი 1947 წელს მან და მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კიდევ რამდენიმე კურსდამთავრებულმა, მისულიყვნენ პირველ სამმართველოში (რომელიც აკონტროლებდა საიდუმლოების რეჟიმს), რადგან იცოდნენ, რომ იქ „მხედრულად" ლაპარაკობდნენ. მათ მაშინვე შეუწყვიტეს სტიპენდიები და სასურსათო ბარათები, და „ათასნაირი ხრიკებით გვაიძულეს მივსულიყავით და შეგვევსო ანკეტები". თუ „მაიაკის" კომპლექსში გამგზავრებაზე უარს იტყოდა, ვთქვათ, პარტიის წევრი, მას ჩამოართმევდნენ პარტბილეთს. უარის მთქმელთა შემდგომი ბედი ნამდვილად არ იყო სახარბიელო. მათ შეიძლებოდა იმავე ზონაში ამოეყოთ თავი, მაგრამ უკვე ბადრაგის თანხლებით. ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის ყოფილი უფროსი (1949 წლიდან), ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. პ. სოხინა იხსენებს იმდროინდელ გაჭირვებას: ცუდი კვება, ბარაკი — ქარხნის კორპუსის ნაცვლად, საცხოვრებლადაც ბარაკი, რომელშიც ორიარუსიან ნარებზე 96 კაცს ატევდნენ. ამ ბარაკის ბინადართა 80 პროცენტი ქალები იყვნენ, რომლებიც მუშაობდნენ პლუტონიუმის საბოლოო გაწმენდაზე. „რადგან რადიაციის ვერაგობაზე წარმოდგენაც კი არ გვქონდა, სიფრთხილეს დიდად არ დაგიდევდით, სანამ ერთმა შემთხვევამ არ გამოგვაფხიზლა. ახალგაზრდა თანამშრომელი გენადი ალექსანდროვი ფილტრავდა ნაზავს მინის კოლბით. კოლბი აფეთქდა და მისი ნამსხვრევები ნაზავითურთ სახესა და მკერდზე შეესხა. სახე მაშინვე გაუსისხლიანდა. უფროსი მოვარდა და ლანძღვა დაუწყო იმისათვის, რომ პლუტონიუმი დაიკარგა. გენას ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. პლუტონიუმის გრამები ადამიანის სიცოცხლეზე ძვირად ფასობდა".

„მაიაკი": სახელმწიფო სახელმწიფოში

მავთულხლართებით შემოღობილი „მაიაკის" ცხოვრებისადმი შეუნელებელი კონტროლი იყო დაწესებული. სამუშაო ადგილებზეც კი ადამიანებს აიძულებდნენ პირობით ენაზე ელაპარაკათ, არ დაესახელებინათ საგნები. აკრძალული ჰქონდათ ჩანაწერების, სქემების ტარება. დარღვევისათვის შემოღებული იყო დასჯის მთელი სისტემა, გამასწორებელ ბანაკებში გაგზავნაც კი. — დღესაც მოიძებნებიან ლ. ბერიას თაყვანისმცემლები, რომლებიც ქება-დიდებით მოიხსენიებენ მას, ხოტბას ასხამენ „უდიდეს წვლილს, რომელიც მან შეიტანა ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებაში". ჩელიაბინსკელმა ისტორიკოსმა ვ. ნოვოსიოლოვმა, რომელმაც გააანალიზა ზოგიერთი საარქივო მასალა, ესაუბრა იმათ, ვინც კარგად იცნობდა ბერიას (მათ შორის პირად მძღოლს), გამოიტანა დასკვნა, რომ ლავრენტი პავლეს ძეს, რომელიც „არ ერიდებოდა ზოგჯერ აშკარა უხამსობის გამოჩენას, რაც ესოდენ ორგანული იყო საბჭოთა ბიუროკრატიისათვის, გარემოების მიხედვით შეეძლო ყოფილიყო თავაზიანი, ტაქტიანი და უბრალოდ ნორმალური ადამიანი". ფრიად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მაგრამ, აი ისინი, ვინც თავიანთი ხელებით, თავიანთი ჯანმრთელობის ფასად აშენებდნენ სსრ კავშირის ბირთვულ ფარს, სხვა აზრის არიან. — ა. გ. სამოილოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „მაიაკზე" მივლინებული მეატომე ინჟინერი: „ორი წელი მარტო ვცხოვრობდი, ოჯახს მოცილებული, შვილის დაკრძალვაზეც კი არ გამიშვეს". 1949 წელს კი, პლუტონიუმის ბომბის გამოცდის შემდეგ ბერიამ უთხრა სამოილოვს: „უფალს მადლობა შესწირე, რომ ეს შენი ნაცოდვილარი ჩინებულად ამუშავდა, თორემ ყველას მიგახვრეტდით". და ეს უთხრეს სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატს. — მ. ვ. გლადიშევმა თქვა: „გარეგნულად ყველაფერი თითქოს წესრიგში იყო, მაგრამ რაღაც შეუმჩნევლად და აკურატულად ქრებოდნენ „სოროკოვკიდან" (დახურული ქალაქი, რომელიც ემსახურებოდა „მაიაკის" სამრეწველო ზონას) ადამიანები და უკვე აღარავინ იცოდა, რა ბედი ეწიათ მათ შემდგომ. ასეთი იყო იმათი ხვედრი, ვინც პლუტონიუმს აწარმოებდა ატომური ბომბისათვის. ამ ადამიანების ჯანმრთელობა, სიცოცხლე ჩალის ფასადაც არავის ულირდა. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაეკარგათ თავისუფლებაც. ასეთი იყო „მავთულხლართის მიღმა კომუნიზმის" პირველი ფაზა. როგორ ცდებოდნენ ისინი, ვისაც, თუნდაც, ერთხელ მაინც შეშურდა ასეთი „კომუნიზმისა".

ჩვენ ვწყევლით „მაიაკს"

მკაცრმა კონტროლმა მთლიანად მოსწყვიტა ზონა გარე სამყაროს, იქ ცხოვრების საკუთარი კანონები ჰქონდათ, რაზეც საერთოდ არაფერი იცოდნენ გარშემო მდებარე სოფლებისა და დასახლებების მცხოვრებლებმა. ალბათ, ასევე გაგრძელდებოდა ეს თანაარსებობა პარალელურ სამყაროებში, „მაიაკი" ტრაგიკულ მოვლენათა მიზეზი რომ არ გამხდარიყო; „მაიაკის" საწარმოო გაერთიანების საქმიანობას მოჰყვა რადიონუკლეიდების მეტად დიდი რაოდენობით დაგროვება და ოლქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანება. მეტისმეტად მაღალია რადიაციული დატვირთვა მდინარეებს ტეჩასა და მიშელიაკს შორის სანიტარიულ-დამცავი ზონის რაიონში დაახლოებით 40 კმ. ფართობზე, სადაც რადიაქტიურობა 1 მილიარდ კიურის აღწევს (ოცი პოტენციური ჩერნობილი). 1940, 1950 და 1960 წლებში „მაიაკის" ქიმკომბინატის ავარიულმა და კრიტიკულმა სიტუაციებმა გამოიწვიეს ტერიტორიის რადიაქტიური დაბინძურება, რომელზეც 435 ათასი კაცი ცხოვრობდა". ეს ციტატა მოყვანილია ჩელიაბინსკის საოლქო საბჭოს 1990 წლის სესიის მიერ მიღებული დოკუმენტიდან, რომელშიც ლაპარაკია მხოლოდ ერთ ოლქზე, მაშინ როცა, სხვადასხვა დროს „მაიაკზე" მომხდარი ავარიებისა და გაუთვალისწინებელი სიტუაციების გამო დაზარალდნენ სხვა რეგიონებიც, და არა მარტო რუსეთში.

ამჟამად „მაიაკი" სპეციალიზდება ატომური ელექტროსადგურების დასხივებული ბირთვული სათბობის გადამუშავებაზე, რისთვისაც რადიაქტიურ ნარჩენებს იღებს მთელი ქვეყნიდან და საზღვარგარეთიდან. სამხრეთ ურალი გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე დიდ ბირთვულ საყრელად. 1993 წლის დამლევს „მაიაკის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ქიმკომბინატი ახლა რადიაქტიური დამლის მეტ პროდუქტს ამუშავებს, ვიდრე თავისი არსებობის გარიჟრაჟზე. ამავე დროს კრიტიკული სიტუაცია „მაიაკზე" იშვიათობა როდია, ერთხელ რადიაქტიური ნარჩენების გადამმუშავებელ ქარხანაში ამოიწვა საწვავიანი კასეტის გარსაცმი; რადიაციის ამოფრქვევა 3 ბალი იყო საერთაშორისო შვიდბალიანი სკალით, რომლითაც იზომება ბირთვულ ობიექტებზე მომხდარი მოვლენების სიმძიმის ხარისხი. და ეს რიგითი შემთხვევა იყო. ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა. საბიუჯეტო საწარმოებისთვის დამახასიათებელ ფინანსურ პრობლემებს არც „მაიაკისათვის" აუვლია გვერდი. გარდა ამისა, რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს თავდაცვითს საწარმოს მოაკლდა უწინდელი შეღავათები და შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ამის გამო, „მაიაკი" დროულად ვერ უხდის ხელფასს თანამშრომლებს, მით უმეტეს, ვერაფრით ვერ ეხმარება თავის ნახევარსაუკუნოვანი საქმიანობის მსხვერპლთ. მრავალი სასამართლო სარჩელისაგან გაბეზრებული საწარმოს იურისტები ცდილობენ მათს თავიდან აცილებას და ამ პრეტენზიების „მაიაკის" შემქმნელი სისტემის სახელმწიფოსათვის წაყენებას. მაგრამ ის სახელმწიფო აღარ არსებობს... „მაიაკის" მეზობელი ადგილობრივი მცხოვრებნი კი უმწეობისაგან სასოწარკვეთილებას მისცემიან, მაგრამ ყველაზე მეტად იმით არიან აღშფოთებულნი, რომ ისინი საცდელ კურდღლებად, რადიაციის ზემოქმედების გამოსაკვლევი ექსპერიმენტების მსხვერპლად გამოიყენეს. ისინი წყევლიან „მაიკს". გასაგებია, როცა არ ამხელენ ტექნოლოგიურ საიდუმლოებას, პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობას და სხვა. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა დაემალათ სანიტარიის ელემენტარული წესები, რადიაციის პირობებში უსაფრთხო მუშაობისა და ცხოვრების წესები... ნუთუ შეერთებულ შტატებშიც ისე იყო, როგორც ჩვენთან?

ისინი და ჩვენ

ამერიკის ქალაქ ჰენფორდის (ვაშინგტონის შტატი) და ოზიორსკის ისტორიაში ბევრი რამ არის საერთო. ერთშიც და მეორეშიც ნახევარი საუკუნის წინათ ამუშავდა პლუტონიუმის მისალები საწარმოები. იქაც და აქაც წარმოების ნარჩენებს უშვებდნენ მდინარეებში (იმათთან მდინარე კოლუმბიაში, ჩვენთან მდინარე ტერაში). ამის შედეგად იმათთანაც და ჩვენთანაც ბინძურდებოდა მიწა და მდინარეები; ავადდებოდნენ ცხოველები, ფრინველები, ადამიანები. სსრ კავშირშიც და შეერთებულ შტატებშიც ნებისმიერი ინფორმაცია გარემოს გაჭუჭყიანების შესახებ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. აი, რას ამბობს ამის შესახებ დოქტორი არჯუნ მაქჰიჯანი, ენერგეტიკული და ეკოლოგიური კვლევის დამოუკიდებელი ინსტიტუტის დირექტორი: „მეატომეები დაუსრულებლად არღვევენ თავისსავე ინსტრუქციებს, ამახინჯებენ და მალავენ ინფორმაციას. მხოლოდ 1997 წელს გამოქვეყნდა მონაცემები ნევადაში ბირთვული გამოცდების შედეგების შესახებ. დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ რადიაქტიური ნალექები 1950-60 წლებში მოდიოდა ნევადიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადგილებში, დაზარალდნენ ადამიანები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ იდეალურ ეკოლოგიურ პირობებში ცხოვრობენ. ფერმერთა შვილები შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ძროხის და განსაკუთრებით თხის რძესთან ერთად რადიაქტიური იოდის ისეთსავე დოზას იღებდნენ, როგორსაც ჩერნობილის დაავადებული ბავშვები.

ჰენფორდს აშენებდნენ და ემსახურებოდნენ დაქირავებულნი. ჰენფორდში ადამიანები არასდროს არ ცხოვრობდნენ, აქ ისინი ეკოლოგიურად სუფთა ზონიდან მხოლოდ სამუშაოდ ჩადიოდნენ. მუშაკთა რაოდენობა, რომლებიც გაწმენდაზე მუშაობდნენ, რაოდენობით აღემატებოდა პლუტონიუმის წარმოებაზე დასაქმებულთ. ამერიკის საზოგადოებრიობამ უკვე აიძულა ხელისუფლება, შეეწყვიტა პლუტონიუმის წარმოება. შეერთებული შტატების მოქალაქენი იმდენად არიან შეპყრობილი რადიაფობიით, რომ უარყოფენ თვით „მშვიდობიანი ატომის" იდეას. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არ აშენებულა არც ერთი ატომური სადგური, ნიუ-იორკთან ასამოქმედებლად გამზადებული ატომური ელექტროსადგური კი დახურეს. შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 1950 წელს მიღებული დასხივების დასაშვები დოზა გაცილებით ნაკლებია არათუ ჩვენს, არამედ დასავლეთის ყველა სტანდარტთან შედარებით, თანაც იმდენად დაბალია, რომ ამერიკის ჯანმრთელობის ფიზიკის საზოგადოება მის გაზრდას მოითხოვს.

დიახ, შეერთებულ შტატებშიც არის „ეკოლოგიური დასნეულების" ცნება, იქაც არიან რადიაციით დაზარალებულნი, რომელთა ჯანმრთელობაც ემსხვერპლა მეატომეთა შეცდომებსა და ხარვეზებს. მაგრამ „მაიაკის" მსხვერპლთაგან განსხვავებით, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ სამედიცინო და სოციალურ დახმარებას, ზოგჯერ კი ელემენტარულ ინფორმაციასაც თავიანთი დაავადების შესახებ, ეკოლოგიურ ავადმყოფებს შეერთებულ შტატებში აქვთ სერიოზული სამართლებრივი დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მკურნალობისა და დახმარების პროგრამას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, განსხვავება, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ ეს როდია ყველაზე მთავარი. შთამბეჭდავი და შემაძრწუნებელია სხვა რამ — ატომური იარაღის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის შედეგი, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანი, მემკვიდრეობა, რომელიც გამალებულმა შეიარაღებამ დაგვიტოვა ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას.

მოამზადა
ლია გოგიჩაიშვილმა.

საქართველოს რესპუბლი
№ 123. სამშაბათი. 11 მაისი. 1999 წე

გამოწვევა მიღებულია

1809 წლის მაისში, როდესაც ფრანგული ზარბაზნები ვენის გარეუბანს ყუმბარებს უშენდნენ, ავადმყოფი, სარეცელს მიჯაჭვული იოსებ ჰაიდნი გაჭირვებით მიჩოჩდებოდა ხოლმე ფანჯარასთან, რომ წინ გადაშლილი პატარა ყვავილნარისთვის შეევლო თვალი. მოხუცი კომპოზიტორი ამაყობდა მისივე მზრუნველი ხელით ბაღში გაჭრილი ხეივნებითა და კვლებში ჩარგული ყვავილებით.

ფრანგული ზარბაზნები ქუხდა, მოხუცი ავადმყოფი მუსიკოსი თავს გაიქნევდა, უსიტყვოდ მოშორდებოდა ფანჯარას, დაწვებოდა ლოგინში, პერანგის საკინძეს შეიხსნიდა, რადგან სუნთქვა უჭირდა და სულს ძლივს მოიბრუნებდა... იმ დღეს, როდესაც ფრანგულმა ყუმბარამ მისი ბაღი გაანადგურა, იოსებ ჰაიდნს გული გაუსკდა და გარდაიცვალა.

ვერ გეტყვით, რატომ გამიელვა კომპოზიტორის საბრალო აღსასრულის კადრმა, ანდა, რა კავშირი უნდა ჰქონოდა გიორგობის იმ დღეს ჰაიდნის ბაღთან?

როცა ზემოთ კვლავაც შეუძლიათ... ახლებურად მართვა

ღრუბლიანობისა და უამინდობის მიუხედავად, კვლავაც მხარი ავუბით კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს გია არსენიშვილს და კაჭრეთისკენ გავემართეთ.

ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა კახეთის თავკაცის წამოწყებული სიახლის შესახებ. — **მე არ ვიცი, რამდენად მოსაწონია ეს, მაგრამ საჭირო კი არის აუცილებლად. გადავწყვიტე, მოვიარო კახეთის ყველა სოფელი, — თუმცა კაჭრეთს ძნელად უწოდებ სოფელს, ეს რაიონული ცენტრიც იყო, — და განსაკუთრებით ის სოფლები, სადაც არანაირი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ არსებობს. რა თქმა უნდა, თუ გვერდით არის ისეთი ქალაქი ან სოფელი, რომელიც გავლენას ახდენს ამ სოფლებზე, მეც იქა ვარ აუცილებლად,** — ზუსტად ამ სიტყვებს იტყვის გია არსენიშვილი, ოღონდ მოგვიანებით, კაჭრეთის საშუალო სკოლაში.

გია არსენიშვილი ამ სახელმწიფოებრივ იდეას ახორციელებს — იგი სოფლელების გვერდით არის (აუცილებლად!) და ჩვენი გაზეთიც გვერდში უდგას (აუცილებლად!) გია არსენიშვილს. 14 იანვარს, ძველით ახალ წელს ომალოში დაწყებული ხალხთან მისვლის საქვეყნო საქმე კაჭრეთის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვებისთვის გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვით გრძელდება და ჩემთვის კიდევ ერთხელ საცნაურდება, რომ უკვალოდ არ გამქრალა მტკიცე ხასიათითა და ნებისყოფით გამორჩეული თაობა.

გადაუჭარბებლად ვიტყვი — ასეთი ადამიანები სჭირდება დღევანდელ საქართველოს. ისევე, როგორც ათეული წლების წინათ, ახლაც აუცილებელია ხალხთან მისვლა, მათი საწუხარის გაზიარება, რათა სიფრთხილისა და მოკრძალების სენით ერთობ მოწამლულ ადამიანებს რწმენა დაუბრუნდეთ და იწამონ, რომ სახელმწიფო მათთვის რაღაცის გაკეთებას ცდილობს ან, — უკეთეს შემთხვევაში, — შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებს.

ხალხთან მისვლით პრობლემების კიდევ ერთხელ ახლოდან დანახვის საშუალება გეძლევა და იმის გაცნობიერების საფუძველსაც გაძლევს, რომ შეუძლებელია ბიბლიური გოფელინის მაღალფარდოვანი ფრაზებით უპასუხო დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

რეაბილიტაცია — თავისუფლება აღმატებულ ხარისხში

თუმცა, თუკი ასე გავაგრძელებთ, შექსპირის უკიდეგანო სამყაროში აღმოვჩნდებით, ამიტომ სჯობს სქოლასტიკას (თუმცა, საჭიროს) თავი დავანებო და **გია არსენიშვილთან,** განათლების მინისტრთან **ალეკო კარტოზიასთან,** გურჯაანის გამგებელთან **გიორგი სიბაშვილთან,** კომპანია „საქნავთობპროდუქტის“ გენერალურ დირექტორთან **ვახტანგ კიკნაძესთან,** რესპუბლიკის არასრულწლოვანთა საკოორდინაციო ცენტრის დირექტორთან **მერაბ სანიკიძესთან** ერთად შევაბიჯოთ კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრის მწვანედ აბიბინებულ ეზოში.

წამით თვალის დახუჭვა — მომაბეზრებელი წვიმისა და სისველისგან თავის დასაღწევად. წარმოდგენა, თუ როგორი იქნებოდა აქაურობა კაშკაშა მზის გულზე, როგორ აგიზგიზდებოდა მწვანე ცეცხლად ბალახი.

ყველაფერი შუქნათელით იყო მოსილი. მაგრამ ეს — წარმოსახვაში. წვიმა კი რეალობაა. ბავშვების ჟრიამულიც არ იკლებს აქაურობას. სადილობის დროც გადასულია და მასპინძელი, ცენტრის დირექტორი **ჯამლეთ მოსულიშვილი** სასწავლო კორპუსისკენ წაგვიძღვება. მასთან ერთად მეგზურობას გვიწევს მერაბ სანიკიძე — საქმის არსში ღრმად ჩახედული კაცი, ვისთვისაც არ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვა არასრულწლოვანებთან დაკავშირებით.

მივყვეთ.

კაჭრეთის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრი ერთადერთია მთელ საქართველოში. მას ანალოგი არ მოეძებნება პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. სამტრედიის სპეციალური სკოლა-ინტერნატისა და ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიისაგან კაჭრეთის ცენტრს ის განასხვავებს, რომ აქ ერთად სწავლობენ გოგონებიც და ვაჟებიც 8-დან 18 წლამდე.

ცენტრში ამჟამად 65 ბავშვია. საძილე კორპუსი იძლევა იმის საშუალებას, რომ 150 ბავშვიც დაიტიოს, მაგრამ, როგორც მერაბ სანიკიძემ თქვა, ისინი სხვაგვარად უდგებიან საკითხს. არ უნდათ ყაზარმულ სისტემაზე გადასვლა, სადაც ერთ ოთახში 20-25 ბავშვს აძინებენ. აქ ერთ ოთახში 4 ან 6 საწოლი დგას. თუკი დღის განმავლობაში ერთად არიან, ღამით გოგონები და ვაჟები ცალკე პალატებში იძინებენ. ღამით ორივე ფლიგელი იკეტება. საწოლი ოთახების კარები არ იკეტება, რათა აღმზრდელს ნებისმიერ დროს ჰქონდეს მათი ნახვის საშუალება.

— თუ საშუალება იქნა, რომ გავარემონტოთ ან ავეჯი შემოვიტანოთ, ბავშვები თვითონ გადაწყვეტენ, რა ფერის იყოს კედლები; ავეჯსაც თავიანთი გემოვნებით შეარჩევენ. — ამბობს მერაბ სანიკიძე. — **თავისუფლება ახლაც აქვთ. არც იმ სურათების კედლებზე გაკვრას ვუშლით, რომლებიც თვითონ მოსწონთ.**

მოკლედ, რეაბილიტაცია გულისხმობს თავისუფლებას აღმატებულ ხარისხში. აქ ვერსად ნახავთ გისოსებს ანდა ამკრძალავ წარწერებს. აქ ყველაფერი შეიძლება — დასაშვებ ფარგლებში. და თავისუფალ დროს ბავშვებიც თავიანთი ინტერესების მიხედვით იყენებენ — აქვთ სახელოსნოები, შექმნილია ინდივიდუალური ჯგუფები.

თუმცა, დავუჯეროთ გია არსენიშვილს — მოდით, წავიდეთ იქ, სადაც ბავშვები ერთად არიან, ანუ ვნახოთ ინდივიდუალური ჯგუფები.

გზადაგზა საუბრიდან:

გია არსენიშვილი: — **რამდენადაც ვიცი, მნიშვნელოვანი ინციდენტი არ მომხდარა.**

ჯამლეთ მოსულიშვილი: — **ერთი წელია, არაფერი მომხდარა.**

მერაბ სანიკიძე ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს: — **საინტერესო ის არის, რომ როცა პირველად რაღაცის გაკეთების საშუალება მიეცათ, ყველამ ჯვრების გაკეთება დაიწყო. აქ იყო ჯონი ჭინჭარაული. 18 წლის შესრულებამდე აქ იყო, 15 წლისას კი მხოლოდ ოთხი კლასის განათლება ჰქონდა; 15-ჯერ მაინც იყო მოხვედრილი გლდანის მიმღებ-გამანაწილებელში. პირველი ის მოვიყვანეთ აქ. და იმდენად მოინდომა, რომ მე-9 კლასის პროგრამაც აითვისა, ლექსებსაც წერდა.**

რა იცოდა არქიმედემ კახეთი?

ქარგვის ინდივიდუალური ჯგუფი. ნატიფი ნაქარგები — ნებისმიერ გამოფენას რომ დაამშვენებდა. მიიღეთ ეს როგორც თქვენი იდეა, გაითავისეთ და მე ხმის ამომღები არა ვარ. ჩააკითხეთ კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრს, შეარჩიეთ და სულაც არ დაგჭირდებათ აბაზანაში ჩაჯდომა იმისათვის, რომ დაიძახოთ — „ევრიკა!“ ჩვენსავით ჰკითხეთ ამ ბავშვებს, ვინ ქარგავს ყველაზე კარგად და ერთხმად გიპასუხებენ: — ავო გისკო, გაისმის უცნაურად არაქართული ჟღერადობის გვარი და თვალს მოავლებთ. მაგრამ ავო აქ არ არის. შემდეგ, უკვე თბილისში დაბრუნებულებს, ფოტორეპორტიორი ალექსანდრე კოტორაშვილი დაბეჭდილ ფოტოსურათებს მაჩვენებს და ერთ-ერთ კადრში ავოც გამოჩნდა. თურმე, თავისი სახელი გაუგონია შემოსასვლელში სამორიგეო მაგიდასთან მჯდარს და შეუმჩნევლად შემოსულა. ჩვენი იქიდან გამოსვლისას კი ავო თავის ადგილზე იჯდა.

დავბრუნდეთ წუთით უკან და შრომითი სწავლების დარგში სარეალიბიტაციო ცენტრის დირექტორის მოადგილეს **ხათუნა ადუაშვილს** გავესაუბროთ.

— ბავშვები ინდივიდუალურად არიან გაერთიანებული შრომითი სწავლების ჯგუფებში, — მეუბნება ხათუნა, — **სულ 6 მიმართულებაა. მოსამზადებელი ჯგუფიდან ვარჩევთ. არის მამაკაცის ტანსაცმლის კერვის, კულინარიის, ქსოვის, ქარგვის, სასოფლო-სამეურნეო შრომის ჯგუფები. ბავშვები ნება-სურვილის მიხედვით ერთიანდებიან ამ ჯგუფებში. გვყავს მუსიკის მასწავლებელიც. მთლიანად სარეაბილიტაციო ცენტრში 40 მასწავლებელია.**

— ხათუნა, რით განსხვავდებიან ადრინდელი ბავშვები ამ ბავშვებისაგან?

— ახლა შედარებით რთული ბავშვები არიან. ეს ბავშვები ქუჩაში იზრდებოდნენ. მაგრამ ჩვენთან ისე ყალიბდებიან, შეიძლება ოჯახის ბავშვებსაც აჯობონ. ჩვენთან ოჯახებიდან მოყვანილი ბავშვებიც არიან.

— ბავშვებს როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან?

— საკმაოდ კონტაქტურები არიან, მაგრამ მარტივი დამოკიდებულება არა აქვთ. თავიდან, როცა მოდიან, ერთ სიტყვასაც არ არჩენენ ერთმანეთს. თვითდამკვიდრების რეფლექსი მუშაობს. მერე თანდათან ეგუებიან ერთმანეთს, იხვეწებიან, რადგან აქ დისციპლინა უმაღლეს დონეზეა: სასადილოშიც კი არ შედიან ურიგოდ.

არიან ისეთი ბავშვებიც, არც ერთ დაწესებულებაში რომ არ გაჩერებულან აქ მოსვლამდე. მარიკა ღაღანიძე წელიწადია აქ არის და არსად წასვლის სურვილი არა აქვს. დედა ჰყავდა და დაელუპა. ქუჩაში დაბრუნება კი აღარ სურს.

მბჟუტავი ნაკვერჩხალი

ხათუნამ ისიც მითხრა, ჩვენთან დისციპლინას მათრახით არ ვამყარებთო. სიმართლე ვთქვათ, — თქვენც ძნელად დაიჯერებთ, რომ ამ ბავშვებთან მხოლოდ ტკბილი სიტყვით რამეს გახდებით. ასე არ დავიჯერე მეც. ცენტრის სადურგლო სახელოსნოსკენ მიმავალმა, დირექტორს, ჯამლეთ მოსულიშვილს გავუზიარე ჩემი ეჭვი. მიწყინა. ეს ბავშვები ქუჩიდან მოვიყვანეთ და თუკი ჩვენც ისევე ძალადობაზე ავაგებთ მათთან ურთიერთობას, შეიძლება ცოტა ხნით კი დავიმორჩილოთ, მაგრამ აქ აღარ გაჩერდებიან. ეგეც რომ არ იყოს, ასე გაზრდილი ადამიანი რა უნდა გამოვიდეს, თანაც, ამათთვის კარგ მოქცევას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ძალის გამოყენებასო.

რა გინდა უპასუხო? მხოლოდ ჭეშმარიტება თუ შეგახსენებს თავს: ამ ბავშვების სახით სამში ნაკვერჩხალი ბჟუტავს. თუ მას ყველგან არ მოვასხამთ ნაკურთხ წყალს, ეს ნაკვერჩხალი ცეცხლს ააგიზგიზებს, ხანძრად გადაიქცევა და ქვეყანას გადაბუგავს. სად ამოვიკითხე ეს მშვენიერი სიტყვები? აღარ მახსოვს, მაგრამ რაკი კაჭრეთში გამახსენდა, ესე იგი შესაფერიც არის, ასე და აქ ეთქვა.

ამ ფიქრებით შევედი მწირად მოწყობილ სადურგლო სახელოსნოში, სადაც ბიჭები მუშაობდნენ და სახელოსნოს გამგე ზაზა ნადაშვილი თავს დასტრიალებდა. მისი თქმით, ძალიან მშრომელი და მონდომებული ბავშვები არიან. მათ მარტო ხელობის სწავლა კი არა, ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად მომზადებაც სჭირდებათ. ოჯახური სითბო უნდა იგრძნონ. ზაზას არც ის დაუმალავს, რომ სახელოსნოსთვის აუცილებელია მექანიკური ინსტრუმენტების შეძენა. ჩარხი გვიჭირს, ვერაფერს ვჩარხავთ, — ამ სიტყვების მოსმენისთანავე ვახტანგ კიკნაძე, რომელმაც რამდენიმე წუთის წინათ სასკოლო სახელმძღვანელოები გადასცა ცენტრის დირექტორს, ახლა მექანიკურ ხელსაწყოებს შეჰპირდა სახელოსნოსთვის.

ფანჯარასთან ფიცარს ხერხავდა პატარა ბიჭი. იმდენად დიდი იყო მსგავსება ავო გისკოსთან, რომ ვიკითხე, ვინ იყო. მიპასუხეს, — ეს სერგო გისკოა, ავოს ძმაო. სანამ სტუმარ-მასპინძელი სამკერვალო სახელოსნოს ათვალიერებდა, მე მასთან გასაუბრება ვამჯობინე. და ეს არ იყო უბრალო, ანგარიშმიუცემელი ცნობისწადილი. შემოგთავაზებთ სერგოსთან ინტერვიუს ფრაგმენტებს მონოლოგის სახით და თავადაც ნახავთ, რა გაჭირვება ადგას მომავალ თაობას, რომელსაც ახლავე სჭირდება შველა.

სერგო გისკოს მონოლოგი

ბათუმში ვცხოვრობთ. 9 თვეა, აქ ვართ მე და ჩემი უფროსი ძმა. ბათუმში დედა მყავს. ექთანია. ბათუმის მე-3 რუსულ სკოლაში დავდიოდით, მაგრამ სკოლაში სიარული გვეზარებოდა და ვაცდენდით. მე-5 კლასიდან გამოვედით. მერე დედას ვეხმარებოდი. ჩვენმა მეზობელმა სვეტამ დედაჩემს უთხრა, ბავშვთა სახლში წაიყვანეო, და სვეტამ მე და ავო აქ წამოგვიყვანა. აქ 14 ბათუმელი ბავშვია, მაგრამ მე მარტო ერთს ვიცნობდი, ჩემი მეზობელია.

კარგია, რომ აქ მოვედი. დედა მენატრება, მაგრამ მოდის ხოლმე, უკვე ოთხჯერ იყო. ორჯერ ბათუმშიც წამიყვანა და მერე ისევ დავბრუნდი.

ქუჩაში რა უნდა გავაკეთო?! ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდი და დედა ენა აქ ვისწავლე. კარგი მასწავლებლები გვყავს. საჭმელიც კარგი გვაქვს, — ჩაი, კარაქი, ფაფა, მაკარონის სუპი და ხორცის სოუსი, კანფეტსაც გვაძლევენ. მოედანზე ფეხბურთს, კალათბურთს და ფრენბურთს ვთამაშობთ. დედაჩემმა მირჩია და მეც მინდა მეზღვაური გამოვიდე. 9 კლასს რომ დავამთავრებ, ბათუმში წავალ და საზღვაო სასწავლებელში ვისწავლი. ცურვა კარგად ვიცი, იახტკლუბში ვისწავლე, გემებამდე მივდიოდი, 100 მეტრი იქნება ნაპირიდან. მამაჩემიც მეზღვაურია. წერილებსაც ვწერდი, ახლა აღარ ვწერ, 5 წელია არ მინახავს. მას სხვა ცოლი ჰყავს, 3 წლის გოგოც ჰყავს, ისინი ოდესაში ცხოვრობენ. მე მამას დავემსგავსე, ავო — დედას.

სერგო გისკო.

— სერგო, რას დამაბარებ შენს თბილისელ თანატოლებთან?

— იქ არავის ვიცნობ, — გაოცებული მიყურებს ბიჭი. მერე ჩაფიქრდება და, **— ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებ,** — მეუბნება ღიმილით.

13 წლის ბიჭია სერგო, მაგრამ უკვე დასერიოზულებული. მისი პასუხებით, დაფიქრებული და მოზომილი, ფრთხილი საუბრით თავს ცოცხალ რეალიზად აღვიქვამ, რომელიც ისევე საჭიროებს ახსნა-განმარტებას, როგორც საკუთარი ავადმყოფობით შეჭირვებული ექიმი. და თუკი გაქვს უნარი, რომლითაც შეძლებ სხვა ადამიანის თვალით დააკვირდე შენს თავს, სატკივარიც გინელდება.

ოთარ ჯანდიერის ქვაზე დადებული მადლი

სერგოსთან საუბარს ვამთავრებ და ცენტრის ეზოში წვიმაში მდგარი ჯგუფისკენ მივდივარ. მომესმა, ჯამლეთ მოსულიშვილი „წითელ ჯვარს“ ემადლიერებოდა, — შრომის იარაღები, სამეურნეო საქონელი, ურიკები და პროდუქტები მოგვიტანესო. მერაბ სანიკიძე ამატებს — „ამქორი“ ტრაქტორსაც შეგვპირდა პატარა ფერმერული მეურნეობისთვისო.

— ერთი ყველაზე დიდი პრობლემა გვაქვს, — მოკრძალებულია ჯამლეთ მოსულიშვილი, — **ბატონ გიასთვისაც მინდოდა მეთქვა, იქნებ მოხერხდეს და 24-ადგილიანი ავტობუსი მოგვცენ, თუნდაც ძველი. რაიონის გამგეობისგან დახმარება არ გვააკლია, მაგრამ... აქ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები არიან და ალავერდი არ უნახავთ, გრემი... ბიუჯეტში ჩასმული იყო 5 ათასი ლარი ავტობუსის შესაძენად, მაგრამ ამოიღეს...**

— ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი მოგვარებულია? — ვეკითხები მერაბ სანიკიძეს.

— მადლობის წერილები გამოვუგზავნეთ ბატონ გიას და სამხარეო ხაზინის უფროსს ოთარ ჯანდიერს. ამ ფინანსური კრიზისის დროს ძალიან გვეხმარებიან. უპირველესად ამ სარეაბილიტაციო ცენტრს აქცევენ ყურადღებას.

მოგეხსენებათ, ეს ერთადერთი სარეაბილიტაციო ცენტრია. ჩვენ კონტაქტი გვაქვს რაიონულ კომისიებთან, მიმღებ-გამანაწილებელთან და წერილებიც დავაგზავნეთ, რა კატეგორიის ბავშვები უნდა მივიღოთ, მაგრამ ველარ ვღებულობთ ბავშვებს, რადგან კვების თანხა აღარა გვაქვს. ბიუჯეტში ზის, მაგრამ... რადგან მოთხოვნილება გაიზარდა როგორც მშობლების, ისე ბავშვების მხრიდან, იმ რაიონებს, საიდანაც ბავშვს გვიგზავნიან, ვთხოვეთ, დღეში 1,5 ლარი მხოლოდ კვების თანხა გადმორიცხონ.

ჯამლეთ მოსულიშვილი ერთვება ჩვენს საუბარში: — **კვების თანხას დროულად ვიღებთ. ლიმიტის გარეშეც კი მოუციათ — ხაზინა გვერდში გვიდგას. ჰუმანიტარული დახმარებაც გვაქვს.**

საუბარს ისევ მერაბ სანიკიძე აგრძელებს: — **მარტო ამ ორგანიზაციას კი არა, თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატსაც ეხმარებიან. პირველად ამათ თანხას ისტუმრებენ. თელავის ინტერნატი ადგილობრივ ბიუჯეტზე იყო. როცა ცენტრალურ ბიუჯეტზე გადმოდიოდა, იმ შუალედში, ცოტა გაუგებრობა მოხდა კვების დაფინანსების თვალსაზრისით და ხაზინის უფროსმა თავისი პასუხისმგებლობით გასცა ფული.**

ამ საუბარში ვართ და, ალეკო კარტოზია საუბრის ტონალობას არ ცვლის, ისე ჩამოართმევს სიტყვას: — **ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, იმის ნახვა, თუ როგორ ზრუნავს ბატონი მერაბი ამ სფეროსთვის, ყოველთვის სასიამოვნოა მასთან შეხვედრა და საუბარი, გულით მუშაობს და შედეგიც ჩანს. მაგრამ შედეგი ვერ გამოჩნდებოდა, რომ არა ბატონი გიას უშუალო და პირადი დაინტერესება.**

შორს დაიჭირა გია არსენიშვილმა, — მე არა, ესენი არიან მთავარიო, — თქვა და ჯამლეთ მოსულიშვილს მიუბრუნდა: — ახალ წელს რა შეიძინეთ? პასუხის მოსმენის შემდეგ, — მაგნიტოფონები, სათამაშოები, ინვენტარი ვიყიდეთო, — გონიერი კაცის სიმშვიდით წარმოთქვა მონოლოგი, რომელიც დასტურ იმსახურებს სრულად გავაცნოთ.

გია არსენიშვილის მონოლოგი

ახლა ვქმნით ახალ ფონდს, რომელიც დაეხმარება უშუალოდ ბავშვთა სახლებს. მათ შორის არის ახალგაზრდა ბანკირი ირაკლი ტყემალაძე, რომელიც ახალ წელს ჩამოვიდა და 1000 ლარი აჩუქა კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრს.

მაგრამ ამით არ დამთავრდა საქმე. მინდა ბატონმა ვახტანგ კიკნაძემ საკუთარი თვალით ნახოს ყველაფერი. მე მგონი, ბატონ ვახტანგთან და ირაკლისთან ერთად (მეგულებული მყავს კიდევ ერთი კაცი), ჩვენ გავაკეთებთ სხვა ინტერნატსაც, როდესაც აქ საქმე კარგად აეწყობა.

აქ კი საქმე მაშინ იქნება კარგად, მე რომ აღარ ჩამოვალ, როცა საჭირო აღარ იქნება ჩარევა, როცა აღსანიშნავი აღარ იქნება, რომ ოთარ ჯანდიერი დიდ ყურადღებას იჩენს და ხაზინაც დროულად აძლევს ფულს ამ დაწესებულებას. საქმე მაშინ იქნება კარგად, როდესაც ეს სტრიქონი საერთოდ ამოვარდება ყველგან. ის, რომ აქ დროზე აძლევენ თანხას, ნიშნავს იმას, რომ ვიღაცას დროზე არ ეძლევა. ამიტომ ჩვენ უნდა დავუტოვოთ ეს საქმე მზრუნველთა საბჭოს, რომელიც ახლა შეიქმნება. ბატონი ირაკლიც, ბატონი ვახტანგიც უნდა შევიდნენ ამ საბჭოში. შეიძლება აქ იყოს პრესის წარმომადგენელიც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ მომენტებზე გაამახვილებს ყურადღებას და საზოგადოებამდე მიიტანს, ვინაიდან, როგორ კარგადაც უნდა ავაწყოთ საქმე ეკონომიური თვალსაზრისით, აქ პრობლემა ყოველთვის იქნება. იმიტომ, რომ ეს ბავშვები თავიანთ სახლებში არ არიან, მშობლები არა ჰყავთ გვერდით. მე რომ ვამბობ, უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიყვანოთ მეთქი, ეს ევრორემონტს კი არ ნიშნავს. ეს ნიშნავს რომ ყველანაირი პირობა შევუქმნათ ამ ბავშვებს. მათ ხომ თავიანთი ბავშვობის მოსაგონრად ეს სახეები დარჩებათ; ეს სასადილო, თავიანთი საწოლი ოთახები, თავიანთი აღმზრდელმასწავლებლები დარჩებათ. სხვა რაღა გაჰყვებათ, — ქუჩა? მაწანწალობა?

ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. ამიტომ მინდა მადლობა ვუთხრა პირადად ბატონ ალეკოს, საერთოდ, განათლების სამინისტროს, რომ ქვეყანაში განათლებასთან დაკავშირებული უამრავი გადასაჭრელი პრობლემის მიუხედავად, მაინც შეძლო აქ შედარებით ნორმალური მდგომარეობა შეექმნა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდა გამგებელი გოგი სიბაშვილი უთვალავჯერ ჩამოდის კაჭრეთში.

ახალი წლის ღამეს არც ერთი ბავშვი არ დარჩა ამ შენობაში — ყველა წაიყვანეს მასწავლებლებმა თავიანთ ოჯახებში.

საუკუნეთა მიჯნის თაობისათვის

მონოლოგის დასასრულ ბატონი გია გაიხსენებს, სარეაბილიტაციო ცენტრში ერთ-ერთი ყოფნისას, როგორ დასდევდა მას და ცენტრის დირექტორს ერთი კაჭრეთელი ქალი. როდესაც გია არსენიშვილმა ჰკითხა, რამე სათხოვარი ხომ არა გაქვთო, ქალმა მორიდებულად, — ჯამლეთთან მაქვს საქმე, ამ მაბათ ბავშვი იქნებ სახლში გამატანოსო.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები გაითავისეს კაჭრეთელებმა, გული აჩვენეს, მოეფერნენ. არ ღირს თვალის დახუჭვა სინამდვილეზე, მისი გადალახვაა საჭირო. აი, რა აქვთ გაცნობიერებული კაჭრეთშიც და არასრულწლოვანთა საკოორდინაციო ცენტრშიც. მაგანი კი რატომღაც გვირჩევს დავხედოთ საათს, რომელიც თორმეტს უჩვენებს, როცა უკვე ნაშუადღევის ორი საათია. ამიტომაც, — გია არსენიშვილის მიხედვრილობა უფრო ღირსეულია, ვიდრე მაგანი გამგებელ-გუბერნატორის „კორპიეთი მსუბუქი და ბოთლივით ცარიელი“ თავის მოტყუება, რადგან, — ესეც ჭეშმარიტებაა, — „ვინც თავს კარგავს, ის თმას არ მისტირის!“ ჩვენ კი რეალურად ვდგავართ თავის დაკარგვის საფრთხის წინაშე, თუმცა წამიერად დამშვიდების უფლებას მაინც გვაძლევს კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრი.


მძარგველების ჯგუფი.

დღეს, უპირველესად, მოზარდთა შველა, მათი ქუჩისთვის ხელიდან გამოტაცებაა საჭირო. და თუკი შევძლებთ და გადავარჩენთ საუკუნეთა მიჯნის თაობას, მაშინ შევძლებთ ჩამოვირეცხოთ მომაბეზრებლად ყალბი იერი.

* * *

რატომ გამახსენდა კაჭრეთის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრში იოსებ ჰაიდნის ტრაგიკული აღსასრული? ამ წერილის დასასრულს გაცხადდა, რატომაც. დიდი კომპოზიტორი ბარბაროსობის ველურმა გამოვლინებამ შეიწირა. მას გული გაუხეთქა ყვავილებისა და ბაღის განადგურებამ. ჩვენ კი ადამის მოდგმა ჯიქურ გვიმზერს იჩქითად თავხედი და გამომწვევი სახით და ქვეყნის დალუპვით გვემინებს. იქნებ, ჰაიდნის მაგალითმა მაინც შეგვახსენოს, რომ ამ ბავშვებს, უპირველესად, ჩვენი გულისხმიერება სჭირდებათ. კაჭრეთში ნანახმა დამარწმუნა, რომ გამოწვევა მიღებულია.

„მემკვიდრე პრინცებს უყვართ, როდესაც მათ აძლევენ, ჩვენ კი გვიყვარს, როდესაც ჩვენსას გვიტოვებენ“.

დაგვიტოვეთ და შეგვინარჩუნეთ ჩვენი თაობა — ამას, უპირველესად, ხელისუფლების მისამართით ვამბობ.

დავიტოვოთ და შევინარჩუნოთ „სხვისი შვილები“ — ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, 21-ე საუკუნის საქართველო!

ბონდო მძინარაშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.
კაჭრეთი — თბილისი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ავთანდილ ჯორბენაძე:

ასე მუშაობა აღარ შეიძლებ

შაბათს ჯანდაცვის სამინისტროში გაიმართა მინის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ეს ბოდნენ ჩვენი ქვეყნის სამეანო-გინეკოლოგიურ დ სებულებათა ხელმძღვანელები, წამყვანი სპეცია ტები, მეცნიერები, ჟურნალისტები.

სხდომაზე განიხილეს მცხეთის დედათა და ბავ სამხარეო ცენტრში მომხდარი ამბავი.

21 აპრილს, ზემოხსენებული ცენტრის შემოწმებისას, გამოვლინდა სერიოზული დარღვევები: ანტიხანიტარია მიმღებში და სამეანო ბლოკში, გადასწორებული და ამოშლილი ჩანაწერები მიმღებისა და მშობიარობის სარეგისტრაციო ჟურნალებში და სხვა. დოკუმენტაციის გაცნობისას დაფიქსირდა მკვდრადშობადობის შემთხვევის თვითნებურ აბორტად გატარების ფაქტიც.

აღმოჩნდა, რომ 17 აპრილს ცენტრში მოსალოდნელად მიუყვანიათ 23 წლის ხათუნა ბარისაშვილი. სარეგისტრაციო ჟურნალში არ აღუნიშნავთ არც მისი ორსულობის ვადა, არც შემოსვლის დიაგნოზი და არც განყოფილება, სადაც პაციენტი მოთავსდა. შემდგომ, ექიმ მ. ელიაშვილის მიერ შედგენილი ავადმყოფობის ისტორიაში დაფიქსირდა 22-23 კვირის ორსულობა და მკვდარი ნაყოფი, რომლის სხეულის მასა 3 კგ, სიგრძე 25 სმ იყო.

მაგრამ მორიგე პერსონალისა და თვით პაციენტის ახსნა-განმარტებითი ბარათებით დადგინდა, რომ ხათუნა ბარისაშვილს (ის მცხეთელია, გათხოვილია კასპში და ამ დღეებში დედასთან იმყოფებოდა მცხეთაში) დილით სამშობიარო ტკივილები დაწყებია და მეზობლის თანხლებით მისულა მცხეთის დედათა და ბავშვთა სამხარეო ცენტრში. აქ მუცელატკივებული ქალი 2 საათის განმავლობაში მიმღებში ალოდინეს და მხოლოდ მაშინ შეიყვანეს წინასამშობიარო პალატაში, როცა ინტენსიური მშობიარობა დაეწყო. ამ დროისათვის ნაყოფის ჭულისცემა მოისმინებოდა, მაგრამ თანდათან, მშობიარობის პროცესში გულისცემა მესუსტდა. დაიბადა 38 კვირის მკვდარი ბიჭუნა 3.200 კგ წონისა და 51 სმ სიგრძის (შეადარეთ ავადმყოფობის ისტორიის მონაცემებს: იქ ფეხმძიმობის 22 კვირა, აქ — 38 კვირა, იქ ნაყოფის სიგრძე 25 სმ, აქ — 51 სმ.).

რეგისტრირებული არ იქნა არც მშობიარობა და არც მკვდრადშობადობა. არავითარი ინფორმაცია არ გადაეცა მამაჩის ადგილობრივ ბიუროს. სამაგიეროდ, ავადმყოფობის ისტორიაში ჩააკრეს პაციენტის ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ის უარს აცხადებს მკვდრადშობილის პათოლოგანატომიურ შესწავლაზე. მკვდრადშობილისთვის კი, თურმე, იქვე, სამშობიაროს ტერიტორიაზე გაუთხრიათ საფლავი (როგორც ამბობენ) ექიმსა და ექთანს თუ სანიტარს.

მინისტრის საბჭოს სხდომაზე უმკაცრესი შეფასება მიეცა მომხდარ ამბავს როგორც სამედიცინო, ისე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. ჯანდაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ბრძანებით, მცხეთის გამგეობის წინაშე დაისვა საკითხი:

მშობიარე ხ. ბარისაშვილის მიღების, მშობიარობისა და მისი მკვდრადშობილი ახალშობილის რეგისტრაციის წესების უხეშად დარღვევისათვის, აგრეთვე, მცხეთის დ/ბ სამხარეო ცენტრის ძირითადი სამედიცინო დოკუმენტაციის უხარისხოდ წარმოებისათვის მცხეთის დედა
ბავშვთა სამხარეო ცენტრ
რექტორის გ. ყამბარაშ
დაკავებული თანამდებო
გადაყენების შესახებ.
მშობიარე ხ. ბარისაშვილ
მართ გამოჩენილი უყურად
ბის, მშობიარის მიღების,
ბიარობისა და მისი მკვდრ
ბილი ახალშობილის რეგი
ციის წესების უხეშად დ
ვისათვის მცხეთის დედა
ბავშვთა სამხარეო ცენტრის
მეან-გინეკოლოგის მ. ელ
ლის დაკავებული თანამდ
დან გადაყენების შესახებ.
საქართველოს ჯანმრ
ბის დაცვის მინისტრის
წლის 2 ნოემბრის №423
ნებით („ახალშობილთა პ
ლადი და სარეანიმაციო
მარება სამშობიარო დარ
გათვალისწინებულ მოთხ
თა უგულებელყოფისათვის
ხეთის დედათა და ბავშვ
მხარეო ცენტრის სამეანო
კში ახალშობილთა სარე
ციო კუთხის არადამაკმა
ლებელი მდგომარეობისა
მცხეთის დედათა და ბავ
სამხარეო ცენტრის დირ
რის მოადგილის ნ. მიღ
ვილის დაკავებული თან
ბობიდან გადაყენების შ
მცხეთის დედათა და ბა
სამხარეო ცენტრის საქმი
ბისადმი კონტროლის შე
ბისათვის დაისვას საკით
ხეთა-მთიანეთის მხარეში
რთველოს პრეზიდენტის რ
ნებულის წინაშე ჯანდაც
რთვის მცხეთა-მთიანეთი
მხარეო დეპარტამენტის
ქტორის ქ. ლორიას მიმარ
სციპლინური პასუხისმგებ
ზომების მიღების შესახებ
სხდომის დასასრულს ბ
ავთანდილ ჯორბენაძემ
დიცინო დაწესებულება
ლმძღვანელებს დაავალ
გილებზე, კოლექტივებში
ჯულათ მცხეთაში მომხდ
ქტზე. მან კიდევ ერთხელ
ნიშნა, რომ საქართველოში
მოგრაფიული ვითარება
შფოთებელია, მკვეთრად
ცირდა შობადობა. ახლა
ნი ვალია, — თქვა მან, -
ლაფერი ვიღონოთ თითო
სიცოცხლის შენარჩუნებისა
უპირველეს ყოვლისა, უნ
სრიგში მოვიყვანოთ ად
ვიანობა სამედიცინო და
ბულებებში. დაუსჯელობა
ნდრომმა, ყველაფრის პატ
და მიჩქმალვის სურვილმ
დევ არაერთი ტრაგიკულ
მთხვევის წინაშე შეიძლებ
გვაყენოს. ამ წესით მუშ
უკვე შეუძლებელია.
სამწუხაროდ, ექიმთა
დენობის არნახულმა გამ
სამედიცინო დახმარების
სხის დაქვეითება გამოიწ
ვალალოა ციფრები, მეან-
კოლოგთა ატესტაციის შე
რომ გამოვლინდა. მიუხედ
იმისა, რომ გამოცდები
პირველ ეტაპზე, ამკარად
იალურია, ჩვენი კოლეგებ
დი ნაწილი ცოდნის ძალ
ბალ დონეს ამჟღავნებს:
პროცენტი გამოცდას ვერ
რებს. და ვინც აბარებს,
თგან მხოლოდ ერთი მეო
იღებს სტაციონარში მუშ
(მშობიარობის მართვის,
რაციის გაკეთების...) უუნ
ამიტომ აუცილებელია ექ
კონტინგენტის მომზადება
მზადების დაჩქარება.
საქართველოს მოსახლ
უკვე ეჩვევა იმ აზრს, რომ
რკვეული (არა ყველა!) სამ
ცინო მომსახურებისათვის
ლაური უნდა გადაიხადოს, მ
ვერასგზით შეეჩვევა იმას,
უხარისხოდ მოემსახურონ
ფრთხეში ჩაიგდონ საკუთარ
ახლობლების სიცოცხლე.
შემთხვევა, რომლის თა
ჩვენ დღეს ვიმსჯელეთ,
რცხვენია, აღმაშფოთებ
— დაასკვნა ჯანდაცვის
სტრმა, — მაგრამ როგორ
ლსატკენი ამბავიც უნდა მ
ჩვენ საქართველოს მოსახ
ობას ყველაფერს გულახდ
ვეუბნებით.

ნან
ბარათაშვ

პატარა კულინარები.

სადურგლო სახელოსნოში.

მომავალი მკერავები.

სახელმძღვანელოებს გადასცემს ვახტანგ კიკ

სპორტი

ფეხბურთი

უთათურთა აღზევების დღე

ეხბურთელთა X ეროვნული პიონატის XXXVII ტური სა-ისწერო აღმოჩნდა თბილი- დინამოელებისათვის. გა-ჯებების დღემდე წაუგებლად სპარეზზე ქვეყნის უცვლელი პიონი კონტინენტის აბსო-ტურ რეკორდზე მიდიოდა, რამ ამ ოცნებას ცივი წყა- გადაესხა ქუთაისში, სადაც დერთა მატჩი „ტორპედომ“ იგო 3:1. ასე რომ, ჰოლან-ელი მთავარი მწვრთნელის ანეს ბოსკამპის თავკაცო- შუდმივმა ფავორიტმა პი-ელი წარუმატებელი ნაბიჯი ადგა. იმედი ვიქონიოთ, სა-ბოსგან განსხვავებით, მას ი დებიუტი ნაკრების სა-ემო ექნება.

აუწყებთ ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგებსაც: „გურია“ – „სამგურალი“ 2:3, „ვიტ-ჯორჯია“ – „სიონი“ 2:0, „ოდიში“ – „კოლხეთი“ 0:2, „იბერია“ – „გორდა“ 1:2, „ლოკომოტივი“ – „მერანი“ 1:0, „დილა“ – „არსენალი“ 1:2. უამინდობის გამო გადაიდო „ბათუმი“ – თსუ მატჩი.

ფინიშამდე სამი ტურით ადრე სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „დინამო“ – 68, „ტორპედო“ – 61, „ლოკომოტივი“ – 55, „კოლხეთი“ – 45, „ბათუმი“ – 41, (26 თამაშიდან), „ვიტ-ჯორჯია“ – 37, „მერანი“ – 36, „იბერია“, „დილა“, „არსენალი“ – 35-35, „გორდა“ – 31, თსუ (26 თამაშიდან), „სამგურალი“ – 27-27, „სიონი“ – 25, „ოდიში“ – 20, „გურია“ – 12 ქულა.

15 მაისს XXVIII ტურში ითამაშებენ თსუ „ვიტ-ჯორჯია“, „არსენალი“ – „ოდიში“, „კოლხეთი“ – „ბათუმი“, „სიონი“ – „იბერია“, „გორდა“ – „ლოკომოტივი“, „მერანი“ – „ტორპედო“, „დინამო“ – „გურია“, „სამგურალი“ – „დილა“, ხვალ კი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ორი საქველმოქმედო მატჩი გაიმართება: 16 საათზე იასპარეზებენ თბილისის „დინამო“ და ქვეყნის კლუბების ნაკრები, ხოლო 18 საათზე მოედანზე გამოვლენ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. შემოსული თანხა სოხუმის „ცხუმს“, გაგრის „დინამოსა“ და აფხაზეთის ბავშვთა ფეხბურთს მოხმარდება.

ვროპის სტადიონებზე

ერმანია: XXXI ტური. „ბაი-ნი“ – „ჰერტა“ 1:1, „ლევერ-ზენი“ – „ბოხუმი“ 2:0, „ბორუ-“ – „კაიზერსლაუტერნი“ 1:0. „ბაიერნი“ – 72 (ჩემპიონთა ის ფინალისტი ფინიშამდე ით ტურით ადრე გახდა ბუ-ესლიგის ჩემპიონი) „ლევე-ზენი“ – 62, „ჰერტა“ – 53, ორუსია“, „კაიზერსლაუტე-ნი“ – 51-51 ქულა.

„ფრაიბურგმა“ შინ 2:1 სძლია ენჰენგლადბახს“ და 36 ქუ-ით XI ადგილზეა. მასპინძე-ა ქართველმა ლეგიონერმა ვან ცქიტიშვილმა ამ შეხვე-ამი პენალტი ვერ გაიტანა.

ინგლისი. XXXVII ტური. „მიდლსბრო“ – „მანჩესტერი“ 0:1.

„მანჩესტერი“, „არსენალი“ – 75-75, **„ჩელსი“** – 71 ქულა.

თემურ ქეცბაიას კლუბი „ნიუკასლი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „ლესტერთან“ და 45 ქულით XII ადგილზეა.

იტალია. XXXII ტური. „ლაციო“ – „ბოლონია“ 2:0, „იუვენტუსი“ – „მილანი“ 0:2, „ინტერი“ – „პარმა“ 1:3, „სამპდორია“ – „ფიორენტინა“ 3:2, „ვიჩენცა“ „უდინეზე“ 2:3.

„ლაციო“ – 65, **„მილანი“** – 64, **„პარმა“** – 55, **„ფიორენტინა“** – 54, **„უდინეზე“** – 51 ქულა.

ესპანეთი. XXXIII ტური. „ვილიარელი“ – „ბარსელონა“ 2:3, „მალიორკა“ – „სარაგოსა“ 1:0, „სალამანკა“ – „ვალენსია“ 0:1, „ესპანიოლი“ – „სელტა“ 3:0, „სოსიედადი“ – „რეალი“ 3:2.

„ბარსელონა“ – 69, **„მალიორკა“** – 60, **„ვალენსია“** – 58, **„სელტა“** – 57, **„რეალი“** – 56 ქულა.

ჰოლანდიის ჩემპიონატის XXXII ტურში შედეგიანად ითამაშა „ბრედას“ ქართველმა ლეგიონერმა **არჩილ არველაძემ.** მან სამი გოლი გაუტანა „სპარტას“ (შეხვედრა 5:0 დამთავრდა) და უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი შეუნარჩუნა თავის კლუბს.

საფრანგეთი. ლიგის თასის ფინალი: **„ლანსი“** – „მეცი“ 1:0.

კალათბურთი

დაე, ილაპარაკონ...

ალათბურთელ ვაჟთა მერვე ოვნული ჩემპიონატის პირ-ლი ეტაპის ფინიშის მოახლო- დაძაბულობასთან ერთად ულტრო თემის წამოწე-თაც ხასიათდება. ამ დღეე- ვერის ბაღში ხშირად გა-ონებთ ზოგიერთი გულშემა-ვრის სასურველ თუ ყურ-კრულ პროგნოზებს: ეს გუ- იმ გუნდს თამამს აძლევს, პირიქით, მესამის ინტერე-ის გათვალისწინებით სა-დრო-სასიცოცხლო ბრძოლას რთავსო და ა. შ. ენას მა-ლაც რომ არა აქვს ძვალი. ველ შემთხვევაში, რაიმე გა-ვალისწინებელი, თუნდაც ნა-ვარი ძალით თამაშთან მი-ლებული, ჯერჯერობით არ ვეიმნავს და, იმედი ვიქო-ოთ, სპორტული პრინციპი და-ენილ შეხვედრებშიც იმძლა-ებს. ახლა კი მოკლედ XXXIV რის შესახებ.

ბუ – ასკ 101:100 (52:59)

„ელეი-იუში“ ადგილის და-ებამ პოლიტექნიკოსებს და-ური სამსახური გაუწია. ისინი არებით სუსტ მეტოქეებთან ლარხეინად გამოდიან საა-რეზოდ და საკუთარ თავს მეტ პრობლემებს უქმნიან. მოხდა ამჯერადაც. არმი-ები ბოლომდე შეუპოვრად რძოდნენ და მინიმალური, ობ საპაგიო სხვაობით და-ცხდნენ. **ყველაზე შედეგი-ბი:** ნაცვლიშვილი – 18 ქუ-, თიურიძე – 17 ქულა (სტუ), აშვილი – 30 ქულა, აკო-შვილი – 25 ქულა, ქართვე-შვილი – 24 ქულა (ასკ).

„მეარდენი“ – სსუ 118:115 :52, 100:100, 112:112)

უშაიდერთა უმძაფრესი დუ-ის ბედი მეორე დამატებით ოში გადაწყდა! სამქულია-მა აშკარა უპირატესობამ :7) მძიმე გამარჯვება შევა-ნელებს მოუტანა. **ყველაზე დეგიანები:** კაზანჯიანი – 32 ლა, მოისწრაფიშვილი – 31 ქულა, მაჭავარიანი – 25 ქულა, გაგნიძე – 20 ქულა, („შევარდენი“), კეიდია – 26 ქულა, ბერიშვილი – 24 ქულა, უგრეხელიძე – 22 ქულა (სსუ).

„აზოტი“ – თსუ 109:108 (55:47, 94:94)

სტუდენტებმა დიდი შემართებით ითამაშეს და ერთპიროვნული ლიდერი, შეიძლება ითქვას, ბოლომდე გამოწურეს. ეს არც არის გასაკვირი – თსუ ხომ ნახევარფინალს უმიზნებს. ამ შეხვედრის გამარჯვებულის გამოსავლენადაც დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო, თუმცა, შესაძლოა, არც ეს აღმოჩნდეს საკმარისი – ამ დღეებში კალათბურთის ფედერაციის აღმასკომი დამარცხებულთა პროტესტს განიხილავს და არ არის გამორიცხული, გადათამაშება გაიმართოს. მიზეზი გახდა სამდივნოს შეცდომა, რომელმაც საფინალო სასტვენამდე 17 წამით ადრე არ დააკმაყოფილა თსუ მთავარი მწვრთნელის ნოდარ ქორქიას მოთხოვნა წუთშესვენების შესახებ. რაც შეეხება თვით მატჩს, მის გმირად ქვეყნის ნაკრებისა და რუსთაველთა ერთ-ერთი ლიდერი გოგობერიშვილი მოგვევლინა, რომელმაც დასკვნით მონაკვეთში თავის თავზე აიღო თამაში და გუნდს 35 ქულა მოუტანა. მისი პარტნიორის ბაბიაშვილის მონაგარი 16 ქულას შეადგენს. სტუდენტთაგან აქტიურობდნენ ქარაბაკი (34 ქულა), მარკოიშვილი (22 ქულა) და ხელაშვილი (18 ქულა).

დანარჩენი ორი მატჩი ფავორიტთა იოლ გასეირნებად იქცა: „ვითა“ – „მაკაბი“ 82:69 (35:29); ყველაზე შედეგიანები: ვაშაკიძე – 23 ქულა, ახალკაცი – 22 ქულა („ვითა“), ფერიაშვილი – 21 ქულა („მაკაბი“). „დინამო“ – სდასუ 93:69 (54:40). სტუდენტები მათი წამყვანი მოთამაშის თორთლაძის სიფიცხემ დააზარალა, რომელიც 5 პერსონალური შენიშვნის გამო მეორე ტაიმის დასაწყისშივე თანაგუნდელებს გამოაკლდა.

მორიგი მატჩები ვერის ბაღში 15 და 16 მაისს გაიმართება, თუმცა მოსაწყენად კალათბურთის მოყვარულებს არც მანამდე ეცლებათ. ხვალ და ზეგ დედაქალაქის სპორტის სასახლე თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლებს. საუბარია პირველ საერთაშორისო ტურნირზე, რომლის დეტალებიც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების გუნდის უფროსმა ჯამლეტ ხუხაშვილმა გაგვაცნო. ჯერ ამ ასპარეზობის კალენდარს გაეცანით: **11 მაისი. საქართველოს ნაკრები – აზერბაიჯანის ნაკრები (17 საათზე). ტურნირის საზეიმო გახსნა (18 საათსა და 30 წუთზე). საქართველოს კადეტთა ნაკრები – სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკი“ (19 საათზე). 12 მაისი. მატჩი III ადგილისთვის (17 საათზე). თბილისისა და სანკტ-პეტერბურგის მერიათა ნაკრებების მატჩი (18 საათსა და 30 წუთზე). ფინალური შეხვედრა (20 საათზე).**

დავძენთ, რომ 90-იან წლებში პირველად ნევისპირა ქალაქიდან გვეწვევა წარმომადგენლობითი დელეგაცია ოლქის გუბერნატორის ვლადიმერ იაკოვლევის ხელმძღვანელობით, ქომაგები კი სარბიელზე კვლავ იხილავენ საუკეთესო ქართველ მსაჯებს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრებს მურმან ქურიძეს, როლანდ ხომერიკს და როლანდ გელოვანს. გამარჯვებულს გადაეცემა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს (უფროსი – **ვლადიმერ კანკავა**) გარდამავალი თასი, ტურნირი კი ტრადიციული გახდება.

გია პლატონიშვილი.

ზონალური ტურნირი

ავორიტები წინ მიიწევენ

ილისის ჭადრაკის სასახლეში მდება ქალთა მსოფლიო ჩე-ონატის ზონალური ტურნირი ოჭადრაკის მონაწილეობით. რე ტურში, რომელიც კვი- გაიმართა, ფავორიტებმა მო-ო ქულები ჩაიწერეს აქტივში. გოსლაველმა ნატაშა ბოი-იჩმა მეორე გამარჯვებას მი-ია – ბერძენ მარინა მაკრო-ლუ მოუგო, საერთაშორისო ტატმა ინგა ხურცილავამ, რო-მაც პირველ ტურში ერთ-ერთ ორიტს დიდოსტატ დიანა და-ას სძლია, კვირის პარტია-რუნდან გოლეთიანთან დრო აკვილა და წაგება ჩაეთვა- მეორე ტურის დანარჩენი პა-ები ასე დამთავრდა: სოფი-ნიკოლაძე – სვეტლანა პრუ-ევა 0,5:0,5, ნინო ხურციძე – ანა მათნაძე 1:0, სანია ვუკსანოვიჩი – – ნარინე გასპარიანი 1:0, სოფიო ტყეშელაშვილი – ნილუფერ ჩინარი 1:0, სოფიო გვეტაძე – მაია ლომინეიშვილი 0:1, თამარ ხმიადაშვილი – ანა ბოცარი 0:1, ნატალია ეძგვერაძე – ინგა ჭარხალაშვილი 1:0, მარია მანაკოვა – ნათია წურწუმია 1:0, მარია პეტრაკი – დიანა დარჩია 0:1, ალექსანდრა სტირი – ელინა დანიელიანი 0:1, ლილით მკრტიჩიანი – ლელა ჯავახიშვილი 1:0, ემინე სანლი – ეკატერინი ფაპირიდუ 0:1, გოარ პლგატიანი – ნინო მაისურაძე 0,5:0,5, გიზემ სისმანი – მირანდა ხორავა 0:1.

გუშინ დამთავრდა მესამე ტური. გაუწყებთ მის შედეგებს: გოლეთიანი – ბოიკოვიჩი 0,5:0,5, ვუკსანოვიჩი – ხურციძე 0,5:0,5, პრუდნიკოვა – ტყეშელაშვილი 1:0, ლომინეიშვილი – ეძგვერაძე 1:0, ბოცარი – ნიკოლაძე 0:1, დარჩია – გვეტაძე 0:1, დანიელიანი – ხურცილავა 1:0, ფაპირიდუ – მანაკოვა 1:0, მაკროპულუ – მკრტიჩიანი 0,5:0,5, მათნაძე – გასპარიანი 1:0, ხორავა – ჩინარი 1:0, წურწუმია – პლგატიანი 0,5:0,5, ჭარხალაშვილი – ხმიადაშვილი 1:0, მაისურაძე – პეტრაკი 1:0, ჯავახიშვილი – სანლი – 1:0, სტირი – სისმანი 0,5:0,5.

ამდენად, სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ერთბამად 7 მოჭადრაკე დაწინაურდა.

* * *

ექსპრესინტერვიუ შეჯიბრების მთავარ მსაჯთან, ორგზის მსოფლიო ვიცეჩემპიონთან, საერთაშორისო დიდოსტატ ნანა ალექსანდრიასთან:

– დღევანდელ ტურში დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრები პირველ-მეორე დაფებზე. გოლეთიანი და ბოიკოვიჩი, რომლებსაც 2-2 ქულა ჰქონდათ, სწრაფადვე შეთანხმდნენ ყაიმზე, ვუკსანოვიჩსა და ხურციძეს შორის კი მძაფრი ორთაბრძოლა გაიმართა. თავიდან ქართველი დიდოსტატი მეტოქის „სადებიუტო სქემაში“ მოჰყვა – იუგოსლაველმა პაიკის შეწირვით უპირატესობა მიიღო, მაგრამ ნინომ გამოასწორა მდგომარეობა და უშედავათო პაექრობის შემდეგ მეტოქეებმა აქაც ქულა გაიყვეს. ვფიქრობ, ეს მოჭადრაკეები კიშინიოვის საგზურების მოპოვების რეალური კანდიდატები არიან, თუმცა, გადაჭრით რამის თქმა ჯერ ნაადრევია, რადგან წინ კიდევ 6 ტურია და სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: ქვემოთ: მიმდინარეობს მორიგი ტური; (ზემოთ მარცხნიდან): თბილისის მერი ვანო ზოდელავა, ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თაობები



9 მაისს გამარჯვების პარკში

თითქოს ბუნებაც წყალობდა გამარჯვების დღეს ვაკის პარკში მოსულ ომის ვეტერანებს, საასპარეზოდ გამზადებულ ნორჩ სპორტსმენებს – მაშინ, როდესაც თბილისის ბევრ უბანში მხაპუნა წვიმა მოდიოდა, აქ ცვარიც არ ჩამოვარდნილა ზეიმისა და სპორტული პაექრობის დროს.

უდავოდ კარგი ღონისძიება გამართეს თბილისის მერიის სპორტის სამმართველოსა და განათლების სამმართველოს მესვეურებმა: საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დახუნძლულ ვეტერანებს ლამაზი სპორტული ბატალიები უჩვენეს, თანაც უფროსი თაობაც „გაიყვანეს საქმეში“ – გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ როგორც ვეტერანები, ასევე სპორტის თავკაცები. არ დავიწყებიათ ფაშიზმთან მებრძოლი სპორტისა და ომის ვეტერანების ფულადი ჯილდოებით დასაჩუქრებაც...

ფოტორეპორტაჟში, რომელიც **ალექსანდრე კოტორაშვილმა** შემოგთავაზათ, ხედავთ ჩვენს სახელოვან ომის ვეტერანებს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გვირგვინის მიტანისას; შეჯიბრებებს ჭადრაკში, სირბილსა და მინიფეხბურთში, ასპარეზობებში გამარჯვებულთა და მათი მხურვალე გულშემატკივრების – ომის ვეტერანების დაჯილდოების მომენტებს.

ანდრო ბარძაია.

ინტერვიუ

კიდევ არ არის გვიან...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ 6 მაისს გამართული აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებით ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი სპეციალისტის იოჰან ბოსხკამპის დანიშვნასთან დაკავშირებით პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ესაუბრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მყოფი ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს:

– საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ბოსხკამპის დანიშვნამ ზოგიერთ ქართველ გულშემატკივარს იმედი გაუჩინა, რომ ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფ ლატვიასა და საქართველოს შორის არსებული 4 ქულიანი სხვაობა საერთოდ გაქრება და ქართველები ფინალურ ეტაპზე მოსახვედრ გადათამაშებებში მიიღებენ მონაწილეობას. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?

– საქართველოს ნაკრების აქ შემადგენლობას ჯერ კიდევ გააჩნია პოტენციალი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალ ორ ტურში ყველაფერი შეტრიალდეს.

– საქართველო-ნორვეგიის მატჩი თუ ნახეთ?

– ვნახე, ასეთი თამაშით საქართველოს ნაკრები ვერაფერს მიაღწევს, ეს აღარ უნდა განმეორდეს.

– ეთანხმებით ბოსხკამპის აზრს იმის შესახებ, რომ პირველი 20 წუთი ქართველებმა ნორვეგიელებზე უკეთ ითამაშეს?

– პირველი გოლის გაშვებამდე საქართველოს ნაკრები აშკარად უკეთ თამაშობდა, მაგრამ დაცვა და მეკარე ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ.

– როგორ აფასებთ უცხოელი სპეციალისტის დანიშვნას საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად?

– საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ბევრი ექსპერიმენტი გაკეთდა და, ამ მხრივ, უცხოელი მწვრთნელის სახით ერთი ცდაც რომ ჩატარდა, ცუდი არ იქნება.

როგორც ჩანს, მომავალში ბოსხკამპს დიდი ხელშეწყობაც ექნება, ქართველი მწვრთნელები კი ამას მოკლებულნი იყვნენ. ამიტომ, ვინც ბოსხკამპი ჩამოიყვანა, პასუხისმგებელიც იქნება და ალბათ, უფრო დაეხმარება კიდეც მას. თავად მწვრთნელის მუშაობის აეკარგიანობას კი შედეგი გვიჩვენებს, თუმცა, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ პირობებში მოუხდება მას მუშაობა. შედეგის მიხედვით შესაძლებელი იქნება ანალიზის გაკეთებაც – დაეხმარა ბოსხკამპი ქართველ ფეხბურთს თუ არა.

– ბოსხკამპმა თავად მოითხოვა ნაკრებთან 6-თვიანი კონტრაქტის გაფორმება. თქვენი აზრით, ეს საკმარისი იქნება გუნდის ჩამოსაყალიბებლად?

– ბოსხკამპი ამ შემთხვევაში სწორად იქცევა, შეხედავს, ღირს თუ არა საქართველოში მუშაობა. ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შეეწყობა ბოსხკამპი ქართულ ფეხბურთს.

– საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების 12 მაისის შეხვედრაზე ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ?

– საკმაოდ დაკავებული ვარ, თუმცა, შესაძლოა, ჩამოვიდე.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროპელის გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებთან თამაში ლატვიას უფრო გაუჭირდება?

– ვინც არ უნდა წვრთნიდეს საქართველოს ნაკრებს, მასთან თამაში ყველა გუნდს გაუჭირდება. ოღონდ, ისეთი კაზუსები, ნორვეგიასთან რომ მოხდა, არ უნდა განმეორდეს.

– შესარჩევი ციკლი 6 თვეში მთავრდება. დავუშვათ, ბოსხკამპმა აღარ გააგრძელა კონტრაქტი, ამ შემთხვევაში, თქვენ როგორ მოიქცევით?

– ეს საკითხი მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის. შეიძლება ბევრს უნდოდეს საქართველოს ნაკრებში ჩემი მოსვლა, მაგრამ მწვრთნელს ის ხალხი ნიშნავს, ვინც ყველანაირ პასუხისმგებლობას იღებს. ეს იმას უნდა ჰკითხოთ, ვინც ბოსხკამპი ჩამოიყვანა და დანიშნა. როგორც ბოსხკამპთან შეთანხმდნენ, ისევე შეიძლება ჩემთან შეთანხმებაც, ოღონდ ყველაფერი პროფესიულად უნდა გაკეთდეს.

დათო ბაკურაძე,
(პრაიმ-ნიუსი).

ჩოგბურთი

„როლან გაროსის“ წინ

სეზონის პირველი უმნიშვნელოვანესი ღონისძიების, „დიდი მუზარადის“ ციკლში შემავალი საფრანგეთის ღია პირველობის, ანუ, სხვანაირად, „როლან გაროსის“ წინ მიმდინარეობს უკანასკნელი საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს.

კვირას რომში დამთავრდა ქალთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. 18 წლის ამერიკელმა ვინუს უილიამსმა, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესის პრეტენზია აქვს, ორ სეტში სძლია ცნობილ ფრანგ ოსტატ მარი პირსს.

კვირას ჰამბურგში ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში ოთხსაათიანი (!) ბრძოლის შემდეგ ჩილელმა მარსელო რიოსმა, რომელიც ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე უკმეხ სპორტსმენად ითვლება, მაგრამ ასევე პირველობისაკენ მიისწრაფვის, სძლია არგენტინელ ექტორ ვილაიეტას.

„როლან გაროსამდე“ კი ბევრი აღარაფერი რჩება.

ევრო-2000

კურიოზი, თუ გნებავთ, ეს არის!

კვირას, გერმანიის პირველობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა მიუნხენის „ბაიერმა“, რომელიც მთელი ასპარეზობის განმავლობაში ლიდერობდა.

ამასთან, გერმანულ სპორტულ საზოგადოებრიობას ძალიან აღელვებს ეროვნული ნაკრების საკითხი, რომელიც, ექსპერტების აზრით, სულ უფრო და უფრო უარესად თამაშობს. საქმეს ვერ უშველა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მთავარ მწვრთნელ ბერტი ფოგტსის (მის აქტივში ევროპის ჩემპიონის წოდების მოპოვება იყო!) შეცვლამ ურიხ რიბეკით. მის დროს ნაკრების შედეგები კიდევ უფრო გაუარესდა.

პირდაპირ კურიოზული განცხადება გააკეთა მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა, რომელსაც გერმანულ საფეხბურთო წრეებში დიდი ავტორიტეტი აქვს. ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტთან საუბარში ჰიონესმა თქვა, რომ გერმანიის გუნდი, რა თქმა უნდა, გავა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ რა აზრი აქვს ასეთი საგზურის მოპოვებას? გერმანიის სუსტ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ხომ მაშინვე დღეს დააყრიან, რადგან მასზე უკეთესად ბევრი თამაშობს!

ჰიონესის აზრით, გერმანიის ნაკრებმა საგზურის მოპოვების მიუხედავად, არ უნდა ითამაშოს ევროპის ჩემპიონატის ფინალში (!), შემადგენლობა მკვეთრად გააახალგაზრდაოს და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის მოემზადოს.

მოსწავლეთა სპარტაკიადაზე

სპორტული გამოცდა

გრძელდება ტრადიციული, რიგით 53-ე თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა. მოფარიკავეთა გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ვაკის რაიონის მუშკეტერებმა, II-III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ საბურთალოსა და სამგორის რაიონების წარმომადგენლები. პირად ჩათვლაში ხმლით ასპარეზობაში ყველას აჯობა დავით თვარელიძემ (ვაკის რაიონი), მისმა თანაგუნდელებმა ნატო კობიაშვილმა და ნათია საკაშვილმა დაიკავეს პირველი ადგილები რაპირით და დაშნით ასპარეზობაში. ბიჭებში ამ ორ სახეობაში საუკეთესონი იყვნენ სამგორის რაიონის მოსწავლე აკაკი მაჩაიძე (რაპირა) და ისნის რაიონის წარმომადგენელი ვაჟა ბუჯირიშვილი (დაშნა).

კალათბურთში გადამწყვეტ შეხვედრაში ნაძალადევის რაიონის გუნდმა ანგარიშით 89:80 დაამარცხა ვაკის რაიონის ნაკრები. მესამე ადგილი დაიკავეს ისნის რაიონის ბიჭებმა, რომლებმაც ანგარიშით 44:26 სძლიეს ჩუღურეთის რაიონის კალათბურთელებს.

სპარტაკიადა გრძელდება.

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან

„სპორტის დედოფალთან“ შესახვედრად

ესპანეთში ფეხბურთი რომ უყვართ, ამის მტკიცება, ვფიქრობთ, ზედმეტია, მაგრამ ახალი სტადიონი, ანდალუზიის დედაქალაქში რომ გაიხსნა, საგანგებოდ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის აიგო, რომელსაც სევილია ამ ზაფხულს უმასპინძლებს. ეს თავისებური უვერტიურა იქნება იმ ბრძოლისა, რომელსაც ეს ქალაქი აპირებს მომავალი საუკუნის დასაწყისში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ხელში ჩასაგდებად.

მართალია, ახალი სტადიონის საზეიმო გახსნა მძლეოსნური შეჯიბრებებით დაიწყო, მაგრამ მისი დამაგვირგვინებელი იყო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხელმოცარული ესპანეთის ნაკრები და მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი – ხორვატიის ნაკრები.

მატჩი სტუმრების მძაფრი შეტევით დაიწყო და უკვე მეცხრე წუთზე ესპანეთის კლუბებში მოთამაშე ხორვატებმა ისახელეს თავი – „ვალენსიის“ ფორვარდმა გორან ვლაოვიჩმა დაარტყა კარში, კანისარისმა ბურთი მოიგერია, მაგრამ მას მიუსწრო „რეალის“ თავდამსხმელმა, „ოქროს ბუცის“ მფლობელმა დავორ შუკერმა და ანგარიში გახსნა. მალე ინიციატივა ესპანელების მხარეს გადავიდა, ჯერ ენგოგმა დაარტყა აუღებელი ბურთი, შემდეგ ესპანელების კაპიტანმა ფერნანდო იერომ გაიტანა თერთმეტრიანი და ბოლოს დანიმ აიძულა სტუმრების მეკარე ლადიჩი, კარიდან მესამე ბურთი გამოეტანა.

ოლიმპიური სტადიონის საზეიმო გახსნას 57 ათასი მაყურებელთან ერთად ესწრებოდნენ ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და მისი ოჯახის წევრები.

სურათზე: სევილიის ახალი, ოლიმპიური სტადიონის საზეიმო გახსნაზე.

ვინ მოიგებს მილიონს?

ლიახ, ერთ მილიონ დოლარს მიიღებს ათლეტი, რომელიც მსოფლიო რეკორდს დაამყარებს ერთ მილზე (1609 მეტრზე) სირბილში. ასეთი შეჯიბრებების მოწყობა განზრახულია 3 ოქტომბერს, სინგაპურში. მონაწილეთა შორის მიწვეულნი არიან ცნობილი სტაიერები – ალჟირელი ნურედინ მორსელი, მაროკოელი ხიშამ ელ-გერუჯი, კენიელი დანიელ კომენი.



აფრები ფინიშისკენ მიისწრაფიან

ახლოვდება ჯერ კიდევ მარშან დაწყებული დედამიწის გარშემო ხანგრძლივი რბოლის ფინიში. ამერიკის ქალაქი ჩარლსტონი პირველი აფროსნების მოლოდინშია. მთელი რბოლისა და მეოთხე ეტაპის ლიდერს იტალიელ ჯოვანი სოლდინის ფინიშამდე 600 მილიდა დარჩა, რაც უკვე გავლილ ათასებთან შედარებით ძალზე მოკლე მანძილია. თუ ის პუნტა-დელე-ესტედან გამოსვლის შემდეგ მოპოვებულ 12-დღიან უპირატესობას შეინარჩუნებს, მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება იქნება. მისი უახლოესი მეტოქე ფრანგი მარკ ტერსელენი ძალზე არათანაბრად მიდის – რამდენიმე დღის წინ 440 მილით ჩამორჩებოდა, ახლა მეტოქეებს შორის განსხვავება 254 მილია.

აფროსნების მეორე ჯგუფში ბრძოლა უფრო დაძაბულია – კვლავ პირველია ინგლისელი მაიკლ გერსაიდი, მისი უპირატესობა ფრანგ ჟან-პიერ მულინესთან 220,6 მილია. აქამდე სწორედ ეს უკანასკნელი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ხანებში მას ჯერ ჯანმრთელობამ უღალატა, შემდეგ დიდი იალქანი დაუზიანდა და აქამდე წესიერად ვერ შეაკეთა, თანაც აღჭურვილობის ნაწილი დაკარგა. მესამეა რუსი ვიქტორი იაზიკოვი, რომელიც მეოთხე ადგილზე მყოფ იაპონელ მინორუ საიტოს თითქმის 1000 მილით უსწრებს. მეორე ჯგუფის ლიდერს ფინიშამდე 1164 მილი დარჩა.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

დააკავეს ხუთი ძებნილი

სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის მუშაკებმა, განხორციელებული ღონისძიებით დააკავეს საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ძებნილი ხუთი პიროვნება – 1975 წელს დაბადებული ალბერტ დეალიშვილი, 1976 წელს დაბადებული პაატა ლაშქარავა, 1975 წელს დაბადებული რატი დეკანოზიძე, 1979 წელს დაბადებული ედუარდ გოგიჩაიშვილი და 1948 წელს დაბადებული გიმზერ ცანავა.

გლოველის თაღლითობას ბოლო არ უჩანს

საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ აპრილში, თაღლითობისთვის დაკავებული ირინა გლოველის მიერ მოტყუებულ მოქალაქეთა რიცხვს, კიდევ ოთხი მიემატა – თბილისში, ფურცელაძის ქუჩაზე მცხოვრები მ. ბ., საბერძნეთის ქუჩაზე მცხოვრები ა. ო, ფიალეტოვის ქუჩაზე მცხოვრები ნ. ნ., და ხაშურის რაიონის დაბა სურამში მცხოვრები ზ. ბ., რომლებსაც ირინა გლოველმა თაღლითურად, ვითომდა ესპანეთში სამუშაოდ გამგზავრების მიზნით, თითოეულს გამოსტყუა 1500-1500 ამერიკული დოლარი.

კვალს მაინც მიაგნეს

ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა 4 მაისს დააკავეს ზუგდიდში, რუსთაველის პირველი შესახვევის №3-ში მცხოვრები, 1977 წელს დაბადებული რომან ბალათურია, რომელმაც 30 მარტს ავტობუსში შეაგდო ხელყუმბარა.

მარტო ნარკოტიკს არ ინახავდა

ზურიის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისათვის დაკავებულმა დავით გუდავაძემ, 1995 წლის 13 აგვისტოს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში მცხოვრებ ზაზა ფოცხიშვილს იარაღის მუქარით წაართვა ავტომანქანა „ვაზ-2109“, სოფელ ბუკნარში თავს დაესხა ავტოგასამართ სადგურს, დეკემბერში გაქურდა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში მცხოვრებ კონსტანტინე შარაშენიძის სახლი. იგი ასევე თავს დაესხა ბაღდათის რაიონში მცხოვრებ ნანა ქორიძის ოჯახს, ხოლო 1996 წლის ზაფხულში ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში მცხოვრებ დემურ მეგრელიშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით წაართვა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

„ბორჯომს“ კუსტარულად ასხამდნენ

ახალდაბაში სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ეკოპოლიციის განყოფილების და რაიონის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებით, დააკავეს ავტომანქანა „კამაზი“, რომელსაც მართავდა სოფელ ყვიბისში მცხოვრები ნუგზარ გელაშვილი. მას გადაჰქონდა 1200 ბოთლი კუსტარული წესით ჩამოსხმული „ბორჯომი“ და არ გააჩნდა სათანადო საბუთები.

12672 ლარი ბიუჯეტს დაუბრუნდა

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საქართველოს გენერალური პროკურატურის მუშაკების მიერ ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებით, ინდივიდუალური მეწარმის „ვ. ელგანდაშვილის“ წარმომადგენელმა ზაზა ღონღაძემ წარადგინა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 12672 ლარი, რომელიც შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გასტროლი

ახალი შეხვედრა კატია სკანავისთან

7 მაისს კიდევ ერთხელ მიეცა ქართულ აუდიტორიას საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა პიანისტის კატია სკანავის შესრულების მოსმენის საშუალება. თბილისში პირველი სოლო კონცერტი მან შარშან გამართა ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, როდესაც ააჟღერა სენ-სანსის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ამჯერად, ამავე კოლექტივთან და კვლავაც დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანთან ერთად მან ქართველი მსმენელის სამსჯავროზე გამოიტანა რახმანინოვის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (იმ საღამოს კონცერტის გარდა, ორკესტრმა დაუკრა მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ და ბოროდინის „ყიჩაღთა ცეკვები“ ოპერიდან „თავადი იგორი“, მაგრამ ამჯერად, ძირითად ყურადღებას სტუმარს დავუთმობთ). კატია სკანავის ხელოვნებასთან შეხვედრა თბილისელთათვის ორი წლის წინათაც იქნებოდა მესაძლებელი, როდესაც მას მონაწილეობა უნდა მიეღო პიანისტთა პირველ საერთაშორისო კონკურსში, მაგრამ მაშინ პირველი ტურის პროგრამაში ცვლილების შეტანა მოინდომა, რაც ეწინააღმდეგებოდა საკონკურსო რეგლამენტს და ამიტომაც, ამ მეჯიბრში იგი ველარ ვიხილეთ. თუმცა, კატია სკანავი რამდენიმეჯერ მანამდეც ყოფილა ჩვენს დედაქალაქში კონცერტებით, ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში, როდესაც მონაწილეობდა ვლადიმერ კრაინევის კლასის კონცერტში, მოსკოვის გნესინების მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად. კატია სკანავი, როგორც თვითონაც აღნიშნა, თბილისში სიამოვნებით სტუმრობს ხოლმე და ასეთ შემოქმედებით კონტაქტს ჩვენს ქვეყანასთან მომავალშიც გააგრძელებს.

ცოტა რამ კატია სკანავის ბიოგრაფიიდან: თავდაპირველად სწავლობდა პარიზის ერონენულ კონსერვატორიაში, შარშან დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. საფორტეპიანო ოსტატობას ეუფლებოდა ვლადიმერ კრაინევის, ნიკოლოზ პეტროვის, ბ. რიგუტის ხელმძღვანელობით. არის პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მათ შორის, ათი წლის წინათ, 1989 წელს, პარიზში, მარგარიტა ლონგის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა მესამე პრემია და სპეციალური პრიზი, 1994 წელს, ათენში გამართულ მარია კალასის სახელობის კონკურსზე გრან-პრის მფლობელი გახდა. აგერ უკვე სამი წელიწადია, იგი ძირითადად ამერიკაში ცხოვრობს, სადაც 1997 წელს ვენ კლაიბერნის სახელობის კონკურსის ფინალისტის დიპლომსაც დაეუფლა. ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას. მრავალფეროვანია მისი საგასტროლო მარშრუტების გეოგრაფიაც: ავსტრია, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იაპონია, აშშ. არაერთი კონცერტი გაუმართავს იური ბაშმეტთან და მის ორკესტრთან ერთად, გიდონ კრემერთან, მაქსიმ ვენგეროვთან. უკვე საკმაოდ მდიდარია მისი დისკოგრაფიაც – კატია სკანავის შესრულება ჩაწერილია რამდენიმე კომპაქტ-დისკზე... მას ჩინებულად ხელეწიფება როგორც სოლისტის, ასევე კამერული მუსიკის საანსამბლო შემსრულებლის ამპლუა. და საერთოდ, მუსიკის სიყვარული თანდაყოლილია, – მისი მამაც პიანისტია და მეგობრებთან, ცნობილ მუსიკოსებთან ერთად შინაც ხშირად მართავდა კამერული მუსიკის რეპეტიციებს. როგორც თვით კატია ამბობს, მუსიკა მისთვის ბავშვობიდანვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

როგორც აღვნიშნე, ამჯერად კატია სკანავიმ რახმანინოვის პირველი საფორტეპიანო კონცერტი ააჟღერა (სხვათა შორის, პირველად), ნაწარმოები, რომელიც კომპოზიტორმა 17 წლის ასაკში შექმნა და რომელიც პირველი ოპუსის სახით არის აღნუსხული. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ რახმანინოვმა მაინც მოახდინა ამ თხზულების რედაქტირება (კონცერტზე სწორედ ამ რედაქციით აჟღერდა ნაწარმოები), მისი ახალგაზრდული სიხალასე, სილაღე, რომანტიკული აღმაფრენის ელფერი არ შეცვლილა, ნაწარმოები უფრო მეტად დაიხვეწა. საკმაოდ სახიერი და მრავალფეროვანია ამ კონცერტის სახეობრივ-ემოციური სპექტრი: არის ლირიკაც – მთრთოლვარე, მღელვარე, ოცნებათა სიღრმეში ჩაძირული და ქედმაღლური აღმაფრენაც, მხოლოდ, ლირიკული შტრიხებით შეფერილი; არის ჩაფიქრებული, აზრთა სიღრმისეული ეპიზოდებიც და მედიდური, ამაღლებული, მაგრამ იმავდროულად თავშეკავებული ტონებიც; არის მგზნებარე, სწრაფვითი, ერთგვარად სკერცოზული ხასიათის თემებიც და ჰიმნური პომპეზურობაც, თუმცა, ყველგან, მაინც ლირიკული საწყისი დომინირებს.

სკანავისეული შესრულებისას სერგეი რახმანინოვის ერთი გამონათქვამი მომაგონდა: „საუკეთესო შესრულება მოითხოვს ღრმა ფიქრს და არა მხოლოდ კლავიატურის სრულქმნილ ფლობას... იმ შემთხვევაშიც კი, თუ უშეცდომოდ არის დაკრული ყველა ნოტი, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიზანი მიღწეულია. არა, სინამდვილეში ეს მხოლოდ დასაწყისია. „თუ ამ მოსაზრების მიხედვით ვიმსჯელებთ, კატია სკანავის შემსრულებლობა კარგა ხანია გასცდა ამგვარ დასაწყისს, რაც კიდევ ერთხელ თბილისურ კონცერტზეც დადასტურდა.

მის ხელწერაში თვალნათლივ აღიქმება საუკეთესო გემოვნებაც, აკადემიზმიც, ბგერათწარმოქმნის ოსტატური სრულქმნილებაც, მაღალი მხატვრული კულტურაც და, რაც მთავარია, ის არ არის სტერეოტიპული. მას ჩინებულად აქვს გააზრებული არა მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოების სტილისტიკა და სახეობრივი სფერო ფართო პლანით, არამედ, ზედმიწევნით წვდება კომპოზიტორის მელოდიურ, ჰარმონიულ, რიტმულ და საერთოდ, კომპოზიციურ-დრამატურგიულ აზროვნებას. შეიძლება ითქვას, რომ შეიგრძნობოდა არა მარტო კომპოზიტორის ჩანაფიქრის სიღრმისეული აღქმა, არამედ ეს გახლდათ საინტერესო დიალოგი კომპოზიტორსა და პიანისტს შორის, რომელთაც ერთმანეთს მთელი საუკუნე აცილებს, და შესაბამისად, კატია სკანავის ინტერპრეტაცია დღევანდელი გადასახედიდან იყო გააზრებული და თანამედროვე თვალთახედვით გარდატეხილი.

კონცერტის ლირიკული ეპიზოდები ნათლად ცხადყოფდნენ კატია სკანავის პოეტურ სულს. და მაინც, პოეტურ ზეაწეულობასთან ერთად მისეული ლირიკის ხატება იმავდროულად ძალზე ცხოვრებისეულიც არის. მუსიკოსის ხელწერას არც ჭერეტითი შტრიხები აკლია. კონცერტის მგზნებარე, სწრაფვითი მოტივები ცხოვრების ძალმოსილების თვალსაწიერით იყო დანახული, ამიტომაც გამოარჩევდა კატია სკანავისეულ შესრულებას სიცოცხლის დამამკვიდრებელი საწყისის მძლავრი ნაკადი. კატია სკანავის მკვეთრი ემოციურობა, ტემპერამენტი შესანიშნავად შეერწყა სრულიად ახალგაზრდა რახმანინოვის უჟაქიზეს მგრძნობელობას. საერთოდ, მისი ხელოვნება გამსჭვალულია გულახდილობითა და სითბოთი, ხალასი მუსიკალურობით. მის ინტერპრეტაციაში ცხადად აღიქმება გრძნობათა სიმართლე და ამიტომაც მყარდება ჰარმონიული კონტაქტი, ფსიქოლოგიური უნისონი სოლისტსა და აუდიტორიას შორის. ეს შთაბეჭდილება სრულად განამტკიცა ბისზე აჟღერებულმა შოპენის მესამე ბალადამ და ბახის იტალიური კონცერტის მეორე ნაწილმა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კატია სკანავი არაორდინარული აზროვნების, ცნობილი ნაწარმოებების თავისებური შესრულების ოსტატია. იმ საღამოს, კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენას ჭეშმარიტი, სხვათაგან გამორჩეული არტისტი ამშვენებდა – თავისი მაღალი პროფესიონალიზმითაც და მომხიბლავი გარეგნობითაც.

ვფიქრობ, თბილისურმა კონცერტმა კატია სკანავის შემოქმედების თაყვანისმცემელთა რაოდენობა გაზარდა. ხალასი ტალანტი ხომ ხელოვანის შემოქმედებითი ბედნიერების საწინდარია...

ზურაბ ოიკაშვილი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

პრეზენტაცია

რეალური ქრონიკა – პოსტმოდერნისტული რომანის სტილში

როსტომ ჩხეიძე
ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა

„მწერლის მოვალეობა ყველაფერში ჩახედვაა“, – წერს როსტომ ჩხეიძე თავის ახლახან გამოცემულ წიგნში – „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“ და, მართლაც, ცნობისმოყვარედ და მოურიდებლად იხედება მისთვის, ერთი შეხედვით, ისეთ უცხო და შორეულ სფეროში, როგორიც ბიზნესია. ქვეყნის „თვალ-ყურის მადევრობა“ ხომ ამას გულისხმობს, კეთილის თანაზიარობას და ბოროტების მხილებას. მას არ შეუძლია გულგრილად უყუროს, როგორ ცდილობს უსამართლობა სიმართლის დაჩაგვრას და „საბრძოლველად“ ისეთ ძლიერ იარაღს მოიმარჯვებს, როგორიც კალამია.

როსტომ ჩხეიძემ ამ წიგნს, რომელშიც პირუთვნელად აქვს წარმოჩენილი ქართული ბიზნესის საზოგადოებრივი სატკივარი, სხვაგვარი დასათაურებაც მოუძებნა – „დეტექტიური ცდა“, ხოლო ამ დეტექტიურ წიაღსვლაში კი ჩვენი საზოგადოებისათვის საკმაოდ „ცნობილი სახელებიც“ ამოტივტივდნენ, რომლებიც უსამართლობის დაცვაში არცთუ მეორეხარისხოვან როლს სჯერდებიან.

მკითხველი ერთბაშად თავს ამოჰყოფს შავი სამყაროს შუაგულში და მიხვდება – „ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“. ეს ადამიანები, წიგნის პერსონაჟები ავტორმა ცოტა ხანს მოსწყვიტა ცხოვრებას და წიგნში „გამოამწყვდია“. დღეს კი ჩვენს გვერდით არიან, თავიანთი ბნელი ფიქრებითა და ბნელი საქმეებით. ცხოვრება მათი საუკეთესო სცენაა. ისინი თვითონვე თხზავენ და თვითონვე თამაშობენ მათთვის სასურველ როლებს, ამასობაში კი ქვეყანა ინგრევა, ჩანაგდება.

წიგნში ჩვენი დროის ქრონიკებია გადმოცემული. ხანდახან ისე რეალურია ყველაფერი, გამოგონილი გეგონება. დეტექტივის სიღრმეში ზოგადზნეობრივი პრობლემებია. ამ თვალსაზრისით, თითქოს ორმაგადაა კოდირებული, ერთი მხრივ, ირონიით შეფერილი პასაჟები, თავდასხმები, ცემა-ტყეპა, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა. ეს ყველაფერი ტრაგიკომიკურ ფარსს წააგავს. მეორე მხრივ, ზნეობრივი ორიენტირების დაკარგვა, იდეალების მსხვრევა, პრაგმატულის აღზევება და რომანტიკულის ჩახშობა. ერთი სიტყვით, თითქოს პოსტმოდერნისტული რომანია – ჟანრთა სინთეზით, სტილის მრავალფეროვნებით, ირონიით, ღია ფინალით („გნებავთ, ის დასასრული მიაკერეთ ამ ჩანაწერებს, გნებავთ, თქვენს წარმოსახვაში დააბოლოეთ“. – **რ. ჩხეიძე**), ზემოთ ნახსენები ორმაგი კოდირებით – „არა, ნამდვილად არ ელით გაწბილება დეტექტიური ჟანრის მოყვარულებს, მით უმეტეს, რომ ეს განზრახ ჩახლართული ამბები შიგადაშიგ შეზავებული იქნება სხვა მწვავე ეპიზოდებითაც, სათავგადასავლო რომანებსაც რომ დაამშვენებდა“, – წერს ავტორი.

რეალობა იმდენად უტრირებულია (დოკუმენტები, საგაზეთო სტატიები, სტენოგრაფიული ჩანაწერები), რომ საზღვრებს კარგავს და ლამის ირეალურად გადაიქცევა.

ხშირად აბსურდის დრამასაც დაემგვანება, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს: „ჩვენს სინამდვილეს რა გამოსახვა უნდა, ან რა მხატვრული ქსოვილი, რეალისტური, ნატურალისტური სცენები ისედაც აბსურდის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას დამგვანებია და საითაც გაიხედავ, ყოველთვის ამ გულისმომკვლელ ყოფას აწყდები“.

წიგნის ყველა პერსონაჟი ცოცხალი ხასიათია. ყველა სახე და პიროვნება კი შემოკრებილია ერთი ცენტრალური პრობლემის გარშემო – ეს არის სიგარეტის ბიზნესში ჩართული ორი ფირმის „ელიზისა“ და „ომეგას“ სასტიკი და ულმობელი დაპირისპირება. მასმედიის საშუალებებით გადაცემული ინფორმაციებისა თუ გამოქვეყნებული წერილების, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაკეთებულ დასკვნათა ანალიზის საფუძველზე ეს ერთი კერძო შემთხვევა ისეა განზოგადოებული, რომ დაინტერესებული მკითხველი ნათლად დაინახავს აყვავებული კორუფციის მასშტაბებს, ჩვენს საზოგადოებას რომ მოსდებია. ისიც ნათლად გამოიკვეთა, რომ ამავე საზოგადოებაში, ჩვენდა იმედად, არიან ადამიანები, რომლებიც უშიშრად უპირისპირდებიან ამ უკეთურთა მოდგმას, რადგან სჯერათ, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს სამართლებრივ სახელმწიფოში.

წიგნს მსჭვალავს სიმართლის ძიების ჟინი ყველაფრისათვის საკუთარი სახელის დარქმევისა, რადგან ავტორი ღრმადაა დარწმუნებული და მკითხველსაც იმავე რწმენით განმსჭვალავს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახდეს ნიკო ნიკოლაძის საუკუნოვანი ოცნება – „საქართველოში კულტურული ვაჭრობის“ დამკვიდრების შესახებ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღმოიფხვრას ის დაუსჯელობის სინდრომი, რომლითაც მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება.

როსტომ ჩხეიძის უმთავრესი მიზანია, რომ შეიქმნას სწორი საზოგადოებრივი აზრი, რომლის წინაშეც მავანნი ასე იოლად ველარ შეეცდებიან სინამდვილის გაყალბებას, ბანდიტებს ველარ დაგვისახავენ ანგელოზებად, ქვეყნისთვის მოღვაწე ადამიანებს კი სახელს ველარ გაუტეხენ ამკარა ცილისწამებით.

ავტორს არ სურს, რომ საქართველო იყოს ის ქვეყანა, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ – მათ შორის, იურიდიული ლაფსუსები, უკანონო გადაწყვეტილებები, შეიარაღებული ბანდის შექმნაში ბრალდებული პირის უკანონო გზებით მფარველობა და სხვა.

ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტს, რომელიც 1997 წლის 5 ივნისიდანაა ბრალდებული ბანდის ორგანიზატორობაში, მფარველებად მოევლინენ ისინი, რომელთაც კანონების შექმნა და დაცვა ევალებათ – ზოგიერთი პარლამენტარი, პროკურატურის მუშაკი, ამასთან ისეთი ჟურნალისტებიც გამოძებნეს, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციისათვის გამოიყენეს. და ეს ხდება დაუფარავად, ყველას თვალწინ, თითქოს მართლაც სპექტაკლი იყოს ყველაფერი და არა ნამდვილი ცხოვრება. საზოგადოდ, ხომ ცნობილია, რომ ქართველ კაცს უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების და ისე ღრმად იჭრება „როლში“, რომ ნამდვილ სისხლს წითელი საღებავისაგან ველარ არჩევს, მოძალადეს – მსხვერპლისაგან.

მწერალი თვალს მიადევნებს ქართული ბიზნესის ორ გზას – ბანდიტურსა და კანონიერს. ცდილობს, მშრალ ქრონიკებს დასჯერდეს, მაგრამ თხრობაში თავისთავად გაიელვებს „მხატვრულ-ფსიქოლოგიური პასაჟები“ და მასალაც მკითხველის გონებაში განზოგადდება.

ამ წიგნში სატირალიც ბევრია და სასაცილოც, ოღონდ ეგაა, ვინ როგორ შეხედავს. ვინც გონების თვალს მიადევნებს, გული ეტკინება და მიხვდება, რომ ერს სატირლად აქვს საქმე. ალტერნატივა – პატიოსნება თუ ბანდიტობა – დღესაც სასწორზე შემოდებული ორი თანაბარი „ღირებულება“. ამიტომაცაა, რომ დამნაშავე არ ისჯება. ავტორმა კი ეს გახმაურებული საქმე იმიტომ აღწერა, რათა თვალსაჩინოდ გამოეკვეთა, თუ როგორ გარემოში უხდებათ ადამიანებს ნამდვილ სულიერ ფასეულობათა დამკვიდრება. ავტორი მათ შორისაა, ვისაც წყალი ვერ გადაუწურა ბედის უკუღმა ტრიალმა და ვერც მომავლიდან მონაბერმა მრუმე ქარმა. იგი უხილავ კავშირს გრძნობს ასეთ ადამიანებთან და ეს მატებს ძალას სიმართლის თქმისას.

„ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა“, – წერს მიხეილ ჯავახიშვილი. ამ წიგნით სწორედ ამგვარი მძიმე ჯვრის ტვირთვა იდო თავს როსტომ ჩხეიძემ.

მაია ჯალიაშვილი.

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად აცხადებს ტენდერს:

დუშეთის რაიონში:

შატილიჰესის აღდგენის სამუშაოების მიკროპროექტის კომიტეტი;

(პროექტის საორიენტაციო ღირებულება 79 ათასი ლარი)

ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს.

საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შესაბამისად:

შატილჰესის აღდგენის სამუშაოები – 17 მაისიდან 31 მაისის 14.00 საათამდე – შატილის გამგეობა.

(კონსულტაციები პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდება დუშეთის გამგეობის შენობაში 24 მაისს 14.00 სთ-ზე).

კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა.

საკონკურსო დოკუმენტების მისაღებად კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს 20 ლარი.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საკონკურსო დოკუმენტის გატანის საბოლოო ვადიდან ერთი საათის შემდეგ, იმავე მისამართზე.

სს საქალაქმშენპროექტის მორიგი კრების მოწვევის შესახებ

სს საქალაქმშენპროექტის დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 1999 წლის 31 მაისს, 14 საათზე, თბილისში, მის. ა. ყაზბეგის ჩიხი №32/34 სს საქსამშენმასალების სააქტო დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. 1998 წლის წლიური ანგარიში:

ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;

ბ) მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სს-ის განვითარების პერსპექტივების შესახებ;
5. სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურების შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება შეიძლება სს საქქალაქმშენპროექტის დირექტორატში მისამართით: ი. ჭავჭავაძის გამზ. №74, II სართული.

ყველა აქციონერის დასწრება სავალდებულოა.

სს საქქალაქმშენპროექტის დირექტორატი.

ხსოვნა

ჟორა გეთია

უეცრად, 65 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან უკეთილშობილესი და ძალიან საყვარელი პიროვნება **ჟორა ისიდორეს ძე გეთია.**

ნათქვამია: „ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს – ერთი აქ დასარჩენი და მეორე – თან წასაყოლიო“. ბედნიერი და მშვიდია მაშინ იმ ადამიანის სული, რამეთუ სიწმინდით აღასრულა თავისი ვალი და ღვთის საუფლოში ჩამუხლ თეში და ადამიანთა სიყვარულში დაღლილ-დახარჯულ კრძალებითა და რიდით ვლოცულობთ თქვენი ხსოვნ ნაშე. ვაგლახ, რომ წუთისოფლის ხიდი მართლაც უდ ჟამს ჩაგიტყდათ, როცა თქვენ უნდა დამტკბარიყავით ლებისა და შვილიშვილების ჟღურტულითა და მათი ბ ერებით.

მაგრამ ბედნიერია თქვენი სული, რომ უკეთილშობი ლვაწლის დასტურად, ულამაზესი დანატოვარი რჩება ნი სალოცავი ოჯახის სახით, რომლის უსაზღვრო სიკე და მოყვასისადმი გამოხატულ დიდ სიყვარულში თქვენ წონავი მადლიც იქნება აწ და მარადის.

ასეთ იმედს მხოლოდ წმინდა და კეთილშობილი ა ანები სტოვებენ, მათ მიმართ კი უვალი ყოველთვის ყალეა.

ნათელი დაგადგეთ...

ახლობლები და მეგობ

ნორა ადამია-ჯანელიძე

გარდაიცვალა საქართველოს ფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მაკი, მეაბრეშუმეობის დარგის ბილი სპეციალისტი, საპატიო ნი და შრომის წითელი დროშის ო ნოსანი, შრომის ვეტერანი **ნორ ვერიონის ასული ადამია-ჯანე**

იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, კარგი დედა, მეუდარ ლი ბებია, ღირსეული შვილი თავისი ერისა. მისი ნ ლი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლებისა და ნაცნ ბის გულში.

მეგობ

პანაშვიდი თბილისში, ტიციან ტაბიძის 43, სამშაბა მაისს, 1 სთ. გადასვენება ხონის რაიონის სოფელ მა ჯში, 12 მაისს, ოთხშაბათს, დილის 10 საათზე, დაკრძ შაბათს, 15 მაისს 3 საათზე მათხოჯში.

გახსენება

პავლე ჩალაძე



ვერაფრით ვერ შევეჩვიეთ შენთან განშორებას. პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 15 მაისს უშენოდ, მოვიდა გაზაფხულიც, რომელიც შენი ოჯახისათვის მძიმე გასაძლისია. ვტირით შენი მეუღლე, შვილები, სიძეები, რძალი და შვილიშვილები, შვილთაშვილი, დები და დისშვილები. დაგვიტოვე დიდი მწუხარება, მაგრამ, ვაი, რომ ძმიმე სალევლიც თას წაგყვა – უსახლკაროდ დაგრჩა ოჯ მრისხანე მსოფლიო ომგამოვლილს, აფხაზეთის ამბები მწარებულს, თბილისში ავარიამ მოგისწრაფა სიცოცხლე. ბ იცოდა შენი პატიოსნების ფასი. იყავი ჯანმრთელი, მხ ძლიერი. ას წლამდე მაინც უნდა გეცოცხლა, მწარე ხ რომ არ შეგხვედროდა.

იყავი ნათელში, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქარ მიწა. განეიცდი უშენობას.

შენი გამწარებული მეუღლე ნინა ჩა



მეუღლე სერგო ჩუტკერაშვილი, შ ბი თეიმურაზ, ნუგზარ, თამაზ, რძლებ ნანა, ლუდა, ნინო, შვილიშვილები, შ თაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიც

თამარ გიორგის ასული

საური-ჩუტკერაშვილი

პანაშვიდი 11, 12 V, 5 სთ. დაკრძალ V, 2 სთ. ქ. გორი, თამარ მეფის ქ. №

მეუღლე თალიკო, შვილები ნანი, ნონა, თემური, და რა, რძალი ელისო ხასია, სიძეები თეიმურაზ ქარჩავა, მაზ ყალიჩავა, კოტე ძანძავა, შვილიშვილები, ბიძაშვი მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მძახლები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჟორა ისიდორეს ძე გეთია

პანაშვიდი 11, 12 V, 4 სთ. დაკრძალვა 13 V, 5 სთ. სო კახათი (ზუგდიდის რაიონი).

მეუღლე ლია თორდია, შვილები თამარ, ილია, დათ ლაიები, შვილიშვილი ქეთი, სიძე მალხაზ ხუციშვილი, ცოლ ციალა, ცოლისძმა ილია თორდიები ოჯახებით, დეიდაშვი ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დემურ ილიას ძე წულაია

პანაშვიდი 13, 14 V, 4 სთ. გამოსვენება 15 V, 3 სთ. დანი, „ა“ მიკრორაიონი, კორპ. 59, V სად. (ახმეტელის ატრთან).

მეუღლე მანანა, შვილები მორენა, კალე, დედა ლ და მარინა, ძმა კობა, სიდედრი ფუნთუშა, ცოლისდ ლი, ქვისლი თენგიზ გეგუჩაძე, ცოლისძმები მერაბ, ელ, რამაზ სახოკიები ოჯახებით, რძლები ნონა, ნატო, თამრიკო, სიძე ვალერი ბარაბაძე იუწყებიან, რომ დაიცვალა

სოსო კალისტრატეს ძე კუკავა

პანაშვიდი 13, 14 V, დაკრძალვა 15, V 4 სთ. სენაკი, ისის ქ. №7.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებ ნაუგრძნობენ უზენაესი სასამართლოს წევრს ალექსანდრე დაშვილს დედის

თამარ ჭეღიას

გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება „მერკური-92“-ის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების მთ ინჟინრის ლერი კობახიძის სიმამრი

ლევან (ლეიკო) ქავთარაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცე

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 3800
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №
ტელ: 99-73-
სარეკლამო განყოფილება
ტელ: 93-28

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლ
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის